


1239
2006

სა
საქართველოს
ინფორმაცია

საქართველოს ინფორმაცია

№2 2006

ბავშვები წიგნის ფესტივალზე



რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გულიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82




შურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი
გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და
კორექსორ-დირექტორი
კორდინატორი



ინფორმაცია „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია



საქართველოს ბიბლიოთეკა № 2 – 06

შინაარსი

პროფესია და პროფესიონალი -----4

საკანონმდებლო ბაზა

გურამ თაყნაიშვილი – პირველი ოფიციალური დოკუმენტი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ -----7

თანამედროვეობა და ტრადიციები

ღავით ღვალაძე – გლობალიზაცია და ეროვნული ტრადიციები -----10

ისტორიის ფურცლებიდან

ალექსანდრე ლორია – ძველი ეგვიპტის წიგნსაცავები -----14

ლალი ყაულაშვილი, ნინო მახანაშვილი – ანთიმოზ ივერიელი – განმანათლებელი და მესტამბე -----16

ჩვენი ბიბლიოთეკები, წარსული და აწმყო

მანონი ხორავა – თბილისის ცბ-ს საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი მომხმარებელთა სამსახურში -----19

თინა ურთქმელიძე – ხაშურის რაიონის საბიბლიოთეკო საქმის წარსული და დღევანდლობა -----21

გულნარა სგურუა – ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება და ბიბლიოთეკა -----24

გურამ თაყნაიშვილი – საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული – 2006 -----30

გულნაზ ხაბაძე – ნენეს ბოხჩით გადარჩენილი ქართული სიგევა -----32

მარიამ ბოლაშვილი – ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა -----35

კორექსონდენციები

ლუიზა ქუმელაშვილი – შეხვედრა ნორჩ შემოქმედთან -----36

– ლამაზი საღამო -----38

მარიამ ხარაგიძე – პაგარა საქმის დიდი მნიშვნელობა -----40

ზუმრუდ გოდერძიშვილი – „ერთი მწერლის გრიბუნა“ ბიბლიოთეკაში -----41

მეთოდური სამსახური

გურამ თაყნაიშვილი – მეთოდური სამსახური ბიბლიოთეკაში: გარდაქმნა, ცვლილებათა მართვა, რეკომენდაციები -----43

ბავშვთა კითხვა

ცისანა წერეთელი – ბავშვები და ინტერნეტი -----46

პროფესია და პროფესიონალები

მანანა გვარამია – შტრიხები ბიბლიოთეკარის ცხოვრებიდან -----49

ჩვენი დარგის სახელოვანი მოღვაწენი

ირინა გოგლიძე – ბორის გიხონის ძე რუდენკო -----50

მოსაზრება

ვაჟა სილაგაძე – ილია და გარიბაძლი ჩვენს ეროვნულ ჭრილში -----52

ჩვენ გვწერენ

გარიელ ნაცვლიშვილი, ნინო თაგაური-ნაცვლიშვილი – ტრადიციის აღდგენისათვის -----54

ლია გოდელაშვილი – ჟურნალის რედაქციას -----55

ჩვენი შემოქმედება

გზასავალის სხვადასხვა მონაკვეთზე -----56

რევიუ

დ. გიგინეიშვილი – კინო და მუსიკა -----61

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები -----64

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე – 2006 -----65

კონწარას კლუბი

მ. ბრილიელი – ჩვენი სოფლის სამღურავი -----67

Библиотека Грузии, № 2-06

Содержание

Профессия и профессионалы	4
Законодательная база	
Гурам Такниашвили – Первый официальный документ о библиотечном деле	7
Современность и традиции	
Давид Гваладзе – Глобализация и национальные традиции	10
Страницы истории	
Александр Лория – Книгохранилища Древнего Египта	14
Лали Каулашвили, Нино Маханашвили – Антимоз Ивериели – просветитель и типограф	16
Наши библиотеки: прошлое и настоящее	
Манон Хорава – Справочно-библиографический аппарат ЦБС г. Тбилиси	19
Тина Урткмелидзе – Прошлое и настоящее библиотек Хашурского района	21
Гульнара Стура – Формирование информационного общества и библиотека	24
Гурам Такниашвили – Неделя библиотеки в Грузии	30
Гульназ Хабадзе – Грузинское слово, сохраненное в узелке матери	32
Мариам Болашвили – Библиотека нашей школы	35
Корреспонденции	
Луиза Кумелашвили – Встреча с юным талантом	36
– красивый вечер	38
Мириам харатидзе – Большая значимость маленького дела	40
Зумруд Годердзишвили – Трибуна „одного писателя“ в библиотеке	41
Методическая служба	
Гурам Такниашвили – Методическая служба в библиотеке: перестройка, управление новшествами, рекомендации	43
Детское чтение	
Цисана Церетели – Ребенок и интернет	46
Профессия и профессионалы	
Манана Гварамия – Штрихи из жизни библиотекаря	49
Известные деятели нашей отрасли	
Ирина Гоглидзе – Борис Тихонович Руденко	50
Мнения	
Важа Силагадзе – Илья и Гарибальди в нашем национальном разрезе	52
Нам пишут	
Тариел Нацвлишвили, Нино Тагаури-Нацвлишвили – для восстановления традиции	54
Лия Годелашвили – Редакции журнала	55
Наше творчество	
На разных участках пути	56
Ревю	
Давид Гигинеишвили – Кино и музыка	61
Хроника	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	64
Международный фестиваль книги в Тбилиси	65
Клуб Концары	
М. Брилиели – Недовольство нашего села	67

Georgian Library № 2-06

Table of Contents:

Profession and professionals-----	4
Legal Base	
Guram Kakniashvili – The first official document about librarianship-----	7
Present (modernity) and traditions	
David Gvaladze – Globalization and national traditions-----	10
From the history pages	
Alexandre Loria – Depositories of the ancient Egypt -----	14
Lali Kaulashvili, Nino Makharashvili – Antimoz Iverieli – teacher and typographer -----	16
Our Libraries, past and present	
Manoni Khorava – The reference-bibliographic service of Tbilisi central library in the service of users-----	19
Tina Urtkmelidze – The past and future of libraries in Khashuri region -----	21
Gulnara Sturua – Library and creation of informational society -----	24
Guram Takniashvili – Georgian National Library Week -----	30
Gulnaz Khabadze – Georgian word saved in Nene’s purse-----	32
Mariam Bolashvili – Our school library -----	35
Luiza Kumelashvili – Meeting with a young author-----	36
Mariam Kharatidze – The great significance of a small affair -----	40
Zumrud Goderdzishvili – „One writer’s rostrum“ in library -----	41
Methodical service	
Guram Takniashvili – Methodological service in the library: reorganizatio, managing changes, recommendations-----	43
Children reading	
Tsisana Tsereteli – Child and reader-----	46
Profession and professionals	
Manana Kvaramia – Strokes from the librarian’s life -----	49
The distinguished workers of our profession	
Irine Goblidze – Boris Rudenko-----	50
Consideration	
Vazha Silagadze – Ilia and Garibaldi in our national aspect-----	52
Correspondences	
Tarien Natsvlshvili – Nino Tagauri-Natsvlshvili – Reestablishment of the traditions -----	54
Lia Godelashvili – To the editors of the journal -----	55
Our creativity	
On the different parst of a road-----	56
Review	
David Giginishvili – Cinema and music -----	61
Chronicles	
The chronicle of library life: events, facts-----	64
On the international book festival -----	65
Kontsara’s ctub	
G. Brillili – Grief in life-----	67



პროფესია და პროფესიონალი

პროფესია ოფიციალურად აღიარებული საქმიანობას ნიშნავს, სპეციალობასაც გულისხმობს გარკვეული ნიშნით, თუმც მათი სრული გაიგივება არ შეიძლება; ის „სპეციალური მომზადებისა და მუშაობის გამოცდილების შედეგად შექმნილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების კომპლექსის მქონე ადამიანის შრომითი საქმიანობის დარგია... ამა თუ იმ პროფესიის სახელწოდებას განსაზღვრავს სამუშაოს ან სამსახურებრივ ფუნქციათა ხასიათი და შინაარსი, გამოყენებული შრომის იარაღები ან საგნები“ (ქსე).

უკვე აღვნიშნეთ, რომ პროფესიისა და სპეციალობის სრული გაიგივება არ შეიძლება. „სპეციალობა“ ლათინურიდან მოდის და სიგყვასიგყვით განსაკუთრებულს ნიშნავს. ეს არის „სპეციფიკური მომზადებისა და სამუშაო გამოცდილების შედეგად შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ პროფესიის ფარგლებში საქმიანობისათვის“ (ქსე).

თუ ღავაკვირდებით ამ განმარტებას, შევნიშნავთ, რომ საღერძო გაგებას პრაქტიკული ჩვევების დაუფლება წარმოადგენს.

საბიბლიოთეკო დარგი ყოველთვის მოითხოვდა და მოითხოვს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნა-გამოცდილებას. ჯერ კიდევ საბიბლიოთეკო საქმის გარიჟრაჟზე – შუამდინარეთის ქვეყნების არქივ-წიგნასაცავებში საგანგებოდ შერჩეული ადამიანები მუშაობდნენ: ამაზე ნათლად მეცყველებს კაცალოგები, რომლებსაც აშკარად ეგყობა მაშინდელი სპეციალისტის ხელი. ეგვიპტელებს ბიბლიოთეკების

მფარველად წერის ქალღმერთი სეშატი ჰყავდათ გამოცხადებული, ბიბლიოთეკის გამგებლები თვით ქურუმები იყვნენ, რომლებიც ბიბლიოთეკებს ხელმძღვანელებს უნიშნავდნენ მრავალრიცხოვანი ნაცადი თანამემწეებით; ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მხოლოდ გამოცდილი სწავლეები მოღვაწეობდნენ. მთავარ ხელმძღვანელს უმაღლესი ხელისუფალი ირჩევდა. ეს თანამდებობა განსაკუთრებულად საპატიოდ ითვლებოდა. სხვადასხვა დროს ამ ბიბლიოთეკას საქვეყნოდ განთქმული ადამიანები ედგნენ სათავეში: ცნობილი ფილოლოგი ბენოლოტე, სწავლული პოეტი აპოლოდორეს როდოსელი, პოეტი-მეცნიერი კალიმაქე, მათემატიკოსი-გეოგრაფი ერაგოსფენე, ფილოლოგი არისგოფანე ბიზანტიელი და სხვ. იულიუს კეისარს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხარჯზე სურდა რომში საჯარო ბიბლიოთეკა დაეარსებინა და მის მმართველად მრავალმხრივ განვითარებული მეცნიერი და ბიბლიოფილი ვარონი დაენიშნა; პერგამონის ბიბლიოთეკის კაცალოგების შედგენა-მოწესრიგებაზე გრამატიკოსთა სკოლის ფუძემდებელი კრატოს მალოსელი მუშაობდა; სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოხდა რომის იმპერიაში პირველი ბიბლიოთეკის დაარსება, ხოლო პირველი საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელი რომში იყო სწავლული ბიბლიოფილი აზინიუს პლინიუსი; რომში საბიბლიოთეკო საქმეს სათავეში ედგა სპეციალურად დანიშნული პროკურატორი, რომელსაც უაღრესად განათლებული და გავლენიანი წრიდან ირჩევდნენ, დამხმარე პერსონალად საიმპერატორო ან სახელმწიფო მონებს ამუშავებდნენ, რომლებსაც



საგანგებოდ შეარჩევდნენ და ამზადებდნენ ამ საქმისათვის. აქ სპეციალური მოხელეც არსებობდა ბიბლიოთეკების სამეურნეო საქმიანობის ზედამხედველობისათვის; იქმნებოდა სპეციალური დამხმარე სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისა და ფონდების დაცვასთან დაკავშირებით. სწავლულმა გერენიუს ფილონმა ამ საკითხებს 12-ნაწილიანი თხზულება მიუძღვნა.

საბიბლიოთეკო მოღვაწეობისათვის შესაფერისი სპეციალისტების შერჩევისათვის მრუნვა მთელი შუა საუკუნეებისათვისაც იყო დამახასიათებელი. სწორედ ამ პერიოდში იწყება ბიბლიოთეკათმცოდნეობის მწყობრი სისტემის შექმნა. იმდენად, რამდენადაც ამ დროს ბიბლიოთეკები ძირითადად სასულიერო დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებთან არსებობდნენ, სპეციალისტებად უმთავრესად ცნობილი სასულიერო მოღვაწეები და განთქმული მეცნიერები გვევლინებიან; ამ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ რიშარდ დე ფურნივალი, როჯერ ბეკინი, რიშარდ დე ბერი, ფლორიან გრეფლერი, მარგინ ლუთერი, დელაკრუა, ლუი ვერდიე და სხვანი და სხვანი.

ახალი ისტორიის დასაწყისში მსოფლიოში კვლავ გრძელდებოდა გრადიციები საბიბლიოთეკო საქმეში ცნობილი მეცნიერების, სწავლულების, მოღვაწეების ჩაბმისა. ფაქტობრივად, ახალ საუკუნეებს ახლებური მიდგომები მოჰყვა, შეიცვალა ბევრი რამ, მაგრამ არ შეცვლილა საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტის, პროფესიონალის ძიების დამკვიდრებული გრადიცია. საბიბლიოთეკო საქმის პრაქტიკასა და თეორიაში კვლავ საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები გამოჩნდნენ, რასაც სათავე ლუდოვიკო მეცამეგის ექიმმა, პუბლიცისტმა, წიგნმცოდნემ და საბიბლიოთეკო დარგის დიდმა სპეციალისტმა პროფესორმა გაბრიელ ნოდემ დაულო. შემდეგში საბიბლიოთეკო საქმის მესვეურებად გვევლინებიან მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურები: ენდრიუ მაუნსელი,

ჯონ დიური, დანიელ გეორგ მორჰოფი, გლტურიდ-ვილჰემ ლეიბნიცი, იოჰან მიქაელ ფრანკე, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე იოჰან ვოლფგანგ გოეთე და მრავალი სხვ.

ამგვარი გრადიცია შემდგომშიც – უკვე ბურჟუაზიული ურთიერთობათა ჩამოყალიბების შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ ამ ეტაპზე უკვე ხდება სპეციალობის დანაწევრება, რაც კიდევ უფრო მეტად მოითხოვს სპეციალისტის ხელს. კვლავ გრძელდება საბიბლიოთეკო საქმეში ცნობილ მოღვაწეთა და ბიბლიოფილთა ჩაბმა. ბოლოს და ბოლოს, ჩნდება საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა პროფესიული მომზადების სისტემები. იმდენად იცვალა და გაფართოვდა ბიბლიოთეკის ფუნქციები, შეუძლებელი ხდება სპეციალური განათლების მიღების გარეშე პროფესიული საქმიანობა. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ცნობილ მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ჩაბმა არ ნელდება, პირიქით – ისინი ბიბლიოთეკებში პრაქტიკულად მოღვაწეობენ. ეუფლებიან პროფესიულ ასპექტებს, იძენენ გამოცდილებას და თავიანთი ნაშრომებით ამდიდრებენ ბიბლიოთეკათმცოდნეობას, მრავალ მნიშვნელოვან აზრს აწვდიან და ხელ უწყობენ ბიბლიოთეკების მუშაობის ხარისხობრივ ზრდას. ინერგება მრავალი რაციონალური წინადადება, ახალ-ახალი იდეები, ფორმები და მეთოდები, უახლესი ტექნოლოგიები. ამ საქმეს განსაკუთრებით აქცევენ ყურადღებას ქვეყნის მმართველები და ხელმძღვანელები. სწორედ საქმისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია საბიბლიოთეკო საქმის მნიშვნელოვან დარგად ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება. ეს მხოლოდ საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულებით იყო შესაძლებელი.

ერთგვარად სულ სხვა ვითარება შეიქმნა ყოფილ საბჭოთა კავშირში და, ცხადია, ჩვენშიც, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში. ბოლშევიკურ ხელისუფლებას აღრინდელი კადრები უნდობლობასა და ბო-

იკოგს უცხადებდნენ, ასე იყო ყველა დარგში. რა საკვირველიც არ უნდა იყოს, ამ მხრივ პირველები და ავანგარდული როლის შემსრულებლები ბიბლიოთეკები იყვნენ. ბევრგან მათ სავსებით შეწყვიტეს მუშაობა, ზოგან ძლიერ შეკვეცეს საქმიანობა. ინტელიგენცია მძიმედ განიცდიდა ახალ წესებს და მშვიდობიანი გზით ცდილობდა თავისი დამოკიდებულების გამოხატვას. ხელისუფლება აღარ დაგიდევდა სპეციალობასა და პროფესიონალიზმს, მთავარი იყო, გახსნილიყო ბიბლიოთეკები, რომლებიც იდეოლოგიურ დაწესებულებად უნდა ქცეულიყვნენ, ამას კი ახალი ხელისუფლებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მომრავლდნენ ბიბლიოთეკებში შემთხვევითი პირები, ნახევრად განათლებული ადამიანები, ექსტრენად სხვადასხვა ღონის სასწავლებლების კურსდამთავრებულები. მაგრამ დრომ თავისი გაიგანა: პრაქტიკამ, ადამიანის ბუნებრივმა მისწრაფებამ – იცოდეს მეგი და თავის საქმეში გოლი არავის დაუდოს, ბოლოს – ინტელიგენციის შემობრუნებამ, შეცვალა მდგომარეობა, თუმცა უცვლელი დარჩა დამოკიდებულება ბიბლიოთეკების მუშაკთა მიმართ – „აქ ყველას შეუძლია მუშაობა, ვინც წერა-კითხვა იცის“.

სამწუხაროდ, ამგვარი მოსაზრება ღომინირებს სამოგადოების დიდ ნაწილში, მათ შორის იმ ადამიანებშიც, რომლებსაც სახელმწიფოებრივად ევალებათ დარგის განვითარებაზე ზრუნვა და რომლებსაც სამსახურეობრივად აქვთ ძალა, პოზიტიური თუ ნეგატიური ზეგავლენა მოახდინონ საქმეზე.

ყოველ ნაბიჯზე ჩანს საბიბლიოთეკო სპეციალობის მიმართ სავსებით ზედაპირული დამოკიდებულება. უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ეს ბიბლიოთეკის თანამედროვე დანიშნულების, ამოცანების, მიზნებისა და ფუნქციების გაუცნობიერებლობით. ბიბლიოთეკამ გასული საუკუნის დასასრულს მთელ მსოფლიოში არნახული მეგამორფოზი განიცადა, დღეს ის

სულ სხვაგვარი დაწესებულებაა მთელი თავისი არსით, ვიდრე თუნდაც რამდენიმე ხნის წინ იყო. გაფართოვდა სპეციალობის ფარგლები. დღეს ის წარმოადგენს ინფორმაციისა და საინფორმაციო რესურსების მომხმარებელთა უზრუნველყოფის ცენტრს. ზუსტად ეს არის გაცხადებული „იუნესკოს“ მანიფესტში.

ელექტრონული კატალოგების სისტემა, კომპიუტერული ევრისტიკა, აუდიო-ვიზუალური ფონდი, მოთხოვნები ინფორმაციაზე, ინტერნეტის მომსახურება, შეერთებული კატალოგების ბაზა – სავსებით უცვლის სახეს დღევანდელ ბიბლიოთეკას და, მაშასადამე, სპეციალობასაც. გრადიციულ მეთოდებთან და საქმიანობასთან ერთად, ახალი ტექნოლოგიები სულ სხვა მოთხოვნებს უყენებს დღევანდელი ბიბლიოთეკარის პროფესიოგრამას. სპეციალობა უკვე შეიცავს, ერთი მხრივ, წიგნურ საქმიანობას, მეორე მხრივ, კომპიუტერულ მუშაობას, ეს ორი მიმართულება მოწინავე ქვეყნებში ერთ სპეციალობადაა შენივთებული, რასაც ანგარიში ეწევა სპეციალისტის პროფესიული მომზადების დროს. დღეს საბიბლიოთეკო დარგის პროფესიონალი ვერ იქნები, თუ არ ფლობ ახალ ტექნოლოგიებს და მხოლოდ გრადიციულით კმაყოფილდები. ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, საბიბლიოთეკო-საინფორმაციო დარგში არ იქნეს დაშვებული სპეციალიზაცია ცალკეული მიმართულებების მიხედვით, არ მოხდეს შრომითი პროცესების გადანაწილება ბიბლიოთეკართა შორის, ეს ყველაფერი, ცხადია, რჩება, მაგრამ რა მიმართულებითაც არ უნდა მუშაობდეს სპეციალისტი, ის ნამდვილი პროფესიონალი ვერ იქნება, თუ თავის საქმიანობაში არ იყენებს ელექტრონულ ტექნოლოგიებს. ამიტომაც სპეციალისტთა პროფესიული მომზადება, მათი დაოსტატება და დასაქმება ამ კუთხით უნდა ხდებოდეს. თანამედროვე საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტის პროფესიოგრამა გულმოდგინე გადასინჯვასა და სრულყოფას მოითხოვს.

ის, რომ ჩვენ ჯერ შორს ვართ ამგვარი სი-
გუაყისაგან, სრულებითაც არ ნიშნავს იმას,
რომ ხელი ავიღოთ სიახლეთა დანერგვაზე. პი-
რიქით – აქეთკენ უნდა მივდიოდეთ, ვცდილო-
ბდეთ, ვიბრძოდეთ, ყოველ ღონეს ვხმარო-
ბდეთ, გავუთანაბრდეთ მოწინავე ქვეყნებს,
მუდამ თვალწინ უნდა გვედგას ის სიმალეები,
საითკენაც უნდა მივისწრაფოდეთ.

რა თქმა უნდა, არაკვალიფიციური მიდგომის
შედეგია, როცა დღესაც მიიჩნევენ, რომ ბიბლი-
ოთეკას სპეციალისტი არ ჭირდება, ცხადია, ეს
თავისთავად ჩამორჩენას იწვევს, თუმცა ზოგ
შემთხვევაში, ნაწილობრივ ეს მოსათმენი
ხდება. მაგრამ არ იყო პროფესიონალი – ეს
უკვე კატეგორიულად გამორიცხულია. სხვადა-
სხვა დარგის არაერთ სპეციალისტს თავისი სა-
ქმიანობის სფეროდ ბიბლიოთეკა აქვს არჩე-

ული. ეს დასაშვებია, თუკი ის გამუდმებული
შრომით, დამოუკიდებლად თუ დახმარებით
იღწვის სპეციალობის დასაუფლებლად, თანდა-
თან ეზიარება მას და პრაქტიკული შრომით
იძენს გამოცდილებას, საფუძვლიანად ეცნობა
საქმეს, დროთა განმავლობაში პროფესიონა-
ლად ყალიბდება, და რაც მთავარია, უყვარს თა-
ვისი საქმე, აქვს საჭირო უნარ-ჩვევები, ავლენს
საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას.

მომწიფდა დრო, სერიოზულად ვიფიქროთ
ბიბლიოთეკარის პროფესიოგრამის ჩამოყალი-
ბებაზე, იმ მოთხოვნების განსაზღვრაზე, რომე-
ლიც უნდა წაეყენოს პროფესიონალ ბიბლი-
ოთეკარს. ეს ხელს უწყობს ბიბლიოთეკართა
რანგების (კატეგორიების) სისტემის შექმნას,
რაც აუცილებლად გვესახება საბიბლიოთეკო
საქმის გარდაქმნისა და განვითარებისათვის.

ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა ზ ა

გურამ თაყნიაშვილი

**პირველი ოფისიალური დოკუმენტი
საბიბლიოთეკო საქმის შესახებ**

(საბიბლიოთეკო კანონის 10 წლისთავი)

საქართველოში საბიბლიოთეკო საქ-
მის ისტორიის ხანგრძლივი პერი-
ოდის მანძილზე პირველი ოფიცია-
ლური დოკუმენტის შემუშავება
მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულს გახდა
შესაძლებელი. ჩვენი ქვეყნის საბიბლიოთეკო
საქმის ისტორია ვითარდებოდა ქვეყნის სოცი-
ალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლი-
ლებების პირობებში. საბიბლიოთეკო ქსელის
ჩამოყალიბება ჩვენში, ფაქტობრივად დაიწყო
მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც

საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გაჩნდა
სახალხო ბიბლიოთეკები. სასკოლო ბიბლი-
ოთეკების ქსელის შექმნა ფაქტიურად ითავა
ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელმა სამოგადოებამ;
ცხადია, ბიბლიოთეკების რაოდენობრივი ზრდა
გამოწვეული იყო ბეჭდური მასალების მომრავ-
ლებითა და მოსახლეობის წიგნისადმი ინტე-
რესის ზრდით; ამ გარემოებამ დღის წესრიგში
დააყენა ისეთი ნორმატიული აქტების შექმნა,
რომლებიც საფუძვლად დაედებოდა, ერთი
მხრივ, საბიბლიოთეკო ქსელის მოწესრიგე-

ბას, და, მეორე მხრივ, შიდა საბიბლიოთეკო პროცესების უნიფიცირებას. ამ საქმეს ნაწილობრივ ემსახურებოდა მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე შექმნილი ინსტრუქციები, დებულებები და სხვა სახის მარეგლამენტირებელი მასალები; საბჭოთა კავშირის პირობებში, მოყოლებული 1930-იანი წლებიდან, ოფიციალური მასალების წარმოება-მიღების საქმეს მიეცა სისტემატური ხასიათი, პერიოდულად იცვლებოდა დებულებები, ინსტრუქციები, შინაგანაწესები და ღრობითი ხასიათის მასალები, რომელთა დანიშნულებას შეადგენდა საბიბლიოთეკო საქმიანობისთვის ისეთი საფუძვლების შექმნა, რომელიც მას გადააქცევდა კომუნისტური იდეოლოგიის გამგარებლად, ეს ამოცანა წარმატებით ხორციელდებოდა – საბიბლიოთეკო ქსელი დინამიურად ვითარდებოდა, ხოლო ბიბლიოთეკების ფონდები სისტემატურად ივსებოდა ახალი იდეოლოგიური გამოცემებით. საბიბლიოთეკო საქმე იმართებოდა მკაცრად რეგლამენტირებული ვერტიკალური მეთოდებით; ბიბლიოთეკების მუშაობა გეგმიურად წარიმართებოდა, ამასთან, თითოეული ასეთი პროგრამა გაქვნილი იყო იდეოლოგიური პათოსით. ეს პათოსი წითელ ბოლოდ გასდევდა იმდროინდელ ყოველ ოფიციალურ დოკუმენტს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიცვალა დამოკიდებულება და მიდგომა საბიბლიოთეკო საქმისადმი, ძველი ინსტრუქციები და დებულებები თავისთავად ვეღარ პასუხობდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოქალაქეთა მოთხოვნილებებს წიგნისა და ბიბლიოთეკისადმი. თვითონ საბიბლიოთეკო ქსელი საჭიროებდა რადიკალურ ცვლილებებისა და საგრძნობი კორექტივების შეგნას, მის შესაგყვისობას ქართული კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური გარემოებისადმი. ეს ფაქტორი განაპირობებდა საბიბლიოთეკო საქმის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბიბლიოთეკო

ქსელი და თვით ბიბლიოთეკების მუშაობა მოექცეოდა უმართავ სიტუაციაში, რასაც შედეგად შეიძლებოდა მოჰყოლოდა საბიბლიოთეკო საქმის სრული დემონტაჟი მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ.

პირველი მცდელობა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების შემოღებისა, განეკუთვნება მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის პერიოდს. სისტემური მუშაობა ამ აქტის შემუშავებისათვის დაიწყო 1993-94 წლებში.

ამ საქმის ინიციატორები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრა, საქართველოს კულტურის სამინისტრო; ამ დაწესებულებათა წამყვანი სპეციალისტები, ბიბლიოთეკების დამფუძნებლები ნათლად გრძობდნენ კანონის შემუშავების აუცილებლობას. ამ მხრივ გამოცდილება არ ჰქონდა არც ერთ ბიბლიოთეკათმცოდნეს და სახელმწიფო მოხელეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში, კანონის პროექტის მომზადებაში, იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოს მაშინდელმა პარლამენტმა, პირველი კანონპროექტის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საბიბლიოთეკო საქმის გამოცდილი სპეციალისტები.

სპეციალისტთა მუშა ჯგუფი სისტემატურად იკრიბებოდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ამუშავებდა უცხოეთის შესაბამის მასალებს. საჭირო იყო საბიბლიოთეკო საქმის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების შექმნა, რომელსაც ექნებოდა კანონის ძალა. მოსამზადებელი სამუშაოები გრძელდებოდა ერთ წელზე მეტ ხანს; საქართველოს პარლამენტში რამდენჯერმე იქნა განხილული კანონპროექტი, რომელმაც საბოლოო სახე 1996 წლის დასაწყისისათვის მიიღო. ბოლოს, 1996 წლის ივნისში პარლამენტმა ერთხმად მიიღო საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის პირველი იურიდიული დოკუმენტი „კანონი საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ (იხ. „პარლამენტის უწყებანი“

– 1996, №18, „საქართველოს ბიბლიოთეკა“ 2000, №1, ცალკე ამონაბეჭდი). კანონი შედგება ცხრა თავისა და 39 მუხლისაგან. მასში იურიდიული ტერმინოლოგიითაა განმარტებული საბიბლიოთეკო მომსახურების ამოცანები, მიზნები, სახელმწიფოს როლი მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საქმეში; კანონმა, როგორც იურიდიულმა დოკუმენტმა, პირველად განსაზღვრა ბიბლიოთეკისა და მკითხველთა უფლება-მოვალეობები; კანონის მესამე თავში ლაპარაკია საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაზე, სახელმწიფო ბიბლიოთეკების უფლებათა დაცვის გარანტიებზე. კანონში პირველად არის აღნიშნული, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა წარმოადგენს ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ძირითად რგოლს. კანონში ასევე პირველად განისაზღვრა ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის როლი და ადგილი ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემაში. ამ კანონით იგი აღიარებულ იქნა ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორად და მეთოდურ ცენტრად. მასვე ეკისრება ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად. კანონმა ერთგვარად ხელი შეუწყო საბიბლიოთეკო საქმის მართვის დემოკრატიზაციის, გაფართოვდა ადგილობრივი ორგანოების უფლებები ბიბლიოთეკების მიმართ, ამაღლდა მათი პასუხისმგებლობა. კანონმა პირველად განსაზღვრა საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდებთან შეუზღუდავი დამკვეთის პირობები და წესი. კანონში დაუშვებლადია მიჩნეული სახელმწიფო ბიბლიოთეკის პრივატიზაცია.

პირველი კანონის მიღებიდან გავიდა ათი წელი. კანონი ამოქმედდა, კანონი შევიდა ძალაში; რა შედეგი მოჰყვა კანონის მიღებას, სად და რა ფორმით დაირღვა მისი ესა თუ ის მუხლი და, საერთოდ, რა ღონისაა იმდრო-

ინდელი კანონი? ამ კითხვებზე პასუხები რომ გავცეთ, საჭიროა კანონმდებლობის თვალთ გადავხედოთ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას ბოლო ათწლეულის მანძილზე. ერთი რამ უდავოდ უნდა აღინიშნოს – კანონმა ძირითადად შეასრულა თავისი მინიმალური დანიშნულება, ქვეყნის სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელი შენარჩუნებულ იქნა, თუმცა დიდი დანაკარგებითა და ბარალით, რაც ამჟამად ერთობ თვალში საცემია, როგორც დიდი ხარვეზი ქართულ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში, კანონი დიდი ხარვეზებით მოქმედებს, მას ბიბლიოთეკების დამფუძნებელთა ერთი ნაწილი სავალდებულოდ მიიჩნევს და ანგარიშს უწევს მას. სხვები კი, გამოდიან რა რეგიონში შექმნილი მძიმე სოციალური პირობებიდან, არ აღიარებენ კანონის უმენაესობას. კანონის მოქმედებაში, მისი ამოცანების რეალიზაციის პროცესში ყველაზე უარყოფითი მხარე ის არის, რომ არ არის შექმნილი კანონქვემდებარე აქტები, რომელთა ძალაში შესვლა ხელს შეუწყობდა კანონის დაცვას. კანონის სუსტი მხარეები და ნაკლოვანებები, ცხადია, მოსალოდნელი იყო.

უპირველეს ყოვლისა, კანონში არ არის განსაზღვრული ძირითადი ცნებები და ტერმინები. გაფართოებას საჭიროებს მეცხრე მუხლი, მთლიანად შესაცვლელია კანონის მეხუთე თავი, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს თანამედროვე საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ძირითადი დებულებები. ახალი რედაქციითაა ჩამოსაყალიბებული კანონის მე-15 მუხლი, ვინაიდან სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული დაწესებულება – წიგნის პალატა შეუერთდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. განსაკუთრებით კორექტირებას საჭიროებს კანონის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სახელმწიფოს როლზე საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში. საერთოდ, უნდა შეიქმნას ისეთი დოკუმენტი, რომელიც საბიბლიოთეკო პოლიტიკის

გამგარებლებს დაავალებს კანონქვემდებარე აქტების შემუშავებასა და მიღებას. ეს გარემოება თუ არ იქნა მხედველობაში მიღებული, კანონი, როგორც არ უნდა შესწორდეს, ვერ იმუშავებს წარმატებით.

მიუხედავად აქ აღნიშნული ზოგადი ხასიათის შენიშვნებისა და წინადადებებისა, კანონს

აქვს თავისი პოზიტიული მხარე, საჭიროა მისი აღიარება, დაცვა, ამოქმედება. ერთი სიტყვით, მისი, როგორც კანონის, მიჩნევა მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხის ამაღლებაში, რაც თავისთავად შეადგენს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ მიღებული ნებისმიერი იურიდიული დოკუმენტის საბოლოო მიზანს.

თანამედროვეობა და ტრადიციები



დავით ლვალაძე
სტუდენტი



გლობალიზაცია და ეროვნული ტრადიციები



XXI საუკუნის დასაწყისში, მიმდინარე საერთაშორისო მოვლენების ფონზე გამოიკვეთა ისეთი საკითხის სამეცნიერო გაშუქების აუცილებლობა, როგორცაა გლობალიზაციასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე საზოგადოებათა მოსალოდნელი რეფლექსიები, რითაც განპირობებულ იქნა გრადიციონალიზმის ასპექტების თანამედროვეობასთან კონტექსტში თეორიული გააზრების მცდელობა.

დღეს, საზოგადოებრივი ფორმაციის ფორმირების ახალ ეტაპზე, გლობალიზაცია იქცა განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად, და მიუხედავად იმისა, რომ გერმინი „გლობალიზაცია“ ლიგერაგურაში პირველად 1983 წელს გა-

მოჩნდა. ვფიქრობთ, რომ ის ხანგრძლივი ისტორიული პროცესების შედეგადაა ჩამოყალიბებული. სამეცნიერო ლიგერაგურაში გლობალიზაციასთან დაკავშირებული დეფინიციების სიმრავლე მიგვანიშნებს მის კომპლექსურობაზე. არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ამდენად, ამ ცნებასთან დაკავშირებით, ამრთა სხვადასხვაობის ფონზე, მნიშვნელოვანია სწორი მეცნიერული ხედვის ფორმირება.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველო გაერთიანდა ევროსაბჭოში. სულ მალე გახდა გაეროს წევრი, ახლა საუბარია ევროკავშირის, ნატოს წევრობაზე. ამით საქართველომ შეაბიჯა მსოფლიოში, რომელსაც ადრე „რკინის ფარდა“ ფარავდა; საქართველო ჩართო გრანსკონტინენტურ პროექტებში, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, საერთაშორისო კავშირები, ეკონომიკა და შიდა პოლიტიკური პროცესებიც კი; ამით ჩვენ აღმოვჩნდით გლობალიზაციის

ერთ-ერთ გაღიზიანებულ ისე, რომ ვერც მოვასწავრით იმის გააზრება, თუ რას ნიშნავს გლობალიზაცია მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის.

თანამედროვე გაგებით, გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიო მასშტაბით საერთო იდეების ძიებას და დახურვას. იგი არის რთული პროცესი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ეხება თანამედროვე საზოგადოების ყველა სფეროს. მათ შორის, როგორცაა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეროვნული ცნობიერება. გლობალიზაციის ელემენტები იგრძნობოდა შუა საუკუნეების საქართველოშიც.

XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოში გლობალიზაციის პროცესი დაჩქარდა. საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა კანონმდებლობასთან. გლობალიზაცია, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ისე კულტურულ სფეროში სახეზეა. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ ვითარებაში, როცა საზოგადოებრივ ცნობიერებაში არ დამკვიდრებულა ამრიგ იმის შესახებ, რომ აუცილებელია ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო შესაბამისად მოემზადოს ამ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად ისე, რომ მაქსიმალურად შევძლოთ ქართული სახელმწიფოებრივი, ეროვნული და რელიგიური თავისთავადობის დაცვა; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამას არ გავაცნობიერებთ, წინ დიდი საშიშროება გველოდება. ასევე მწვავედ დადგა საკითხი საზოგადოების ერთ ნაწილში, თუ როგორ მოვახერხოთ დასავლური ღირებულებების შეთვისებასთან ერთად, ეროვნულის შენარჩუნება და რა ადგილი მივუჩინოთ ამ პროცესებში ქართულ, ეროვნულ გრადიციებს.

საფრთხე, რომელიც ყველაზე მეტად ემუქრება ჩვენს ქვეყანას, ისაა, რომ გლობალიზაციის პროცესში არ დავკარგოთ ეროვნული ცნობიერების ღირსება და გრადიციები. გლობალიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებაა საჭირო, ამასთან ერთად, გვმართებს

დიდი სიფრთხილე, რომ არ მოხდეს დასავლური ფასეულობების ჩანაცვლება ჩვენს ეროვნულ გრადიციულ ფასეულობების ნაცვლად. გლობალიზაციამ საქართველოში მოიცვა თითქმის ყველა სფერო: განათლება, მეცნიერება, სარწმუნოება და სხვა. გლობალიზაცია, რომელიც მთელ მსოფლიოს მოიცავს, რაღაც საერთო თამაშის წესებს გვკარნახობს. რას მოუტანს ეს პროცესი პაგარა საქართველოს და მის უძველეს ენას? რამდენად ემუქრება ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას ასეთი საერთო და ყოველმომცველი წინეხი? – ეს და უამრავი კითხვა უჩნდება თითოეულ ჩვენგანს. ქართული ენა ორასი წლის განმავლობაში რუსული ენის უპირატესობამ დაგვიჩაგრა. ახლა კი, როცა დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო ენად იწოდება, საკანონმდებლო ბაზაც კი ვერ შეიქმნა მისი უფლებების დასაცავად და განსამტკიცებლად; ქართული ენა იჩაგრება დღეს ყველგან, და თუ დიდ ნიკო ლორთქიფანიძის ერთ მშვენიერ ნაწარმოებს დავესესხებით, ჩაგრავეს ყველა – დიდი თუ პაგარა, შინაური თუ გარეული. პარლამენტარი თუ მოხელე, ინგელიგენტი თუ ჩარჩი. აი, ასეთ დაუცველ და შინაურთაგან მიგოვებულ ენას რას შეიძლება უქაღდეს გლობალიზაცია, ადვილი წარმოსადგენია. ამრიგად, ქართულ ენას ორი საფრთხე ამკარად ემუქრება: გარედან – გლობალიზაცია, შიგნიდან – უპაგრონობა, უყურადღებობა. ორივე მათგანს შეიძლება მოეველოს, თუ მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა შემუშავდება ქართული ენის დასაცავად.

ისევე, როგორც ენას, გლობალიზაციის თავისებური მოთხოვნები ქართულ მწერლობასაც შეეხო. ქართველმა ხალხმა სიგყვამულ მწერლობას განსაკუთრებული მისია დააკისრა. ეს განაპირობა ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. ჩვენს ერს ხშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება ნაციონალურ თვინიერ ხელისუფლების ხელში, დამპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორად ორი ძალა

იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას – ქრისტიანული რელიგია და მწერლობა. როცა რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, ჩვენი ერის ქომბაგის როლი, მარტო მწერლობამ იკისრა. ილია ჭავჭავაძემ მწერალი პირდაპირ გამოაცხადა ერის წინამძღოლად: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

საქართველოში მწერლის ეროვნულ წინამძღოლად გამოცხადებას იმანაც შეუწყობდა, რომ ჩვენს მეფეთა შორის ბევრი პოეტობდა, დავით აღმაშენებელი ავტორია ჰიმნისა „გალობანი სინანულისანი“, დემეტრე პირველი – „შენ ხარ ვენახისა“. თამარს იამბიკოები დაუწერია. პოეტები იყვნენ: თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, ასე გადაეჯაჭვა ჩვენში მწერალი და პოლიტიკოსი, მწარედ, მაგრამ სამართლიანად იხუმრა აკაკი წერეთელმა – „მეფე რომ „პიიპუ-პიიპუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებსო.“ საქართველოსაც ასე დაემართა, თუმცა აკაკიმ ისიც დააყოლა – „დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსთვის არა დაუკლია-რაო.“

ეს ისტორიული გრადიცია შეიცვალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ერის ხელმძღვანელის როლი კომუნისტურმა პარტიამ იკისრა და ეს ფუნქცია მწერლობას ჩამოართვა. თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა და დალაგდა, მაგრამ ნამდვილად ასე არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია არ იყო დამოუკიდებელი, თავისთავად პარტია.

ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ აკაკი ბაქრაძემ ერთ-ერთ თავის ნაშრომში ასეთი პრობლემა დასვა: „იმის გამო ნურვინ იფიქრებს, რომ საქართველოს ეროვნულ ენერგიას ნიჰილისტურად ვუყურებდე. არა, ასე არ არის. უბრალოდ მინდა ძალთა განლაგებას ფხიზელი თვალის შევხედოთ და ცხადად დავინახოთ, რანი ვართ და რანი შეიძლება ვიყოთ.

იმასაც კარგად უნდა მივხედოთ, რუსეთში არის, თორემ საქართველოს მომავლის განჭვრევა გაგვიჭირდება“.

დღეს, ქართველი ხალხის წინაშე სრულიად ახალი ალგერნატივა დგას – ევროპეიზაციის თუ ეროვნული გრადიციების შენარჩუნებისთვის ბრძოლა. მესამე გზა არ არსებობს. გლობალიზაციის ასეთი რთული ვითარების პროცესში ქართულ მეცნიერებას, ლიგერატურას „დედის“ როლი უნდა დაეკისროს. სწორედ ქართულმა ენამ და ლიგერატურამ უნდა გააღვიძოს ჩვენში პატრიოტული ღირსება და გრადიცია. ჩვენ თუ ამას დავძლევთ, მაშინ ეს პროცესი, რომელსაც გლობალიზაცია ჰქვია, ჩვენთვის სასურველი მიმართულებით წარიმართება. თუ ამას შევძლებთ, მთელ მსოფლიოს დავუმტკიცებთ ჩვენი დიდებული ისტორიის და გრადიციების მნიშვნელობას.

გარდა მშობლიური ენისა და ლიგერატურისა, გლობალიზაცია ჩვენს სარწმუნოებასაც შეეხო. მრავალ ომს გადახდილი ქართველისთვის, ბრძოლის ველზე ეროვნული თვითმყოფადობა, ქრისტეს სჯულის სიყვარული, მამული, ხალხი იყო უმთავრესი. საუკუნეებს გაუძლო ჩვენმა ჭეშმარიტმა რელიგიამ, ძლიერი იყო ქართველი ამროვნებაში. ვიდრე რუსეთის მფარველობა დაგვჭირდებოდა. აქედან მოყოლებული გვებრძვიან, გვართმევენ სარწმუნოებრივ იდეოლოგიას, მაგრამ მთლიანობაში ვერაფერს გახდენ.

თანამედროვე მსოფლიოში დღითიდღე მაგულობს „სარწმუნოებრივი თავისუფლება“. ეს გამოიხატება იმაში, რომ დასავლეთის ქვეყნების არა ერთი აღამიანია სხვადასხვა სარწმუნოებრივ კონფესიებში. ჩვენ ქვეყანაშიც ჩნდება ე.წ. „დასავლურ რელიგიური“ კონფესიათა ჯგუფები. ეროვნული თანადგომა და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა ჩვენთვის უცხო არ არის. ამის დასტურია ის, რომ ჩვენს დედაქალაქში ორასი კვადრატული მეტრის ფართობზე ერთამანეთის გვედითაა სიონი, მე-

ჩეთი, სინაგოგა და გრიგორიანული ეკლესია; ისტორიას არ ახსოვს, რომ ჩვენ ოდნავი უპატივცემლობა გამოგვევლინოს ამ არამართლმადიდებლური სამლოცველოების მრევლის მიმართ. ეს ფაქტი არის კლასიკური გამოვლენა ჩვენი გოლერანგობისა და გლობალურ ცივილიზაციასთან მჭიდრო კავშირისა.

გლობალიზაციის პროცესში ჩვენს ქვეყანას ექნება დაფიქრების შანსი, გააცნობიეროს დასავლეთის იდეოლოგიის საფუძველზე ეროვნული გრადიციების მდგრადობა, ამჯერად გლობალიზაციას კარებს ვერ დავეუკუგავთ, თუნდაც იმიტომ, რომ არ დავრჩეთ თანამედროვე მსოფლიოს მიღმა. აღრინდელი „რკინის ფარდა“ ისტორიის საკუთრებად იქცა. ერთადერთი, რაც ქართველ ერს დავერჩენია, ისაა, ამ ღვარცოფის პირისპირ დავდგეთ და სწორი კალაპოტი გავუჭრათ მას, თვითღინებამე ამ პროცესების მიშვება ქართული ეროვნული გრადიციების გადაგვარების და დამცილების საფუძველი გახდება; საბედნიეროდ, ამ მიმართულებით დიდი და სახელოვანი გრადიციები გავგაჩნია. ამ მეტად პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის პოზიცია: „ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიის გზით განვითარების პრინციპი აირჩია და სერიოზული ნაბიჯები გადადგა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არ აქვს გაცნობიერებული, რომ ცხოვრების ეს წესი უცხო ქვეყნების ყოფის ბრმა მიბაძვას არ ნიშნავს. რომ სინამდვილეში ყველა ქვეყანას საკუთარი დემოკრატიული წყობა უნდა ჰქონდეს დაფუძნებული ეროვნულ გრადიციებზე. ბუნება თვითონ იძლევა მაგალითს მრავალფეროვნებისას – არ არსებობს ერთნაირი ფოთოლიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანზე და მის ფსიქიკაზე, ხოლო სახელმწიფოში, სადაც მექანიკურად იმეორებენ სხვათა ნააზრევს, სხვათა ფორმულებს, ვიღებთ უსაფუძვლო, დაშტა-



მპულ, სიცოცხლის უნარდაკარგულ სამოგადლოებას, რომელიც აუცილებლად განვითარების დეგრადაციული გზისთვისაა განწირული, ეს აქსიომაა.

...ევროპისგან ძალიან ბევრი უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ვიმეორებ, არ უნდა დავკარგოთ ის ჩვენი გრადიციული, რაც ჭეშმარიტად ღირებულია და ამასთან, იმათთვისაც მისაბამი და დასაფასებელია“.

ამასთან ერთად, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც თანდათანობით იბრუნებს თავის უმთავრეს სახელმწიფოებრივ და ისტორიულ ფუნქციას, უპირველესად ეროვნული ინტერესებით უნდა იხელმძღვანელოს. გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, რა თქმა უნდა, რისკის ელემენტებსაც შეიცავს. მაგრამ უმთავრესი მაინც ერთია – არ დავრჩეთ ამ პროცესის მიღმა. იგი იმავდროულად ჩვენს ქვეყანას აძლევს შანსს – დაიმკვიდროს თავისი ადგილი ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე – ახლა მთავარია, არ დავუშვათ სერიოზული შეცდომები, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. სტაბილურობა და ეროვნული ფასეულობათა დაცვა უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო კურსს. გარდა ამისა, უმთავრესი ამოცანაა: გლობალიზაციის რეგულირების ძლიერი ინსტიტუციური საერთაშორისო მექანიზმის ფორმირება და დასახული ამოცანის შესაბამისად, გლობალიზაციის ობიექტებზე მუდმივი ზედამხედველობა – გლობალიზაციის რთული პროცესის ჩვენთვის სასურველი მიმართულებით განვითარება.

ამრიგად, გლობალიზაცია, როგორც მთავარი მოვლენა, წარმოშობს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და, საერთოდ, ეროვნული ხასიათის პრობლემებს.

მთავარი კი ის არის, რომ საზოგადოება ფიქრობს და მსჯელობს ამ თემაზე, ყოველგვარი დიდი საქმე კი მუდამ ფიქრით და განსჯით იწყება.



ალექსანდრე ლორია

ქველი ეგვიპტის ნიბნსასავები

აფრიკის კონგინენცბე, ყველაზე ნაყოფიერ ადგილებში ნილოსის გასწვრივ სხვადასხვა გომებისა და ხალხებისაგან უძველესი დროიდან დიდი გაერთიანება ჩამოყალიბდა – ეგვიპტის სახელმწიფო. ეგვიპტე არქაული ეპოქის გიპიური მონათმფლობელური სახელმწიფო იყო – მდიდრდებოდნენ ომებით მოპოვებული ნადავლითა და ხარკით, მონების მძიმე ექსპლოატაციით, მემობელი ხალხების ძარცვით, სხვადასხვა ქვეყნებთან ალებ-მიცემობითა და ვაჭრობით, მაგრამ მარცხივ სშირი იყო.

ეგვიპტემ ბევრი რამ შეიძინა და შეითვისა ასურულ-ბაბილონური და ხეთური კულტურიდან, მაგრამ თავისი დამოუკიდებელი კულტურული სამყარო შექმნა. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო გიგანტური ნაგებობისათვის ქვის ლოდების გამოყენება, საფეხურებიანი პირამიდების აგება და სფინქსების გამოქანდაკება. ძვ. წ. მესამე ათასწლეულში შექმნილმა ამ გრადიციამ, რომელსაც საფუძველი ფარაონმა სნეფრემ ჩაუყარა, კიდევ უფრო მოიკიდა ფეხი მისი მემკვიდრეების ხელში, როგორებიც იყვნენ ხეოფსი (უდიდესი პირამიდის ამგები), ხეფრენი, მიკერინი.

ცენტრალური სამეფოს ხელისუფალს – ფარაონს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა. სახელმწიფო საკმაოდ რთული სტრუქტურისაგან შედგებოდა, რაც მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიული აპარატის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

ძვ.წ. მერვე-მეოთხე საუკუნეებში ეგვიპტე მემობელი ძლიერი სახელმწიფოების გავლენის

ქვეშ მოექცა და მათ დიდ ზემოქმედებას განიცდის, თუმცა თვითონაც ახდენს თავისებურ კულტურულ ზეგავლენას დამპყრობლებზე. ეგვიპტემ შეძლო ე.წ. „რესტავრაციის პერიოდში“ – ძვ.წ. მე-7-ნ საუკუნეებში კვლავ აღორძინებულიყო და თავისი ახალი დედაქალაქი თებე აეყვავებინა. ეს პერიოდი მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე ძვ. წ. მე-4 საუკუნის დასასრულიდან არ დაიწყო ეგვიპტის განვითარების ბერძნულ-რომაული ხანა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა.

ეგვიპტის ურთიერთობამ მაღალი კულტურის ქვეყნებთან ხელი შეუწყო აქ მეტად ორიგინალური, უდიდესი, პარადოქსებით აღსავსე დიადი კულტურის შექმნას. ეგვიპტისათვის დამახასიათებელია მეტად ორიგინალური, განუმეორებელი არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება, მეტად განვითარებული ქორეოგრაფიული კულტურა, მითოლოგია და რელიგია, საკულტო აგრიბუტიკა, გექნიკა, მეცნიერება, სასოფლისამეურნეო ყოფაცხოვრება თავისი არხებითა და რაბებით, აკვადუკებითა და ქალაქებით, მეტად მდიდარი ლიგურატურით, ორიგინალური დამწერლობითა და წიგნის კულგით.

დამწერლობის უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს პირამიდების კედლებზე შესრულებული იეროგლიფური გექსტები. ეს გექსტები შეიცავს მაგიურ ფორმულებს, შელოცვებს, ჰიმნებს, კოსმოგენური მითების ნაწყვეტებს. ეგვიპტის უძველესი წერილობით ძეგლებში გვხვდება როგორც ფილოსოფიური, ისე საგრფილო ნაწარმოებები, ისტორიული და დიდაქტიკური თხზულებები, წინასწარმეგყველება, რიგუალების



ამსახველი ლიტერატურა, ზღაპრები, მცირე ფორმის მოთხრობები, მხატვრული ავტობიოგრაფიები. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ეგვიპტეში უმაღლეს დონეს მიაღწია მოთხრობითმა ქანობა – პროზამ. ყოველივე ამან დიდი ზეგავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების ლიტერატურაზე. ბევრი სიუჟეტი მრავალ ხალხთა ლიტერატურაშია გადასული.

ასეთი მდიდარი ლიტერატურა და მეცნიერული მემკვიდრეობა, უპირველეს ყოვლისა, თავს იყრიდა ეგვიპტის უდიდეს წიგნსაცავებში.

დამწერლობისა და წიგნის კულტურის თვალსაზრისით, ეგვიპტე ერთ-ერთი უთვალსაზრისით ქვეყანაა არქაული პერიოდის ისტორიაში. წიგნი, დამწერლობა, წიგნის შესაქმნელი აქსესუარი აქ გაფეტიშებულიც კი იყო, იგი ღვთაებრივ ძალებს უკავშირდებოდა – მწერლობის ხელობის მფარველად მთვარისა და სიბრძნის ღმერთი გოგ-ი ითვლებოდა. მის გარდა, არსებობდა აგრეთვე წერის ქალღმერთი სეშატ-ი, რომელიც ბიბლიოთეკის მფარველად ითვლებოდა. წიგნს „ადამიანის სულის ბალზამს“ უწოდებდნენ, ბიბლიოთეკა ყველა სასახლესა და ტაძარში იყო, უმეტესად არქივთან შეერთებული, სადაც თავს იყრიდა ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტი.

ეგვიპტური წიგნი ეს სხვადასხვა ზომისა და აღნაგობის პაპირუსია, რომელიც გრაგნილს წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია მისი ავტორის ვინაობის აღნიშვნა, ბევრჯერ გადამწერ-დამამზადებელიც მოიხსენიება. რაკი ძირითადი მასალა აქ პაპირუსი იყო, ბიბლიოთეკებს „პაპირუსის სახლებს“ უწოდებდნენ, სასულიერო ტაძრების ბიბლიოთეკებს – „მაცოცხლებელ სახლებს“. ზოგი ეგვიპტური ბიბლიოთეკა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. ამათგან აღსანიშნავია რამზეს მეორის ბიბლიოთეკა-არქივი, რომელიც ძვ. წ. 1300 წელსაა დაარსებული ეგვიპტის უძველეს დედაქალაქში – ფიბიაში. ამ ბიბლიოთეკაზე გამოკვეთილი იყო წარწერა – „სულის აფთიაქი“. ძვირფასად

მოჭედვით კარს ამშვენებდა ღმერთი გოგისა და „წიგნის დიდი მბრძანებლის“ ქალღმერთ სეშატ-ის გამოსახულებები. შიგნით კიდევ ორი ქანდაკება იდგა – სიგყვის ღვთაება ხუ-სა და შემეცნების ღვთაების სია-სი.

მეორე დიდი ბიბლიოთეკა იყო ელფუს ტაძარში, რომელიც დაახლოებით 100 წლის განმავლობაში შენდებოდა (ძვ.წ. მე-3-2 სს.). მარჯვნივ და მარცხნივ აგებული იყო ორი სამლოცველო. ერთში მოთავსებული იყო წიგნსაცავი. აქ მეტად თავისებური კატალოგი ჰქონდათ – კელელზე ჩამოწერილი იყო სია, რომელსაც სათაურად ეწერა: „მრავალწიგნიანი ყუთებისა და ცხოველთა ნაღდი ტყავის დიდი გრაგნილების ნუსხა“. აღწერილია უმეტესად სასულიერო წიგნები და ასტრონომიული ნაშრომები.

ეგვიპტურ ბიბლიოთეკებში პაპირუსების უდიდეს მასაში ვხვდებით აგრეთვე ტყავის გრაგნილებს. ისინი შედარებით გვიანდელი ხანისა უნდა იყოს.

წიგნები ინახებოდა ხის ყუთებში, თიხის სპეციალურ ქოთნებსა ან ფუგლარებში, უფრო გვიან კელელებში დაგანებულ ნიშებში.

ბიბლიოთეკებს თავად ქურუმები განაგებდნენ. ისინი ნიშნავდნენ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, თავიანთი მრავალრიცხოვანი თანამშემწეებით.

ბიბლიოთეკით სარგებლობა მკაცრად იმუდებოდა. მისი გამოყენება მხოლოდ წარჩინებულ პირებს შეეძლო.

ეგვიპტეში შეძლებული ოჯახის შვილებითვის საკმაოდ ფართო სასკოლო ქსელი არსებობდა. მოსწავლეებისათვის წიგნის კითხვა სავალდებულოდ ითვლებოდა და მათთვის ყველა სასწავლებელში იყო გახსნილი პაგარა ბიბლიოთეკა. ზოგან თავად ბიბლიოთეკები წარმოადგენდნენ სასწავლებლებს (მოსალოდნელია, ბიბლიოთეკებში ერთგვარი უმაღლესი ტიპის სასწავლებელიც ყოფილიყო). ასეთი სასწავლებლები იყო ისეთ დიდ ქალაქებში, როგორც

წარმოადგენდა იმ დროისთვის საისი, მეფისი, აბილოსი, პერმოპოლისი, პელიოპოლისი.

ეგვიპტის ბიბლიოთეკების წიგნად მასივებში ორიენტაციისათვის რომ კაგალოგებს იყენებდნენ, ამას მოწმობს გელ-ამარანის არქივსაცავი. აქ გათხრების დროს აღმოაჩინეს ქაშანურის წიგნის ნიშანი. მასზე მოცემულია წიგნის დასახელება, წიგნის მფლობელისა და მისი მეუღლის ვინაობა. თვლიან, რომ ეს არის სამეფო ბიბლიოთეკის ეტიკეტი. წიგნი განეკუთვნებოდა ამენხოტებ მესამესა და მის ცოლს გი-ს. ამავე ბიბლიოთეკის ნანგრევებშია ნაპოვნი ალექსანდრიის სახურავი ყუთისთვის, რომელშიც პაპირუსის გრაგნილებს ინახავდნენ. ამ სახურავზე იმავე მეფის სახელია მიწერილი. ეგვიპტის ბიბლიოთეკების 6 კაგალოგის ფრა-

გმენტებმა მოაღწია ჩვენამდე. ისინი საშუალებას იძლევა განისაზღვროს, რა ხასიათის წიგნები იყო დაცული ამ ქვეყნის ბიბლიოთეკებში – რელიგიური ნაწარმოებები, ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები, შელოცვები, წინასწარმეტყველება, ფარაონების ქება-დიდება. მოღწეულია ეგვიპტური მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიც – მოთხრობები, ავტობიოგრაფიები, ზღაპრები, შეგონებები.

საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა არსებულა სებეკას გაძარში (ქალაქ გებგიუნისისში), სადაც აღმოჩენილია უმეტესად ნაგიფსიგყვაობითი ნიმუშები, შეგონებები, ზღაპრები, ასგრონომიული ნაწარმოებები, ძილისპირულები, ასგროლოგიური და სხვა სამეცნიერო ტექსტები, აგრეთვე საქმიანი მიმოწერა და დოკუმენტები.

ლალი ყაულაშვილი, ნინო მახანაშვილი

ანთიმოზ ივერიელი – განმანათლებელი და მესტამბე

ანთიმოზ ივერიელის დაბადებისა და გარდაცვალების წლები მკვლევართა შორის კამათს იწვევს. მაგ., გ. ლეონიძე წერდა: „ანთიმ ივერიელი დაბადებულია 1650 წლის ახლო ხანებში“, ხოლო რაც შეეხება ქ. შარაშენიძესა და ფ. ჯინჯიხაშვილს, როგორც ჩანს, მათ ანთიმოზ ივერიელის დაბადების წელი უკვე დადგენილად მიაჩნიათ, რადგან თავიანთ გამოკვლევებში ისინი ამ თარიღად კონკრეტულად 1650 წელს ასახელებენ. ჩვენში გავრცელებული ლიტერატურის გარდა, რომელიც ანთიმ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება, არც უცხოეთში არსებობს თითქმის არც ერთი საბუთი ან გამოკვლევა, რომელშიც მითითებულია ანთიმ ივერიელის დაბადების წელი. გამონაკლისს წა-

რმოადგენს რუმინელი მკვლევარის თ. ჩერბულეგის ნაშრომი, რომელშიც მოცემულია ანთიმ ივერიელის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები – 1650-1716 წლები. ერთადერთი წყარო, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დაახლოებით მაინც, ვიმსჯელოთ ანთიმოზ ივერიელის ხნოვანებაზე – ეს არის ანთიმოზის ფრესკული პორტრეტი, შემონახული გოგორის მონასტრის კედელზე და დათარიღებული 1706 წლით. ანთიმოზ ივერიელი ამ პორტრეტზე უკვე ხანში შესულ ადამიანად გამოიყურება.

ანთიმოზ ივერიელის ბავშვობა და სიჭაბუკე ნაკლებადაა ცნობილი. იგი დაიბადა ქართულ დიდგვაროვან ოჯახში, სადაც მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შექმნილი სათანადო პირობები ცოდნისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის

დასაუფლებლად; რაც შეეხება „ივერიელს“, ამ სახელს აწარმოებდნენ ათონის ივერთა მონასტრისაგან და მხოლოდ ივერიის მონასტრის ბერს შეეძლო ეს სახელი ეტარებინა.

1666 წელს ანთიმოზ ივერიელი – იგივე ანდრია – 16 წლის ასაკში მოიგაცეს თურქებმა და სტამბოლის ბაზარზე გაყიდეს. სწორედ აქ იყიდა იგი იერუსალიმის პაგრიარქმა დოსითეოსმა, რომლის საპაგრიარქო სტამბოლში იყო; იგი პაგრიარქთან 23 წელიწადს დარჩა და თარჯიმნად მუშაობდა. უთარგმნიდა საქართველოს კათალიკოსის წერილებს და

უდგენდა საპასუხო ეპისტოლეებს ქართულ ენაზე. ანთიმოზს საოცარი ნიჭიერება და მისწრაფება აღმოაჩნდა სწავლა-განათლებისადმი. ბრწყინვალედ შეისწავლა საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა, ფილოსოფია, რიგორიკა და ხელოვნების დარგები. იგი შესანიშნავი მხატვარი იყო, იშვიათი უნარი ჰქონდა ძერწვისა, ქვაზე და ხეზე მკვეთელობისა, ოქრომჭედლობისა, ხუროთმოძღვრებისა, კალიგრაფიისა, სასტამბო ხელოვნებისა. საკუთარი ნიჭიერებისა და იერუსალიმის პაგრიარქის ხელისშეწყობით, მან საფუძვლიანად შეისწავლა წიგნის ბეჭდვა და სასტამბო საქმე. იმასთან დაკავშირებით, თუ სად დაეუფლა ანთიმოზ ივერიელი სასტამბო საქმეს, მკვლევარები ორჯგუფად იყოფიან: ერთნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ანთიმოზმა სასტამბო საქმეს შეისწავლა ეპისკოპოს მიგროფანეს ხელმძღვანელობით და ხელისშეწყობით ბეზუეში, ხოლო მეორენი მის საგამომცემლო საქმიანობას ასევე ეპისკოპოს მიგროფანეს სახელს უკავშირებენ, მაგრამ ბეზუეს ნაცვლად ბუქარესტს ასახალ-



ბენ; თუმცა არსებობს მკვლევარ ნ. შერბინესკუს გამოკლევა, რომელშიც იგი წერს: „არსებობს აზრი, რომ ანთიმოზ ივერიელმა ბეჭდვის საქმე შეისწავლა ჩვენს ქვეყანაში, როცა იგი იყო ბეზუეში ეპისკოპოს მიგროფანეს მოწაფედ“, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან მიგროფანე ბეზუეში ჩავიდა 1691 წელს, როდესაც ანთიმოზი უკვე მუშაობდა ბუქარესტში თავის პირველ წიგნზე. შეიძლება ანთიმოზ ივერიელი დაეუფლა მბეჭდავის ხელობას ბუქარესტის სტამბაში, როგორც ვარაუდობს ისტორიკოსი ნ. დობრესკუ, მაგრამ

უფრო მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მან სასტამბო საქმე შეისწავლა იერუსალიმის პაგრიარქ დოსითეოსთან ყოფნისას და სწორედ იგი დაეხმარა. ამავე პერიოდში ათივისა მან სხვადასხვა ენები: თურქული, არაბული, ბერძნული და რუმინული.

ანთიმოზ ივერიელის, როგორც მბეჭდავის, მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები დაკავშირებულია 1678 წელს ბუქარესტში

დაარსებულ სტამბასთან, სადაც 13 წლის მანძილზე 8 წიგნი დაიბეჭდა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1688 წელს გამოქვეყნებული „ბიბლია“. სხვადასხვა დროს ამ სტამბაში დაიბეჭდა ანთიმოზ ივერიელის მიერ ძველბერძნულიდან ახალ ბერძნულ ენაზე გადმოთარგმნილი – „შეგონებანი ბასილ მაკედონელისა თავისი ძის ლეონისადმი“, „ბერძნულ-რუმინული ლიტურგია“ და „ფსალმუნი“. აქ გამოცემული ყველა წიგნი გამოწყობილი იყო დიდი ოსტაგობით, მაღალი გემოვნების სამკაულებით, გრაფიურებით, იგი ყოველთვის ცდილობდა, რომ მის მიერ გამოცემული წიგნი პო-

ლიგრაფიულად გამორჩეული ყოფილიყო.

1960 წელს ვლახეთის მთავარმა ბრინკოვიანუმ ანთიმოზი თავის ქვეყანაში მიიწვია, სადაც იგი მალე დაეუფლა რუმინულ და საეკლესიო სლავურ ენებს. რუმინეთი მისთვის მეორე სამშობლო გახდა, მისი წყალობით მთავარმა ბრინკოვიანუმ ფართო კულტურული საქმიანობა გააჩაღა, მან ანთიმოზს სამიგროპოლიტო ჩააბარა. ვლახეთში აყვავდა რუმინული და ბერძნული ლიტერატურა, დაიბეჭდა 64 წიგნი და გაკეთდა ამდენივე მხატვრული ყდა. იბეჭდებოდა არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ საერო წიგნებიც – ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებზე.

1694 წელს ანთიმოზ ივერიელი გადავიდა სნაგოვოში, სადაც ნახევრად დანგრეული და დაზიწყებული მონასტერი იყო, მან დაიწყო მისი აღდგენა. აღადგინა კიდეც და აქვე დააარსა ახალი სტამბა. მისი მეცადინეობით სულ მალე სნაგოვო ქვეყნის დიდი კულტურული ცენტრი გახდა. აქ იბეჭდებოდა წიგნები სხვადასხვა ენებზე. ანთიმოზმა სტამბის გვერდით გახსნა გოპოგრაფიული სკოლა. მასვე ებარა სასულიერო სამსახურიც, როგორც სნაგოვოს მონასტრის ილუმენს. მაგრამ მოშურნეებმა მოახერხეს მის მიმართ მთავრის გულისწყრომის გამოწვევა და ანთიმოზი იძულებული შეიქნა სნაგოვო დაეტოვებინა.

ანთიმოზ ივერიელის მიერ სნაგოვოს მონასტრის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან აღსანიშნავია: 1701 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“, 1702 წელს – „ჟამნი“.

1705 წელს ანთიმოზ ივერიელი დანიშნეს რიმნიკის ეპისკოპოსად, სადაც მან სტამბაც მოაწყო, ხოლო 1708 წელს იგი უნგრო-ვლახეთის მიგროპოლიტად აკურთხეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული, 1716 წლამდე მისი უშუალო მონაწილეობით აგებული და აღდგენილი იქნა ოცი ეკლესია და მონასტერი. კონსტანტინე ბრინკოვიანუს მართვის პერიოდში ანთიმოზის ხელმძღვანელობით აგებულ და რესტავრირებულ

რუმინულ ისტორიულ ძეგლებს ქართული ხუროთმოძღვრების გავლენის კვალი ამჩნევია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1713-1715 წლებში მის მიერ ბუქარესტში აშენებული ყოველად წმიდათა მონასტერი, ეპოქის ღირსშესანიშნავი ძეგლი, რომელსაც საკუთარი ბიბლიოთეკაც გააჩნდა.

1709 წელს ანთიმოზ ივერიელმა კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიართვა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „ძველი და ახალი აღთქმის დასები“ ანუ ბიბლიის ილუსტრირებული ისტორია. იგი შედგებოდა მედალიონებში ჩასმული ხუთასი პორტრეტისაგან, რომელზეც გამოსახული იყო ქრისტეს წინაპართა სახეები. 1713 წელს ანთიმოზ ივერიელი ხალხში წიგნისადმი სიყვარულის აღძვრის მიზნით, ბეჭდავს „ალექსანდრიას“ – რომანს ალექსანდრე მაკედონელზე, „სახარებას“ რუმინულ ენაზე. რომელსაც იგი პირველად აწერს ხელს რუმინულად, აგრეთვე საინტერესო „ანთოლოგიონი“, „სლავური გრამატიკა“ და ა.შ.

სასტამბო ხელოვნების განვითარებას მან ხელი შეუწყო არა მარტო რუმინეთში, მისი დახმარებითა და ხელმძღვანელობით სტამბები დაარსდა საქართველოსა და ალექსოში (სირია).

მიუხედავად დაგვირთული ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისა, იგი არ ივიწყებდა საქართველოს და აქ მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის საქმის კურსში იყო. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოში შეიქმნა რეალური პირობა სტამბის დაარსებისა, ვახტანგ მეექვსე იერუსალიმის პაგრიარქის ქრიზანტეს მეშვეობით დაუკავშირდა ანთიმოზ ივერიელს და სთხოვა ამ საქმეში დახმარება. მან ამისთვის საქართველოში გამოგზავნა თავისი საუკეთესო მოწაფე მიხეილ იშგვანოვიჩი, რომელიც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ანთიმოზ ივერიელთან, სწორედ მისი მეცადინეობითა და ზედამხედველობით ისე დაეუფლა სასტამბო ხელოვნებას, რომ სა-

ხელი გაითქვა როგორც შესანიშნავმა ხელოვნმა. ღიღია ანთიმომ ივერიელის დამსახურება საქართველოში პირველი სტამბის დაარსებაში.

ანთიმომ ივერიელი მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საუკეთესო მწერლად ითვლებოდა, მის კალამს ეკუთვნის მრავალი წიგნი, წინასიტყვაობა თუ ბოლოსიტყვაობა, ლექსები, თარგმანები. მისი დამსახურება სცილდება საქართველოსა და რუმინეთის საზღვრებს და საკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება. მისი ნაწარმოებები ღიღად მნიშვნელოვანია როგორც თხრობის ფორმით, ისე შინაარსით. მან მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა – დღემდე მის მთავარ ნაწარმოებად რჩება „ქადაგებანი“ ანუ „ღიღახები“. ანთიმომის ყველაზე ღიღი დამსახურება ის არის, რომ იგი რუმინულ ენაზე ქადაგებდა; მან – „უცხოელმა“ პირველად შეიგნა ვლახეთის საეკლესიო ღვთისმსახურებაში რუმინული ენა, ამით დასაბამი მისცა რუმინულის, როგორც ეროვნული ენის, დამკვიდრებას და გა-

ნვითარებას ვლახეთის ლიტერატურაში. მისი ენა ცოცხალი, ბუნებრივი და ნათელია. ეს ის ენაა, რომელმაც ხალხი დაპარაკობდა. ანთიმომ ივერიელი მართებულად ითვლება რუმინული ლიტერატურის შემოქმედად და რუმინული რელიგიური საისტორიო ხელოვნების ფუძემდებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვინჩიძე ო. ანთიმ ივერიელი (მესტამბე და პოლიტიკური მოღვაწე) – თბ., 1973.
2. კურდელაშვილი შ. ქართული სტამბის ისტორიიდან. – თბ., 1959.
3. ლოლაშვილი ივ. ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან. – თბ., 1978.
4. შარაშენიძე ქ. პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722). – თბ., 1955.
5. Джинджихашвили Ф. Антимоз Ивериели (Антим Ивериану) Жизнь и творчество (1650-1716). Тб. 1967.
6. Гвинчидзе О. Антим Ивериели. – Тб., 1989

ჩვენს ბიბლიოთეკებში, წარსული და აწმყო

მანონი ხორავა
თებ-ის ვანყოფილების გამგე

**თბილისის ცხ-ს სასწრაფო-ბიბლიოგრაფიული
საპრატი მომსახურებელთა სამსახურში**

ჩვენი ბიბლიოთეკა ღღეს მ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკაა. მისი დამაარსებლები ძმები – ღღევან. პეტრე და იაკობ ბუბალაშვილები იყვნენ.

ქ. თბილისში, ღღევანდელ მარჯანიშვილის ქუჩაზე, 1908 წ. მათ ააგეს სახალხო სახლი, სა-

დაც 1909 წლის მაისში გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ბიბლიოთეკას ეჭირა ერთი ოთახი, სადაც წარმოებდა წიგნების დამუშავება, გაცემა და მკითხველთა მომსახურე-





ბა. ბიბლიოთეკა არსებობდა ქალაქის მცირე დოგაციით, წიგნის კითხვის გადასახადით, კერძო შემოწირულობათა შემოსავლით, წიგნის დაგვიანებისათვის აღებული ჯარიმებითა და ნაბეჭდი კატალოგების გაყიდვით. ძმები მუხალაშვილების მიერ ბიბლიოთეკისათვის შეწირული წიგნები დღესაც ინახება. ბიბლიოთეკას ემსახურებოდა 3 ბიბლიოთეკარი, დარაჯი და გექნიკური მუშაკი.

ბიბლიოთეკა ძმები მუხალაშვილების სახელს აგარებდა მანამ, სანამ ახალ ფართზე, შერობიას ქ. №2-ში (ყოფილი სასტუმრო „ევროპა“) გადავიდოდა. ეს მოხდა 1928 წ. ამავე წლიდან მას მიეკუთვნა ალიოშა ჯაფარიძის სახელი. 1994 წ. ქართველი მწერლების ჯგუფმა გამეტ „ლიგერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა განცხადება ბიბლიოთეკისათვის მის. ჯავახიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ. იმავე წლის მაისიდან ბიბლიოთეკა მიხეილ ჯავახიშვილის სახელს აგარებს. (დიდი 1937 წელს დახვრეტილი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ლიგერატურული მემკვიდრეობა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, ბიბლიოთეკისათვის მისი დამაარსებლის სახელი ეწოდებინათ).

წლების განმავლობაში იმრდებოდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და მკითხველთა რაოდენობა. მუშაობაში ბიბლიოთეკა იყენებდა და ახლაც იყენებს წიგნის პროპაგანდის მრავალ ფორმას. იმთავითვე შეიქმნა სხვადასხვა განყოფილება; 1929 წლიდან არსებობს სამეცნიერო-მეთოდური და საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებები.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული ანუ ამკამინდელი საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება თბილისის ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული მუშაობის ცენტრს წარმოადგენს. 2009 წ. ბიბლიოთეკას 100 წელი უსრულდება, ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას – 80 წ. ბიბლიოგრაფიული მუშაობის ფუძემდებელი იყო უფროსი ბიბლიოთეკარი, ქალბატონი ელენე

ერისთავი. აქ წლების განმავლობაში იღვწოდნენ კვალიფიციური ბიბლიოთეკარები: მერი პაპიძე, რუსიკო პაპინაშვილი, მანანა ლეჟავა და სხვ.

საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი დიდ დახმარებას უწევს მკითხველებს. საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდი შედარებით ღარიბია, წიგნების გაძვირების გამო ბიბლიოთეკა ვერ იძენს აუცილებელ ლიგერატურას. არა გვაქვს ახალი გამოცემები: საბავშვო ენციკლოპედია, ქართული ენციკლოპედია და სხვ.

ჩვენი განყოფილება ერთ-ერთი დიდი გრადიციებისა და გამოცდილების მქონე განყოფილებაა.

გვაქვს მდიდარი საინფორმაციო არქივი, უნივერსალური სისტემური კარგოთეკა, მხარეთმცოდნეობის, – თბილისმცოდნეობის, ციგაგების, ნეკროლოგიების, ფაკულტეტური, თემატური, ფოტო-კარგოთეკები. მასალები იწერება ბიბლიოთეკაში შემოსული ჟურნალ-გამეტებიდან, წიგნებიდან. სტატიების ანალიტიკური აღწერილობები უკუქრონოლოგიურადაა აგებული. ჯერჯერობით ბბკ-ს ცხრილებით ვსარგებლობთ, ველოდებით ახალ ცხრილებს და ვადავალთ უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციამე. თითქმის ყველა თემასა და პიროვნებაზე გვაქვს ლიგერატურა, კარგოთეკებში გახსნილია ახალი რუბრიკები: გლობალიზაცია, მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, კონფლიქტოლოგია, კულტუროლოგია, შოუ-ბიზნესი და სხვ. ლიგერატურის, ხელოვნებისა და პოლიტიკური მოღვაწეების კარგოთეკები პერსონალიების მიხედვით გვაქვს განლაგებული. მკითხველს, რაც შეიძლება, ოპერატიულად ვაწვდით მისთვის სასურველ ლიგერატურას. მუშაობაში ვიყენებთ ბიბლიოგრაფიული ცნობების ორივე ფორმას – ბეპირსა და წერილობითს. ვაკეთებთ ბეპირი ცნობების ანალიზს.

განყოფილება ამზადებს ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, რაც ადრე იბეჭდებოდა ერო-

ენული ბიბლიოთეკის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის გამოცემებთან კოორდინირებულად. სარეკომენდაციო მუშაობის გეგმას ვათანხმებდით, რომ პარალელურად არ გვექონოდა და ვმონაწილეობდით კიდეც ერთობლივ გამოცემაში.


დღეს, როცა ასე განვითარებულია ტექნიკა, ჩვენ იძულებული ვართ, მაინც ხელით ვწეროთ ბარათები, სარეკომენდაციო მაჩვენებლებიც. არა გვაქვს არც კომპიუტერი, არც ქსეროქსი – მაგრამ იმედი გვაქვს, ახალ შენობაში (როგორც გვპირდებიან) გადასვლის შემდეგ, ეს ოცნებაც აგვისრულდება.

ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლების შედგენას დიდი დაკვირვებული და ერთგული შრომა სჭირდება. ვინაიდან ჩვენ ქალაქის მეთოდურ ცენტრს წარმოვადგენთ, ფილიალებიდან მოთხოვნებს გარკვეულ თემაზე, გარკვეულ შეკითხვაზე ბუსტი და სწრაფი პასუხი უნდა გავცეთ. ბიბლიოგრაფი ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს, ერკვეოდეს მეცნიერების ყველა დარგში. ბოგადად იცოდეს სიახლეები – რა ლიტერატურა გამოვიდა, რა არის ყველაზე აქტუალური, ფლობდეს ინფორ-

მაციას და უნდა ჰქონდეს ე.წ. „წიგნის გრძნობა“, სიყვარული წიგნისა, საინტერესო მასალის კვლევის და საკითხის გამოკვეთა დეშიფრაციის და ანოტაციის დროს. ამავე დროს ახასიათებდეს კარგი მესხიერება – ინტელექტთან ერთად, ეს აუცილებელია ბიბლიოგრაფისათვის. ბიბლიოგრაფია ყველაზე საინტერესო, შრომატევადი და საჭირო საქმიანობაა დღევანდელი მკითხველისათვის.

განყოფილებაში შედგენილია მრავალი საინტერესო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. დასაბუქდალ მზად გვაქვს და კიდეც ვაგრძელებთ მუშაობას თემებზე: „პოეზია მუსიკაში“, „პირველები“, „100 ლექსი თბილისზე“, „100 სიმღერა თბილისზე“ და სხვ.

ჩვენ გვაქვს მდიდარი, საინტერესო მასალა. გული მწყდება, რომ დღეისათვის არ ხდება ბიბლიოგრაფიული მუშაობის კოორდინაცია; ძალიან გამიხარდა, როცა გულნარა სგურუა დაგვიკავშირდა და ჩაგვაბა ბიბლიოგრაფთა სემინარულ მუშაობაში. იმედია, ყინული დაიდრა. ჩვენ მზად ვართ, აქტიურად ვითანამშრომლოთ ნებისმიერი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენისათვის.



თინა ურთქმელიძე

ხაშურის რაიონის საბიბლიოთეკო საქმის ნარსული და დღევანდელი

ხაშურის რაიონის საბიბლიოთეკო ცხოვრების მდიდარი გრადიციები გააჩნია, განსაკუთრებით აღმაშობის გზაზე იგი მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან; გაზეთ „ივერიასა“ და ქურნალ „კვალში“ საინტერესო ცნობებია მოცემული ხაშურსა და სურამში საბიბლიოთეკო ცხოვრების შესახებ. აქვეა ცნობები პირველი ბიბლიოთე-

კის გახსნის შესახებ, რაც თარიღდება ამავე საუკუნის 90-იანი წლებით, კერძოდ, ხაშურში 90-იან წლებში რკინიგზის კვანძის დასახლებაში უკვე ჩნდება პირველი ბიბლიოთეკა. ასეთია ინჟინერ ვასილიევის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა, რომელსაც დიდი წარმატება აქვს რკინიგზის მოსამსახურეთა შორის, – ვკითხულობთ გაზეთ „ივერიაში“ (1893, №167, 281).

ამავე პერიოდში დაარსდა იოსებ ფანცულაიას „ბიბლიოთეკა“, რომელიც საკმაოდ უძღურად გამოიყურებოდა, მაგრამ საზოგადოებისათვის ის მაინც დიდ როლს ასრულებს („ივერია“, 1895, №3). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1895 წელს აღნიშნული წიგნსაცავისთვის წიგნები შეუწირავს კოგე ყიფიანს („ივერია“, 1895, №257). შემდგომ პერიოდში 1933 წელს რკინიგზის ელექტროდენდროსთან გაიხსნა ბიბლიოთეკა; ასევე ძველია რკინიგზის ქსელის გეოგრაფიული ბიბლიოთეკა, რომელიც ბოლო წლებამდე გამოირჩეოდა მდიდარი წიგნობრივი ფონდით, რომლითაც ხშირად რაიონული ბიბლიოთეკაც სარგებლობდა. ცნობებს ბიბლიოთეკის გახსნისა და მისი ისტორიის შესახებ გვაწვდის აგრეთვე გაზეთი „ცნობის ფურცელი“ – ავტორი ს. ნოზაძე, 1899, №814.

შემოთ ჩამოთვლილ პერიოდულ ორგანიზაციებში ვხვდებით პუბლიკაციებს სურამში ბიბლიოთეკის გახსნისა და მუშაობის შესახებ, რომლებიც ეკუთვნის ნ. სიხარულიძეს, ი. მესხს, ნეზიერიძეს და სხვებს („კვალი“, 1896, №28. 1899, №33, „ივერია“, 1895, №139. 1895 №153, №170, №268). აღნიშნული ცნობების მიხედვით, სურამის ბიბლიოთეკის გახსნის თარიღად მიჩნეულია 1895 წელი. ამავე ცნობას გვაწვდის აგრეთვე ცნობილი მეცყევე მიხეილ მურვანიშვილი თავის წიგნში „მეცყევის მოგონებანი“. გახსნის დღიდან აღნიშნული ბიბლიოთეკა შეუფერხებლად ფუნქციონირებს და იგი დღეს სურამის №6 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალის სახელწოდებითაა ცნობილი (გამგე თ. ჩხეიძე). პუბლიკაციის ავტორი ი. მაჭარაშვილი გაზეთ „ცნობის ფურცელში“ აქვეყნებს მასალას ალის წიგნსაცავ-სამკითხველოს ისტორიიდან, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ხაშურის რაიონის სოფლებს შორის პირველად ბიბლიოთეკა სოფელ ალში გაიხსნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 30-40-იან წლებში, კერძოდ, 1936 წელს იხსნება საქალაქო ბიბლიოთეკა, რომელსაც

შემდგომში სარაიონო ბიბლიოთეკა ეწოდება. მალე მას ფუნქციები გაეზარდა და კულტურის სამინისტროს სისტემაში დაქვემდებარებული ბიბლიოთეკებისადმი კონტროლი და მეთოდური დახმარება დაეკისრა. ხოლო 70-იანი წლებიდან ბიბლიოთეკა წარმოადგენს რაიონში მეთოდურ ცენტრს ყველა უწყების ბიბლიოთეკებისათვის. ბიბლიოთეკას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა თ. გოგალაძე, დ. ლომსაძე, მ. თუთისანი, მ. ფილიევა, რ. ლომიძე, რ. ენჯიბაძე, ამქამად – დ. გელაშვილი.

ქ. ხაშურში 1939 წელს გაიხსნა საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელსაც მალე სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა ეწოდა. 1937 წლიდან ფუნქციონირებას იწყებს პარტკაბინეტთან არსებული ბიბლიოთეკა. რომელიც გაუქმდა ათიოდე წლის წინ. 1933 წლიდან მუშაობს და დღესაც ფუნქციონირებს მასწავლებელთა სახლთან არსებული ბიბლიოთეკა;

სოფლად ბიბლიოთეკები იხსნება კოლმეურნეობებთან, სკოლებთან და კლუბებთან. ამ უკანასკნელის ბაზაზე ჩნდება პირველი სასოფლო ბიბლიოთეკები. ამ მხრივ ერთ-ერთი ძველი ბიბლიოთეკაა წაღვლის სასოფლო ბიბლიოთეკა (ალის სას. ბიბლიოთეკის შემდეგ) რომელიც 1930 წელს არის გახსნილი, შემდეგია ქვიშხეთის (1931), გემრის (1935). 40-50-იან წლებში გაიხსნა: სურამის საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა (1948), ბრილის სასოფლო (1946), ოსიაურის (1947), გკოცის (1948), ქემფრის (1944), წრომის (1945) სასოფლო ბიბლიოთეკები.

50-იანი წლებიდან თანდათან ფართოვდება კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკების ქსელი და 1985 წელს მათი რიცხვი 53-ია.

ამ პერიოდში გახსნილ ბიბლიოთეკებს შორის გამოვყოფ ლესია უკრაინკას სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმს, რომელიც გაიხსნა 1952 წელს (პირველი გამგე ც. მაჭავარიანი, შემდეგში მ. ფილიევა, ლ. ჯანჯღავა, ამქამად – ე.



გრიგალაშვილი) და ამით საფუძველი ჩაეყარა ქართველი და უკრაინელი ხალხის გრადიციული ურღვევი მეგობრობის განმტკიცებას.

რაიონის ბიბლიოთეკების ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერი იყო ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციის პერიოდი, რაც რაიონში 1977 წლიდან განხორციელდა. ქსელს სათავეში ჩაუდგა სარაიონო ბიბლიოთეკა, რომელსაც დაექვემდებარა როგორც აღმინისგრაფიულად, ისე მეთოდურად, ქსელში არსებული 52 ბიბლიოთეკა-ფილიალი. აღმავლობის წლების დასტურია ბიბლიოთეკების რიცხოვრივი ზრდა, წიგნობრივი ფონდების მრავალმხრივი დაკომპლექტება, კვალიფიციური კადრების მომრავლება, მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ფინანსური უზრუნველყოფა. მკითხველთა მომსახურების ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება და სხვ. ქვემოთ მოყვანილი საარქივო მასალების მიხედვით ამას ადასტურებს ნაჩვენები დინამიკა:

– თუ 1961 წელს რაიონში კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო 23 ბიბლიოთეკა, 1991 წლისათვის მათი რიცხვი 53-ია.

– 1961 წელს წიგნობრივი ფონდი იყო 76139, 1991 წლისთვის იგი შეადგენდა 589938 ეგზეპლარს;

– 1961 წელს მკითხველთა რაოდენობა ქსელში იყო 2810, 1991 წელს მათი რიცხვი შეადგენდა 33946-ს;

– 1961 წელს მუშაკთა რაოდენობა იყო 27, 1991 წლისათვის 127 საბიბლიოთეკო და ტექნიკური მუშაკია. თუ აღრეულ წლებში ბიბლიოთეკები კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდიდა, ამავე წლებისთვის 26 მუშაკი უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლებითაა და 30 – საშუალო სპეციალური განათლებით.

საბიბლიოთეკო საქმის წინსვლაში დიდ როლს ასრულებდა ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო მეთოდური განყოფილება (გამგეები: გ. კიპაროიძე, ს. პულუბაშვილი, ამქამად – გ. თაყნიაშვილი). მათი ხელმძღვანელობით გა-

რდებოდა რესპუბლიკური სემინარები თანამდებობრივი პროფილის მიხედვით. თათბირები, სხვადასხვა ღონის კონფერენციები. ნაყოფიერად მუშაობდა მუდმივმოქმედი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, მეთოდური ცენტრებიდან რეგულარულად ხდებოდა მეთოდისგების მიერ რაიონის ბიბლიოთეკების მუშაობის შესწავლა და სათანადო მეთოდური დახმარება. მათ მიერ გამოცემული მეთოდური და საინსტრუქციო წერილები, საბიბლიოთეკო მუშაობის ცალკეულ საკითხებზე დიდად გვეხმარებოდა მუშაობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკებში წიგნისა და ცოდნის პროპაგანდის ყველა ფორმა და მეთოდი კომუნისტური იდეოლოგიის მყარ საფუძველზე იდგა. ამ საქმეს ემსახურებოდა ყველა საბიბლიოთეკო ღონისძიება: მკითხველთა კონფერენციები, ლიგერატურული და თემატური საღამოები, შეხვედრები ომის, შრომის ვეგერანებთან, სხვადასხვა ღონის ყრილობის დელეგატებთან და ა.შ.

საშურის რაიონის ბიბლიოთეკები აქტიურად გამოეხმაურნენ ინიციატივას, რესპუბლიკაში პროფესიული დღესასწაულის – ბიბლიოთეკის დღის დაარსების შესახებ. ჩვენი რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესდა საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც საშუალებას იძლევა, ყველა ბიბლიოთეკაში ხელმძღვანელები და კოლეგები დაესწრონ ღონისძიებებს. ყველა სახის ღონისძიება, რაც კი ჩაგარებულია ცენტრალიზაციის დაარსებიდან დღემდე, ასახულია მეთოდურ-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში დაცულ ალბომში – „რაიონის ბიბლიოთეკები პრესის ფურცლებზე“.

მკითხველთა მომსახურებაში მიღწეული წარმატებებისათვის ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის მიერ არაერთი ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარი იქნა დაჯილდოებული: რაიონში იყო 3 რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი. საპაგიო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა 18 მუშაკს. მნიშვნელოვან პოლი-

ტიკურ ღონისძიებებთან და იუბილევებთან დაკავშირებით, ჩვენი ბიბლიოთეკარები დაჯილდოვდნენ საპაგიო სიგელებით, სხვადასხვა ხარისხის დიპლომებით, მედლებით. უკვე მეოთხე წელია, გორის გუბერნიის ხელმძღვანელობამ წლის საუკეთესო კულტურის მუშაკის წოდებით დააჯილდოვა რამდენიმე მუშაკი, ასევე საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ დააჯილდოვა ამ სტრუქტურების ავგორი. დასაბნია, რომ წახალისების ეს ფორმა კულტურის სამინისტროს მხრიდან დაეფასება მიეცა.

90-იანი წლებიდან მძიმე დალი დაესვა რაიონის საბიბლიოთეკო ცხოვრებას. გაუქმდა 19 ბი-

ბლიოთეკა, (თუმცა, მოსახლეობის დაქინებული მოთხოვნით ორ სოფელში აღდგა ბიბლიოთეკა), შეწყდა ყველა სახის დაკომპლექტება, გაუარესდა ბიბლიოთეკების მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ. სამწუხარო რეალობაა, რომ არც პერსპექტივაში ჩანს უკეთესი მომავალი. თუ შექმნილი მდგომარეობის გამო მთავრობის ღონებზე არ იქნა ძვრები, დარგის გაპარგახებას შთამომავლობა არ გვაპატიებს.

ხვალის იმედით და მომავლის რწმენით რაიონის ბიბლიოთეკები ჩვეული ენთუზიაზმით და პროფესიული სიამაყით განაგრძნობენ მუშაობას.



გულნარა სგურუა

ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება და ბიბლიოთეკა



ართულ სინამდვილეში საზოგადოების განვითარების საგრძნობლად ნელი ტემპი არ შეიძლება არ იყოს დაფიქრების საგანი. ერთეულები ფიქრობენ, გამოხატავენ თავიანთ აზრს, შეხედულებას, კონცეფციებს, ცდილობენ ახსნან ზანგალ მიმდინარე პროცესის მიზეზები, მაგრამ ერთეულების ცლა საქმეს ვერ უშველის, თუ თავად სახელმწიფოს გამოკვეთილმა და მოქნილმა პოლიტიკამ არ იმოქმედა და ხელი არ შეუწყობ ამ საშურ საქმეს. როგორც საბიბლიოთეკო დარგის ერთ-ერთ სპეციალისგს, ღრმად მჯერა, რომ საზოგადოების განვითარების მრავალფეროვან ასპექტებში ბიბლიოთეკებს შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო პოლიტიკაში თავისი კუთვნილი, ღირსეული ადგილი დაეთმობა ბიბლიოკეთებს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით სახელმწიფო ნება საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესებისა არც თუ ისე აქტიურია.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო პოლიტიკაში გაჩნდება ადგილი ბიბლიოთეკების დანიშნულებისამებრ გამოყენებისა, ცხადია, შესაბამისად ამოქმედდება ის საკმაოდ დიდი მექანიზმი, რომელსაც საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელი ჰქვია. ამას მალაპარაკებს რწმენა იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში უდიდესი როლი საზოგადოების ცოდნას, განათლებას და ინფორმაციულობას უჭირავს. ინფორმაციულობის კერა კი ბიბლიოთეკაა.

„ინფორმაციული საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოება“ – ეს გამოთქმები კარგა ხანია დამკვიდრდა ლიტერატურაშიც, სასაუბრო მეტყველებაშიც.

მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ჯერჯერობით ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება დიდი პრობლემებით მიმდინარეობს. დასაფიქრებელი ჩამოყალიბების ჭირვეული პროცესი როდია, მთავარია, ვინ აქცევს ამ პრობლემებს ყურადღებას, გამოყოფენ თუ არა ამ პრობლემებს, ახალი მიზნები თუ არა მო-



ესეც ინერგულად, სუმბურულად. პასიურობენ ჩვენი პოლიტოლოგები, სოციოლოგები, აღნიშნული დარგების მეცნიერები, არა გვაქვს ჩვენი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების, ჩვენი ფსიქოლოგიური წყობის, საკუთარი გრადიციების და ადათების საფუძველზე და ბაზისზე შექმნილი ლიგერაგურა, რომელიც დააწყობს და დაალაგებს, თუ რა გზით შეიძლება დღეისათვის ქართველი ხალხის განვითარება, რა მეთოდები და ხერხებია საჭირო იმისათვის, რომ დაჩქარდეს ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება. ძალიან სუსტია ინფორმაციულობა. არ ვიცით, სად რა ორგანიზაცია ყალიბდება, რისთვის, რაგომ, რა პროგრამით და რა მიზნით. მაგალითად, საოცარია ის ფაქტი, რომ ძირფესვიანად, არსებითად შესაცვლელი ქართული გელევიზიის დირექტორს ირჩევენ და ხალხმა არ იცის არც ერთი ასარჩევი წევრის პროგრამა. არსად არ გამოქვეყნებულა მათი შეხედულებები, აზრები. ხალხს არ აინტერესებს ვის რამდენი ქვეყნის და რომელი უმაღლესი სკოლა აქვს გავლილი. მთავარია ნიჭიერება და სურვილი, უნარი, ხასიათობრივი მონაცემები და, რაც უპირველესია – ორგანიზატორული ნიჭი, გამოცდილება-პრაქტიკა. ამ თვისებების დანახვა მეგნაკლებად შეიძლებოდა კანდიდა-

ვლენებს და კეთდება თუ არა რაიმე იმისთვის, რომ ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი გამარჯვების პერსპექტივულ კანონზომიერებით მიმდინარეობდეს. უკვე 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უარყავით საზოგადოების განვითარების სოციალისტურ-კომუნისტური გზა და სრულიად ახალი სამოქალაქო და ინფორმაციული საზოგადოების განვითარების გზას დავადექით, მაგრამ არ იგრძნობა აქტიური, მიზანდასახული მუშაობა ამ მიმართულებით. ყოველივე ეს მარტო არა-სამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების მოსაწესრიგებელ-დასარეგულირებელი საქმე როდია. თავად სახელმწიფომ უნდა იმზუნოს ამამე. არადა, ჩვენთან ახალი საზოგადოების განვითარების პროცესი თითქოს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკას გადააბარეს და



გთა პროგრამებში, რომლებიც თვალით არ გვინახავს.

ქართველი ხალხი, იგი რომ სამოქალაქო-ინფორმაციულ საზოგადოებად ჩამოყალიბდეს, დასაკვალიანებელია. დიდი მუშაობაა საჭირო. ამ მუშაობას სხვა ინფორმაციულ-სოციოლოგიურ ცენტრებთან ერთად, ბიბლიოთეკები გვთავაზობენ. ბიბლიოთეკებს აქვს ამის საფუძველი. მათი მუშაობის სტილი და სისტემა ძალიან ადვილად გარდაიქმნება ახალი საზოგადოების განვითარების პროცესისათვის, ახლებურად მოაზროვნეთა ხელშეწყობისა და მომსახურებისათვის. საჭიროა გააზრება: რას ვაკეთებთ, რისთვის და სად. საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების აღჭურვილობა, უახლესი ლიტერატურით დაკომპლექტება, მოხერხებული, მოქნილი ქსელი, ბიბლიოთეკართა გადამზადება (დავარქვათ ამას ვორქშოუები, თრენინგები და რაც გნებავთ ყველაფერი ის, რასაც ქართულად ცოდნის ამაღლება და ინფორმაციული საზოგადოება ჰქვია). ჩვენ გვსურს ინფორმაციული სამოქალაქო საზოგადოების აშენება, მაგრამ რაში და სად ვლინდება ეს? რატომ გვგონია, რომ ყველაფერს რაღაც საოცარი, არაჯანსაღი მეთოდებით განვითარებული დღევანდელი ბაზარი გადაწყვეტს? ვიცით კი, ნამდვი-

ლად ჯანსაღია თუ არაჯანსაღი, სასარგებლოა თუ უსარგებლო, მანება თუ კეთილისმყოფელი ის სვლა, რომელიც დღეს საქართველოს ეკონომიკურ სფეროში მიმდინარეობს? საიდან ჩნდებიან (ჩნდება კი?) მაგერიალური დოვლათი და როგორ ხდება მისი გადანაწილება? ვინ არიან ქართველი მდიდრები და რა სარგებლობა (თუ მანებლობა) მოაქვთ მათ ხალხისთვის, რა გზებით და როგორ გაჩნდნენ ისინი?

ინფორმაციის არქონა საზოგადოებას წინ ვერ წასწევს. ვისაუბროთ ამ საჭირობოროგო საკითხებზე და თან ვცადოთ და გავიაზროთ თანამედროვე სიახლეების პროცესში ბიბლიოთეკების როლი სამოქალაქო-ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, რუსი ავტორების მიერ 100 წიგნია გამოცემული სათაურით – „სამოქალაქო საზოგადოება“. ეს ნიშნავს საზოგადოების მოთხოვნას და ინტერესებს ამ თემისადმი. ეს უკვე პროცესია! ვისურვებდი, ჩვენს მეცნიერებს, სოციოლოგებს, ეკონომისტებს, პოლიგოლოგებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ამ თემისადმი. ვთქვათ, ის, რაც ხდება, და გამოვთქვათ საკუთარი მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება ქართულ ნიადაგზე ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის წარმართვა. 15 წელი! – ეს ხომ ცოცხალი არ არის, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო ამ დროის განმავლობაში, რა ვერ გაკეთდა და რატომ? – აი, რა აინტერესებს ხალხს! მაგრამ ჯერ კიდევ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ხალხი აქტიურია და მომთხოვნი. სამწუხაროდ, ეს ასე თუ არის, ესეც კვლევის საგანია. ამ რამდენიმე ხნის წინ ახალგაზრდა,

მაგრამ უკვე ცნობილი ისტორიკოსი სვიმონ მასხარაშვილი ტელევიზიით გვესაუბრა საქართველოს მე-11 საუკუნის ეპოქაზე. დიდი ინფორმაცია მიიღო საქართველოს ისტორიით და ინტერესებულმა საზოგადოებამ. ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი საუკუნეების ანალიტიკური გააზრებანი მიგვანიშნებს და გვეხმარება დღევანდელი საკვანძო საკითხების გახსნაში, რომ უკეთ და საფუძვლიანად დავმკვიდრდეთ მომავალში. ჩვენ უნდა მოვიცალოთ ამისთვის და არ დავუტოვოთ ადგილი ჩვენი ისტორიის მტრულად მჩხიბავებს, – ესეც ინფორმაციული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად შემზადების ერთ-ერთი საფუძვლიანი გზაა. განა ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი მე-11 საუკუნის დემოკრატი (დღევანდელი გაგებით!) მეფე საბრძოლო სანგარში ჩამჯდარი, როგორ შეიგყუა წიგნის კითხვამ, რის შედეგადაც დაშვებულმა შეცდომამ მასვე მოახდევინა ბოლიში სამასი თანამესანგრე ჯარისკაცის წინაშე?

მკითხველის ინფორმაციულობისათვის მიუნდა შეგახსენოთ, რომ 2000 წლის დეკემბერში ქენევაში, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, შეიკრიბა 150 ქვეყნის მსოფლიო სამიტი, რომლის მიზანი იყო ახალი ათასწლეულის ინფორმაციული საზოგადოების გლობალურ ამოცანებზე მსჯელობა: როგორ აშენდეს ინფორმაციული საზოგადოება. მიიღეს ორი დოკუმენტი: „პრინციპების დეკლარაცია“ და „მოქმედების გეგმა“. პირველ დოკუმენტში ნაწილობრივ გაცხადებულია საერთო მისწრაფებები და გადაწყვეტილებები, თუ როდის აიგოს ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული, ყველასათვის ღია, კაცობრიობის განვითარებისაკენ მიმართული ინფორმაციული საზოგადოება, ასეთ საზოგადოებაში თითოეულ ადამიანს ეძლევა საშუალება, შექმნას ინფორმაცია და ცოდნა, ასევე ისარგებლოს მისით და გაცვლა-გამოცვლა აწარმოოს, რათა უზრუნველყოს თითოეული ადამიანის, ხალხის პოტენციალური შესაძლებლობების რეალიზაციის მაქსიმა-

ლური პირობები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ხალხის განვითარებას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დებულების მიზნებზე და პრინციპებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების დაცვით.

მოცემული დოკუმენტი გახდა სხვადასხვა კომპრომისის შედეგი.

ცნებას „ინფორმაციული საზოგადოება“ – ხშირად უკავშირებენ ცნება-გლობალიზაციას, რაც იმავდროულად წინააღმდეგობას ქმნის ამასთან ერთად, იუნესკო გამოვიდა ამ ცნების განსაზღვრების შემავსებელი კონცეფციით (წინადადებით) „ცოდნის საზოგადოება“. ბუნებრივია, რომ ინფორმაციების ნაკადების გამზრდა არ ქმნის ცოდნის გაღრმავებას და განვითარების შესაძლებლობას.

აღნიშნული სამიგის დაწყების წინ შედგა იფლა-ს კრება, რომლის თემა იყო „ბიბლიოთეკები, როგორც ინფორმაციული საზოგადოების გული“. ამ კრებაზე ბიბლიოთეკარებმა მხარი დაუჭირეს კონცეფციას „ცოდნის საზოგადოების შესახებ“. გამოიკვეთა ოთხი პრინციპი: 1. კულტურული მრავალსახეობა; 2. განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა; 3. ინფორმაციისადმი, როგორც საზოგადოებრიობის მონაპოვარისადმი საერთაშორისო ხელმისაწვდომობა; 4. თვითგამოხატვის თავისუფლება. ამ პრინციპების დაცვა, სამართლიანი საზოგადოების განვითარების გადაუდებელ პირობას და ცოდნის საზოგადოების მკვიცე საფუძველს წარმოადგენს.

საზოგადოების ცოდნის მთავარ პრინციპად დასახულია მსოფლიო ხალხთა ენებისა და კულტურის განვითარება – ასეთია იუნესკოს მიდგომა, რასაც ცალსახად მხარს უჭერს იფლა. ინფორმაციული საზოგადოება, ისე როგორც სამოქალაქო საზოგადოება, ურთიერთგადამკვეთი ცნებებია და განიხილება როგორც მუდმივი ევოლუციური პროცესი. დღეისთვის უფ-

რო მეტად ვრცელდება შეგნება იმისა, რომ პიროვნების ბუნებრივ და ფუნდამენტალურ უფლებებს შორის ერთ-ერთია უფლება ინფორმაციამზე. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 19 სტატიაში დამტკიცებულია თითოეული ადამიანის უფლება მისი მრწამსის და თავისუფალი გამოხატვის დაცვამზე.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რას გვეუბნება იუნესკოს მანიფესტი საჯარო ბიბლიოთეკებზე: სამოგადოებისა და პიროვნების თავისუფლება, აყვავება და განვითარება ძირითად საკაცობრიო ღირებულებებს მიეკუთვნება. მაგრამ მათი შექმნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად ინფორმირებულ მოქალაქეებს უნარი შესწევთ, განახორციელონ თავიანთი დემოკრატიული უფლებები და ითამაშონ აქტიური როლი სამოგადოებაში, ქმედითი მონაწილეობა მიიღონ სამოგადოებრივ ცხოვრებაში. დემოკრატიული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ დამაკმაყოფილებელი განათლების, ცოდნის, იდეების, კულტურისა და ინფორმაციებისადმი განუსაზღვრელი და თავისუფალი ხელმისაწვდომობის პირობებში.

მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ უკვე არც ისე ცოცხალად გავიდა, რაც ჭეშმარიტების შემეცნების გექნოლოგია და ინფორმაციების მოძიების საშუალებები საგრძნობლად შეიცვალა. სამოგადოების მიერ შექმნილი ინფორმაციულ-კომუნიკაციური გექნოლოგიები თითქმის მსოფლიოს ყველა კუთხეში მოქმედებს, რომელთა გამოყენება სამოგადოებას უპირატესობას აძლევს ცხოვრების ყველა სფეროში.

სამწუხაროდ, ვერ ვიგყვით, რომ საქართველოში ინფორმაციული საშუალებების პრობლემა გადაჭრილია. ჩემი თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემდგარიყო რუკა, რომელზედაც ასახული იქნებოდა საკომუნიკაციო-საინფორმაციო გექნოლოგიების ქსელის დანერგვის პერსპექტიული სურათი. რასაკვირველია, ეს საკითხი სპეციალისტთა ბჭობის საგანია. მაგრამ მე მაინც გექნოლოგიების საკითხში

გულშემატკივრის პოზიციებიდან ვფიქრობ, რომ ისე, როგორც ბევრი სხვა სისტემის დაუგეგმაობა ამუხრუჭებს და ზოგჯერ მთლიანად ანგრევს ამა თუ იმ სისტემის საქმის განვითარებას, იგივე არ დაემართოს ახალი საინფორმაციო გექნოლოგიების დანერგვის საქმესაც.

ერთი სიტყვით, ინერტულობას, დაუგეგმაობას, გაუთვალისწინებლობას, უპასუხისმგებლობას და არაკვალიფიკაციურობას, არაჯანსაღ თუ უსახურ საბაზრო ეკონომიკას და სხვა მრავალს იმ გზამზე როლი მივყავართ, რომელზედაც ჩვენ გვინდა ვიაროთ. სამოქალაქო საზოგადოება, იგივე ინფორმაციული საზოგადოება, ცოდნის, განათლების, კულტურის დანერგვის სურვილით აღჭურვილი, მოქმედი, აქტიური, თავისი ნების თამამად გამომხატველი, თავისი უფლებების დამცველი, მოვალეობების მკაცრად შემსრულებელი, ინფორმაციის შემქმნელი და გამავრცელებელი საზოგადოებაა, რომელსაც მივყავართ დემოკრატიისაკენ. ამ როლის ინიციატორებად და შემსრულებლებად, სხვასთან ერთად, ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებში ხდებოდა, გამოდიან საქართველოს ბიბლიოთეკები, რომელთაც დიდი იმედი აქვთ სახელმწიფოს რანგში აყვანილი, მიზანდასახული საბიბლიოთეკო პოლიტიკისა.

ინფორმაციული საზოგადოების მსოფლიო სამიგის მასალებში აღნიშნულია, რომ „საჭიროა ისეთი საჯარო დაწესებულებების გამავრება, როგორებიც არიან ბიბლიოთეკები, არქივები, მუზეუმები და სხვა ხელმისაწვდომი კოლექტიური პუნქტები, იმისათვის, რომ დაეხმაროთ ლოკუმენტური ჩანაწერების დაცვაში და ინფორმაციის თავისუფალ, თანაბარუფლებიან მოპოვებაში.“ ბიბლიოთეკა ამ ლოკუმენტში პირველ ადგილზე შემთხვევით როდია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში ბიბლიოთეკა აუცილებელი ობიექტია იმიტომ, რომ არ არსებობს სხვა ისეთი ორგანიზაცია, სადაც თავისი ინტელე-



ქვის დასახვეწად, ინფორმაციების მისაღებად, თავისი სურვილის და მოთხოვნილებების მიხედვით, იმდენი მომხმარებელი შედიოდეს, რამდენიც ბიბლიოთეკაში (მხედველობაში დიდი მასშტაბის საჯარო ბიბლიოთეკები გვაქვს). ხალხი მას ეტანება როგორც ერთ-ერთ გამოჩენულ დემოკრატიულ საინფორმაციო ინსტიტუტს, სადაც პიროვნება თავისუფალია და თავად ირჩევს სასურველ ინფორმაციას. ინფორმაცია კი მსხვილ ბიბლიოთეკებში განუსაზღვრელია.

ბიბლიოთეკები წარმოადგენენ იმ სოციალურ ინსტიტუტებს, რომლებიც სამოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქციების რეალიზებას ახდენენ, უზრუნველყოფენ დემოკრატიული განვითარების დინამიურ ხასიათს მულტიკულტურულ სამოგადოებაში, ცოდნის უწყვეტი მასივის გაფართოების საფუძველზე, გამოხატავენ თანამედროვე სამოგადოების პლურალიზმს, წარმოადგენენ გამაერთიანებელ ძალას თავისი ადგილმდებარეობისაგან დამოუკიდებლად.

კაცობრიობის მიერ მისი განვითარების ისტორიის მანძილზე მოპოვებული უნივერსალური ცოდნის სარწმუნო, ყოვლისმომცველი წყაროები ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებში და სხვა განათლების, მეცნიერების და კულტურის დაწესებულებებშია თავმოყრილი.


დღეს მსოფლიო ინფორმაციული რევოლუციის ზღვარზე დგას, ანუ ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებიდან ცოდნის კომპიუტერული წარმოდგენით კიბერსივრცეში და მათი უშუალო გაცვლა-გამოცვლით მოცემულ მეგობარებზე დაყრდნობით, რასაც შეიძლება მოჰყვეს ეგრეთ წოდებული „ხელოვნური ინტელექტის“ წარმოშობა.

ცოდნის სამოგადოების ფორმირება უეჭველად უნდა მოხდეს „ცოდნის ბაზის“ ფუნდამენტზე. რაც შეეხება „ხელოვნურ ინტელექტს“,

იგი გლობალური პრობლემაა და ეს თემა უფრო ღრმა და ძირეულ მსჯელობას მოითხოვს.

და ბოლოს, დღესაც სადავოა, რა უწყობს ხელს სახელმწიფოს აყვავებას – ეკონომიკა თუ განათლება და კულტურა. მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ უკანასკნელთა მხარეზეა, რადგან თავად განათლება და კულტურა სახელმწიფოს წარმომქმნელი სტრუქტურებია და სახელმწიფო თავის მხრივ ვალდებულია შესაბამისი სახსრები გამოყოს კულტურასა და განათლებაში, გაამაგროს ისინი, რადგან ამ სფეროებით ფორმირდება სახელმწიფო. სამწუხაროდ, ვერ ვიგყვით, რომ ამ ამრს ეთანხმებოდეს დღევანდელი ქართული პოლიტიკა. ამ მხრივ საინტერესოა გასული წლის ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები, რაც სავსებით შორს დგას ქვეყნის პრიორიტეტად კულტურისა და განათლების სფეროების აღიარებისაგან. პირიქით, „საქართველოს არ სჭირდება ამდენი პროფესორი და აკადემიკოსი, ისინი უნდა შევამციროთ... უმთავრესია, ყურადღება გამახვილდეს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე“, – ამბობდა ერთ-ერთი მათგანი, და როგორ მოხერხდებოდა ცოდნის, განათლების, კულტურის, იდეების და ინფორმაციების გარეშე ამ მართლაც და მნიშვნელოვანი დარგის – სოფლის მეურნეობის განვითარება, იმას კი არ უწყობდა.


ასე რომ, პოლიტიკურ და სამოგადოებრივ ცხოვრებაში საქმიანი მონაწილეობა, სამოქალაქო სამოგადოების ჩამოყალიბება და დემოკრატიის განვითარება შესაძლებელია როგორც ყოველმხრივი განათლების მიღების, ასევე ცოდნის, იდეების, კულტურისა და ინფორმაციის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.



გურამ თაყნიაშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული - 2006




სამოგადოებასა და ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულება ბიბლიოთეკებისადმი შესამჩნევად იცვლება უკანასკნელ პერიოდში. ასეთი აზრის ჩამოყალიბების საფუძველს გვაძლევს ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა და მკითხველი სამოგადოების ერთგვარი შემობრუნება საბიბლიოთეკო ცხოვრებისკენ, მათ მიერ ბიბლიოთეკების წინაშე დასახული ამოცანის, მიზნებისა და ფუნქციების ახლებურად გაამრებასა და გადაჭრის საშუალებათა ძიებაში. კვირეულის პროგრამით ჩაგარებული ცალკეული ღონისძიებებისადმი ინტერესს იჩენს სამოგადოების დიდი ნაწილი, ხოლო









ქვენი ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული

28 აპრილი - 5 მაისი 2006 წ.

ოფიციალური ხელისუფლება დგამს პირველ ნაბიჯებს საბიბლიოთეკო დარგში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად. ბიბლიოთეკები ახალ-ახალ ფორმებს აგნებენ და იყენებენ თავიანთი ავტორიტეტის წარმოსაჩენად და, რაც მთავარია, კვირეულის პროგრამით დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის თვალსაზრისით.

წელს, რიგით მეხუთე კვირეულს, ბიბლიოთეკები შეხვდნენ უფრო ორგანიზებულნი, განახლებულნი გეგმებითა და სამოგადოებრიობის თა-

ნადგომით; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, რომელსაც ეკუთვნის კვირეულების ჩაგარების ინიციატივა, თადარიგი იმთავითვე დაიჭირა. შემოსული მასალებით შეადგინა და ცალკე გამოსცა კვირეულის პროგრამა, დაიბეჭდა პლაკატი, გავრცელდა პრესით, ჩაგარდა გამოკითხვა ბიბლიოთეკებისა და მოქალაქეთა მონაწილეობით.

კვირეული ოფიციალურად ფაისხნა 28



აპრილს თბილისის მე-9 საქალაქო ფილიალში (გამგე ლ. კასრაძე). კვირეულის გახსნას ესწრებოდა ქალაქის მერიის კულტურის სამსახურის, კულტურისა და განათლების პროფკავშირების, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პასუხისმგებელი პირები, თსუ მეცნიერ-მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები. გახსნის დღეს ისა-



ობურგეთის, ჭიათურის, ქუთაისისა და სხვა საბიბლიოთეკო გაერთიანებებში. მათი და სხვა რაიონების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ანალიზს ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ;

კვირეული ოფიციალურად დაიხურა 5 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დამსწრეთ სიგყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძემ. იგი შეეხო, საერთოდ,

უბრეს კვირეულის მიზნებსა და ამოცანებზე, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ კვირეული სულ უფრო ფართო გამოხმაურებას პოულობს როგორც მკითხველში, ისე საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებში. ისინი ნათლად ხედავენ ბიბლიოთეკების აუცილებლობას, მათ შეიარაღებას თანამედროვე ტექნოლოგიებით.

დარგში შექმნილ ვითარებას და პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა მკვეთრად გააუმჯობეს-

კვირეულის პროგრამით შინაარსიანი ღონისძიებები ჩატარდა ქ. თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ც. კალმახელიძე), ქ. რუსთავის, მცხეთის, სენაკის,





პრეზენტაცია, ციფრული ბიბლიოთეკა ეროვნულ ბიბლიოთეკაში და სხვა მასალები.

მართალია, კვირეული ოფიციალურად დაიხურა, მაგრამ ღონისძიებები ცალკეული უწყების ბიბლიოთეკებში კვლავ გრძელდება. მაისის თვე მთლიანად ეთმობა კვირეულის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის კვირეული იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ წელს უფრო გაზრდი-

სებს ეროვნული ბიბლიოთეკის მაგერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

კვირეულის დახურვის მონაწილეებს უჩვენეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსები, კერძოდ: ქართული წიგნის მონაცემთა ბაზები ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სამოქალაქო განათლების ციფრული ბიბლიოთეკის პროექტის

ლია ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ინტერესი ბიბლიოთეკისადმი, ბევრ შემთხვევაში ეს ინტერესი საქმით დასტურდება.

კვირეულის დახურვის დროს ბიბლიოთეკართა ერთ ნაწილს გადაეცა თბილისის მერიის ფულადი საჩუქრები და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დიპლომები.



გულნამ ხაბაძე

ნენეს ბოხრით გადაჩენილი ქართული სიტყვა



არ ვიცი როგორ დავიწყო და საიდან დავიწყო. ერთი კი ვიცი – ამ წერილის დაწერის მიზეზი 2005 წელს აჭარაში ჩაგარებული კონფერენცია გახდა. ამ კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე მეც გახლდით.

კონფერენციას ესწრებოდნენ დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები, მათ შორის – ი. ღარიბაშვილი, ა. ლორია და გ. თაყნიაშვილი.

არ ვიცი, საიდან დაიწყო დავა-კამათი ქობულეთის ცენტრ. ბიბლიოთეკის დირექტორსა და

დამსწრე პირებს შორის რელიგიაზე. დირექტორი ამტკიცებდა, რომ კაბინეტში უნდა ჰქონდეს ჯვარი და სხვა რელიგიური წიგნები და უნდა ანთებდეს სანთლებს. ჩემში იფეთქა მთიელის სისხლმა. ყელში მომაწვა და კინაღამ დამასრჩო ბოღმამ, რომელიც დიდი ხნიდან მაწამებდა, თუმცა ისე წავიდა ჩემი კეთილი და დიდად ნაწამები დედა, არავისმე საყვედური არ დასცდენია, ამ კონფერენციაზე კი მე ავლაპარაკდი...

მე დავიბადე ქედის რაიონის სოფ. მახუნცეთში, გლეხის ოჯახში. დედა დიასახლისი იყო, მამა – კოლმეურნე. ჩვენ ოთხი და და ოთხი ძმა ვიმზრდებოდით. ერთი და აღრე გარდაიცვალა, ძმა კი 1996 წელს ციმბირში მდ. ენისეიში ჩავარდა და დაიხრჩო; გვამი ერთი წლის შემდეგ ვიპოვეთ მდინარის პირას და 1997 წ. გადმოვასვენეთ. დედა – ელენე ფარსენაძის ქალი მახუნცეთელი იყო. მამას ის ჯერ კიდევ პატარა – 16 წლისა შეჰყვარებია, რახან მცირეწლოვნად ითვლებოდა, მთავრობა ხელმოწერის უფლებას არ იძლეოდა. აჭარაში მიღებული იყო ნიშნობა და დედაც ძველებურად დანიშნეს. დედა მამამთილმა მიაბარა მოლას თურქული ენის სასწავლად. დედას ამ დროისათვის შვიდწლედანი ჰქონდა დამთავრებული და ქართულსაც კარგად ფლობდა. ეს იყო 1937-38 წლებში. დედა ყოველთვის იცრემლოებოდა, მოლას გაკვეთილებს რომ იხსენებდა. მოლა სასტიკი დესპოტი იყო. ხელში მუდამ თხილის გრძელი ჯოხი ეჭირაო, – ყვებოდა დედა, – და თუ არაბულის სწავლაში ერთი რამ შეგვეშლებოდა, ჯოხის გაგვხვამდე გვირგყამდა, სახლში მისულებს, იარები გვექონდა... ძალიან მწარე განსაკუთრებით ორი წელი იყო. მერე არაბული კითხვაც ვისწავლე და მოლაშაც დამანება თავი.

თვრამეტი წლისას დედას უკვე ერთი შვილი ჰყავდა. გათხოვების შემდეგ დედას უკვე თურქის ქალივით ეცვა. ჩემი ლამაზი დედა მუდამ თავზე თავსაფრიანი, მაჯებდაფარული და ღრმად მორწმუნე „მუსლიმანივით“ იყო.

ოცდაოთხი საათიდან, სულ ნაკლები, 14 საათი ლოცულობდა. ხელში მუდამ ყურანი ეჭირა და მისთვის გაუგებარ ლოცვებს კითხულობდა. ჩემი უფროსი და და ძმა უცებ მოექცნენ დედის და მამის გავლენის ქვეშ. მე კი მესამე ვიყავი და-ძმებს შორის. დავამთავრე საშუალო სკოლა თუ არა, იმ წელსვე ჩავაბარე გამოცდები ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სულ ოთხი გამოცდა იყო. 17 ქულა დავაგროვე, მაგრამ ფული მაშინაც იყო

საჭირო და მექრთამეობას რა ამოფხვნიდა აჭარაში. მე კი სად მექნებოდა საჭირო თანხა და ვერ გავხდი სტუდენტი. ბოლოს და ბოლოს გავხდი კოლწევრი. მაქვს 1500 მეგრი სათამბაქო მიწა და ამ ნაკვეთზე ვერასდროს ვერ მოიწევ ამდენ თამბაქოს; ამიგომ მთელი წლის ნამუშევარს დაიგოვებდნენ კანტორაში და შენ კი ხახამშრალი და ხელცარიელი დარჩებოდი ზამთრის სეზონისათვის. პირველ წელსვე დავინახე, ამ ჩვენ დიდ ოჯახში, სადაც მე ვცხოვრობდი, ჩემი დედა როგორ წვალობდა დიდის 9 საათიდან გვიან ღამემდე. დედა კოლმეურნობაში შრომობდა და, მიუხედავად ამისა, არც ერთი „ვახგი“ – დღეში 5 ლოცვა არ გაუცდენია. სახლში მოსულს, მშვიერი შვილები და კაპრიზული მამამთილი, მამლები და ქმარი ხვდებოდა. მე ვუყურებდი, როგორ წვალობდა დედა – მაშინ სად იყო გაზი. ყველაფერი შეშაბე უნდა მოგემზადებინა. დედა ძალიან სწრაფად გამოაცხოვდა კეცის მჭალებს და გემრიელ საჭმელს დაამზადებდა. მახსოვს, პატარებს რამდენჯერ მშიერსაც დაგვძინებია დედის ფაცი-ფუცობაში. გვიან ღამით რეცხავდა სარეცხს და, ვინ იცის, იქნებ სულაც ბევრჯერ არც კი სძინებია. ძალიან შემეცოდა დედა და სამი წელი წელში გავწყვიდი, რათა დედისათვის შრომა შემემსუბუქებინა. მუსლიმანობა მძვინვარებდა ოჯახში და მე მივხვდი, რომ ამ სოფლიდან წინ ვერ წავიდი. შვედი პარგიაში და პარგიული საგზურით წავედი დაბა რეჩხის სადგურზე სამუშაოდ გალში. იქიდან 1973 წელს თბილისში გავემგზავრე და ა. ს. პუშკინის სახელობის პედ. ინსტიტუტში ბიბლიოთეკისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე მოვეწყვე. მოვიხატულე, შევქმენი ოჯახი, მეუღლე გამგებიანი და ქრისტიანი აღმოჩნდა. მყავს 2 ვაჟი მონათლულები და წმინდა სისხლის ქრისტიანები. ქალიშვილი კი დაბადებისთანავე მოვხატულე. ახლა თბილისში ცხოვრობს და მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ, აჭარლებმა ქრისტიანობა დავიბრუნეთ. ძალიან ბევრი ეკლესია აშენდა ჩვენთან. ქედაში კი სამი ეკლესია მოქმედებს. ყველაზე მნიშვნელოვანი

კი ჩემს მონათხრობში ისაა, რომ დედას, რომელიც ოთხი წელია მკვდარია, სიკვდილის წინ „ბიბლია“ წავუკითხე და დიდხანს ამის შემდეგაც ხშირად ვკითხულობდი; ავადმყოფობაში დროს ამით ვკლავდით და როცა ერთხელ წავუკითხე ის ადგილი, სადაც წერია – გავაჩინე ადამიანი, მივეცი სალაპარაკო ენა, რაზე თუ ჩემგან გაჩენილი ადამიანი ჩემს მიერ მიცემულ სალაპარაკო ენაზე არ კითხულობს და არ ლოცულობს, ჩემამდე მოსასვლელი გზები გადაკეტილიაო, დედა დაჟინებით მთხოვდა, კიდეც და კიდეც წამეკითხა ეს ადგილი და ბოლოს მითხრა: – დედი, ბელნიერი ვარ, რომ თქვენ ისევ ქრისტეს რჯულზე ხართ და თუ მე მთელი 60 წელი არასწორად ვილოცე და ვიკითხე, ჩემს მამამთილს ჰქონდეს ჩემი ცოდვა, თქვენ კი, რასაც გული გიკარნახებთ, ის აკეთეთო.

დედამ ძალიან ბევრი რამ იცოდა და ხალხურ ფოლკლორს არაერთი ლექსი, გამონათქვამები, ლოცვები და წყევლები შესძინა. მე 20 წლისა ვიყავი, დიდი ბებიამ კი 103 წლისა, კეცის ჭაღს აცხობდა და დავინახე, ხელით ცომზე ჯვარი გამოსახა, ამგვარად გამომცხვარ მჭაღზე ჯვარი ეხაგა. ვკითხე – ბებიამ ეს რას ნიშნავს-მეთქი. მიპასუხა: – შვილო, აი, ამ ჩაღრით გადავარჩინეთ ქართული სიგყვა და კეცის მჭაღით ჯვარიო. თუმცა დედაჩემის დედამ – ჩემმა ბებიამ – არც ქართული და არც სპარსულ-არაბული წერა-კითხვა არ იცოდა.

ჩვენ ქელის რაიონში ბიბლიოთეკის კვირეულისათვის ძალიან დიდძალი მასალა მოვაგროვეთ. ჩვენთან სოფელში აღმოჩენილია ძალიან ბევრი ჩამარხული ღვინის ქვევრები, ალიბის ქვაში გამოკვეთილი საწნახელი, ღვინის მარანი და ბევრი სხვა რამ, რაც დღეს არქეოლოგების კვლევისა და ძიების საგანია. ზოგი ვარაუდობს, რომ ქვევრები XII საუკუნის დროინდელია. დიდი ბებიამ ამბობდა, რომ მახუნცეთში თამარის ძეგლი მდგარა და თათრებს 300 წლიანი ბაგონობის დროს გაუნადგურებიათ. თუმცა მახუნცეთი დღესაც ამაყობს ბალვანას ცყეში თამარის ციხის ნანგრევებით. იქ

ერთხელ მეც ვიყავი ექსკურსიაზე და ვნახეთ ნარჩენები და ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ქელაში თამარ მეფე მართლაც ყოფილა. მახუნცეთს თამარის თაღოვანი ხიდი ამშვენებს აჭარის წყალზე, იქ, სადაც „აწქესია“. დანდალოს თაღოვანი ხიდიც ასევე თამარ მეფის სახელს აგარებს.

მე აქ კიდეც ერთს დავამატებ, თუმცა ბუსტი ინფორმაცია არ მაქვს და არ ვიცი, მართლა ბერძნების მიერ არის ეს ბარი ჩამოტანილი XII ს. და ნაჩუქარი თუ არა, მაგრამ როცა სახლში მამასთან ვთქვი, ასეთი რამეების შეგროვება დავიწყე და ფოლკლორის საღამოს ვაგარებ-მეთქი, მამამ მითხრა: – მე ერთ საიღუმლოს გაგანლობ, მაგრამ ჩემი თავი არ გამოაჩინო, ისე კი მოძებნე, სად გაქრაო.

მამამ 1940-47 წლებში აწქესის სახანძრო ნაწილში მსახურობდა. იქ ჰქონიათ მამის ჩამოკიდებული ერთი ბარი, რომელიც ძალიან ძვირფასი ყოფილა არაბული თუ ბერძნული წარწერებით და თუ სადმე ხანძარი გაჩნდებოდა, მოსახლეობას ამცნობდნენ და უხმობდნენ საშველადო. დიდი ხნის შემდეგ მამამ თქვა, რომ ბარი მოიპარესო, დაიკარგა და არც არავის მოუკითხავს; ისე კი, ხალხის გადმოცემით ვიცოდით, რომ ის ბარი თამარ მეფის ციხის თავს ამშვენებდა და მგრის შემოგვევების დროს ხალხს საშიშროებას ამცნობდა. მე ძალიან მომიწონდა ამ საიღუმლო ბარის მოძებნა. ბევრი ვინმე შევაწუხეთ, და ბოლოს ცხონებული სახანძრო განყოფილების უფროსის სახლში იატაკქვეშ დამალული აღმოვაჩინეთ. წარწერები მართლა ბერძნულია და XII ს. მიეკუთვნება. შემდეგ საქმეში ჩაერია სამღვდლოება, სხალთის ეკლესიის ბარი გაბზარული იყო, ქელაში ამ დროს მოღვაწეობდა მამამ თევდორე, რომელმაც ბარი სხალთის ეკლესიაში წაიღო იმ პირობით, თუ მახუნცეთში ეკლესია აშენდება, ბარი მას დაუბრუნდება.

ვარ ქრისტიანი, მაგრამ სანთლებს სამსახურში – კაბინეტში კი არ ვანთებ, არამედ ეკლესიაში.



მარიამ ბოლაშვილი

ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა

გავაძლიეროთ ინფორმაციის მოწოდება

ჩვენს ჟურნალს ხშირად აწვდიან სკოლის ბიბლიოთეკარები პაგარ-პაგარა კორესპონდენციებს, რომლებშიც ისინი გვაცნობენ თავიანთ ბიბლიოთეკებს და იმ ღონისძიებებს, რომლებიც ბიბლიოთეკაში გარდება. ჩვენი სასკოლო ბიბლიოთეკების გასაცნობად ამას დიდი მნიშვნელობა აქვს – საშუალება გვძლევს, თვალყური ვადევნოთ არსებულ მდგომარეობას. ახლახან მივიღეთ თბილისის 88-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგის მარიამ ბოლაშვილის წერილი, რომელსაც ვაცნობთ ჩვენს მკითხველებს და იმედს გამოვთქვამთ, რომ სხვა სკოლების ბიბლიოთეკარებიც მოგვაწვდიან ცნობებს თავიანთი ბიბლიოთეკების შესახებ.

88-ე საშუალო სკოლა დაარსდა 1936 წელს. დღიდან დაარსებისა სკოლაში შეიქმნა ბიბლიოთეკაც.

1954 წლიდან სკოლის დირექტორად დაინიშნა ივანე გიორგაძე. იგი იყო სამამულო ომის მონაწილე, მრავალი მედლითა და ორდენით დაჯილდოებული. მას გამოცემული აქვს წიგნი „უკვდავება“, რომელიც დაცულია ჩვენს ბიბლიოთეკაში. ამ წიგნში ის აღწერს ქართველ პედაგოგთა ღვაწლს დიდ სამამულო ომში. ამჟამად სკოლას სწორედ ი. გიორგაძის სახელი აქვს მიკუთვნებული. ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება აგრეთვე წიგნებად აკინძული მოგონება ყველა იმ ქართველი პედაგოგისა, რომელიც დიდ სამამულო ომში იბრძოდა.

წლების განმავლობაში ბიბლიოთეკის წიგნანი ფონდი ივსებოდა როგორც საბავშვო, ისე მეთოდური ლიგერაგურით.

ამჟამად სკოლის ბიბლიოთეკის წიგნანი ფონდი შეიცავს 6680 წიგნს. 1960 წლიდან 2004 წლამდე ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა ქალბატონი ქუქუნა ბუჭყიაშვილი. სწორედ მისი მუშაობის პერიოდში განსაკუთრებით გამდიდრდა ჩვენი ბიბლიოთეკა. მისი მცდელობით იქნა შექმნილი საბჭოთა და ბარათული საბავ-

შვო ენციკლოპედიები და მსოფლიო საბავშვო ლიგერაგურა.

2004 წლის ოქტომბრის თვიდან ბიბლიოთეკა მე ჩავიბარე. სამწუხაროდ, უკვე აღარ არის საშუალება ბიბლიოთეკის გამდიდრებისა წიგნებით. დღეისთვის ჩვენს სკოლაში ირიცხება 380 მოსწავლე, აქედან ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველად ითვლება 130 მოსწავლე.

ბიბლიოთეკაში მოწყობილია მხატვრული სტენდების კუთხეები:

„ენა, მამული, სარწმუნოება“,

„რელიგიის კუთხე“,

„ხელოვნებაა თავად უკვდავება“ და სხვ.

საგნის პედაგოგებთან ერთად, ჩავაგარეთ ღონისძიებები: „დავით გურამიშვილის დაბადებიდან 300 წლისთავი.“ „ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბრუნება“ /გამოგუშვით გაზეთი/, „დავით აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება“, „რას გვიაბობს საქართველოს მადლიანი მიწა“, „დედაშვილობა – ანთებული ლამპარი“ და სხვ.

დაგეგმილი გვაქვს კიდევ მრავალი ღონისძიების ჩაგარება – პოეზიის საღამოს, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვ.



ლუიზა ქუმელაშვილი
თბგ მეთოდისტი

შეხვედრა ნორჩ უემოქმედთან

თბგ №3 ბიბლიოთეკაში შესვლისთანავე ყველას ყურადღებას იპყრობდა ლამაზი გამოფენა „უფალი მარჯვენას გვიკურთხებს“, რომელზედაც გამოფენილი იყო სანდომიანი, ქართული ხიბლით დაჯილდოვებული ნორჩი შემოქმედის – ოთარ კახიძის შემოქმედების ამსახველი მასალა – მისი პორტრეტი, ქურნალ-გაზეთები, რომლებშიც გამოქვეყნებულია სტატიები მის შესახებ.

23 მარტს ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მკითხველები და პედაგოგები შეხვდნენ 89-ე საშ. სკოლის ყოფილ წარჩინებულ მოსწავლეს – ოთარ კახიძეს.

შეხვედრა გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ მერი ლომიამ, რომელიც გულთბილად მიესალმა სტუმარს და აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში უჩვეულო დღეა: ჩვენს დღევანდელ სტუმარს მოვუწყვეთ ნამდვილი გეიმი – მასთან შესახვედრად აქ მოვიდნენ მისი ყოფილი სკოლის პედაგოგები, კლასელები და მეგობრები, რომელთაც ეამაყებათ ოთართან სიახლოვე, ამაყობენ მისი წარმატებებით. ოთარ კახიძე ტელეგადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ გამარჯვებულია. მის შესახებ ბევრჯერ დაიწერა წერილები გაზეთებში: „ხმა ერისა“, „მერანი“, „გამაფხული“, „ნერგი“, „ახალი განათლება“, „საქ. რე-



სპუბლიკა“. ქურნალებში: „დაჩი“, „ნაკალული“, „ოდოშერი“. ოთარი არის გაზეთ „ნერგის“ ბავშვთა ღარბაზის“ წევრი, ქალბატონმა მერიმ საქართველოს ისტორიის თაყვანისმცემელს საჩუქრად გადასცა ჯ. აფციაურის წიგნი „თეიმურაზი“.

თბგ მეთოდური განყოფილების გამგემ ნანული გოგაგიშვილმა ილაპარაკა დიდი წარმატებების შესახებ პაგარა ოთარისა, რომელმაც სკოლაში შესვლისთანავე მიიპყრო პე-

დაგოგებისა და მოსწავლეთა ყურადღება, იგი დღეს თბილისის მე-3 ექსპერიმენტული საშ. სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა. 6 წლიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის „შემოქმედ მოსწავლეთა“ სტუდიის აქტიური წევრია, ამავე სასახლის ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის საკრებულოს ვიცე-პრეზიდენტი. დაწერილი აქვს ისტორიული ნაშრომი „ბაგრატიონი“, გამოკვლევა გიორგი სააკაძის შესახებ, საინტერესო ნაშრომი ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორცაა „ტრანსკავკასიის მაგისტრალი და საქართველოს უძველესი სატრანზიტო გზები“, შეადგინა XI ს. გეოგრაფიული რუკა.

2002 წელს სრულიად საქ. კათალიკოს-პატრიარქის – ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გრა-

ლიციულ საშემოდგომო კონკურსში – „კიდევაც დაიბრლებიან“ – ნომინაციებში „მხაგვრული კითხვა“, „თავისუფალი თბულება“, „საეკლესიო კითხვა“, „რწმენა და ცოდნა“, დაიმსახურა I ხარისხის დიპლომები, ხშირად სტუმრობს ფოლკლორის კაბინეტს. უძღვება სხვადასხვა ღონისძიებებს. კარგად იცნობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ კლასიკას, ეწაფება ხალხურ პოეზიას. განსაკუთრებით თაყვანს სცემს ვაჟა-ფშაველას. იგი III-IV კლასში გაეცნო ამ ბუმბერაზ მწერალს და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მოზარდზე, რომ ვაჟა-ფშაველასთან გასაუბრება დაწერა სათაურით „ბეცაშია არწივების ადგილი“.

პოეტი ლამარა რჩეულიშვილი მიესალმა ნორჩ შემოქმედს. განსაკუთრებით მოიწონა მისი ლექსი „დიდგორის ბრძოლა“, რომელშიც ავტორი თავის დიდ პატივისცემას გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის მიმართ; მოწიწებით თავდახრილს, ვერ გაუბედავს მის საფლავზე ფეხის დადგმა:

„დიდი დავითის წმინდა საფლავი,

ვერ გავიმეტე ფეხდასადგმელადო“, – გულწრფელად ამბობს ნორჩი პოეტი. მიხარია, რომ შენ, ასე პატივს, ასე შეგტკივა გული საქართველოზე, რომ ასე გწამს მისი მომავლისა.

ლ. რჩეულიშვილმა საკუთარი ლექსი მიუძღვნა ოთარს.

89-ე საშ. სკოლის პედაგოგმა იზო შარაშენიძემ აღნიშნა, რომ ოთარი არის უნიჭიერესი ბავშვი, როცა მე მის გაკვეთილზე შევდიოდი, სპეციალურად ვემზადებოდი, რომ ოთარისგან დასმულ ყველა კითხვისთვის მეპასუხა. ძალზე მწყდება გული, რომ ჩვენს სკოლაში აღარ სწავლობს, მაგრამ მაინც ყოველთვის იქნება ჩვენი სკოლის სიამაყე. „შენ ერთხელ მორიდებით მთხოვე, – შეახსენებს მასწავლებელი, – ნუ მაქებო. მე გისურვებ, ყოველთვის ასეთი თავმდაბალი იყო, ჩვენი ქვეყნის სასახელო ადამიანი.

გაბეთ „რაეოს“ წარმომადგენლებმა ცისანა

ქოჩიაშვილმა მოიგონა, როგორ ესტუმრა მას 12 წლის ოთარი გაბეთ „რაეოს“ რედაქციაში და 9 წლის ასაკიდან დაწერილი ლექსები მოუგანა. რედაქციის თანამშრომლებმა გულში ჩაიკრეს და შეიყვარეს ეს ლამაზი, ვაჟკაცური, ლექსზე შეყვარებული, ბევრი მინიატურის, შეგონების, იგავ-არაკის პატივს ავგორი. ჩვენი გაბეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მისი ლამაზი სიგყვები:

„გმაღლობ უფალო,

რომ დამბადე თავის უფალი“.

დღეს ოთარი უკვე ჩამოყალიბებული მწერალია, – ამბობს ქ-ნი ცისანა და მიმართავს ავტორს: „გთხოვ, ჩემო პატივს მეგობარო, არ დაგახვიოს თავბრუ ამ წარმატებებმა. შენ, ასეთი რელიგიური, მჯერა, არ გადახვალ გმიდან. მაღლობა შენს სკოლას, შენს მშობლებს, ვინც შენ ასე ჩამოგაყალიბა“.

2006 წელი ბელნიერად შემოვიდა ოთარის ცხოვრებაში. იგი გახდა საქართველოს პრემი-დენგის სტიპენდიანტი.

89-ე სკოლის პედაგოგმა ლია კუნელაურმა მოიგონა ოთართან ურთიერთობის პერიოდი. იგი არ ასწავლიდა მას, მაგრამ როცა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში იხილა, თუ როგორ განახორციელა დიდი წინაპრის სახე დაინახა, კარგი მომავლის ახალგაზრდასთან ჰქონდა საქმე ოთარი ძალზე განათლებული, ერუდირებული ბავშვია, თავმდაბალი და ბრდილობიანი.

ოთარ კახიძის გასაუბრება ვაჟა-ფშაველასთან „ბეცაშია არწივების ადგილი“ მხაგვრულად წაიკითხა მერი ლომიამ.

ოთარ კახიძის ლექსები წაიკითხეს 89-ე საშ. სკოლის მოსწავლეებმა, მისმა მეგობრებმა და ბიბლიოთეკის მკითხველებმა: ციცინო გელაშვილმა, გვანცა კაპანაძემ, სანდრო ბელენაშვილმა, მირანდა გაგუამ, ლაშა გავარდაშვილმა, მირიან ოდიშარიამ, მარი გოგიაშვილმა, სალომე ჩანთაძემ, ეკა გეჟანაძემ, გიორგი გობეჩიამ და სხვ.

ოთარ კახიძემ დიდი მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, 89-ე საშუალო სკოლის პედაგოგებს, ყოფილ კლასელებს, მეგობრებს, თითოეულ გამომსვლელს გულთბილი სიგყვებისათვის, მხარდაჭერისა და შეფასებისათვის. ისაუბრა თავისი ინტერესების შესახებ, მას გადაწყვეტილი აქვს, სრულყოფილად დაეუფლოს ინგლისურ, რუსულ და არაბულ ენებს. არის ეკლესიური. გაფხულში თავის

მშობლიურ სოფელ ოფჩაში ეკლესიაში სტიქაროსნად მუშაობს. ძალზე ბევრს კითხულობს და სჯერა თავისი ქვეყნის მომავლისა.

თბგ მეთოდისგმა ნ. ჯარიაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ოთარს, მის მშობლებს ასეთი ვაჟკაცის გაზრდისათვის.

ღიას! მეც მჯერა, რომ ოთარ კახიძე ნამდვილად არის ბედნიერი და გაბრწყინებული საქართველოს მომავალი.

ლაპაზი სალაპო



2006 წლის 7 მარტს შ. დადიანის სახ. 35-ე ბიბლიოთეკამ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყო ბიბლიოთეკის მკითხველ სახელოვან ქალებს – დიდი სამამულო ომის მონაწილეს თინა ღვინიაშვილს და ახალგაზრდა პოეტს ლია ქადაგიშვილს.

ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა და მეგობარმა მურთაბ ურიდიამ კაცობრიობის საუკეთესო ნახევარს მიულოცა ქალთა დღე, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს კი უსურვა წარმატებები თავიანთ პროფესიული მისიის – ახალგაზრდობის სულიერი საზრდოს – წიგნ-

ბით აღზრდის კეთილშობილურ საქმიანობის შესრულებაში.

3 წლის თეკლა კუდაშვილმა შეასრულა საქართველოს ჰიმნი.

ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მზია აბრამიშვილმა ისაუბრა ქ-ნი თინა ღვინიაშვილის მიერ გმირულად განვლილ გზაზე. სრულიად ახალგაზრდა მედდა, რომელიც სამედიცინო ინ-

სტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა, გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. სამშობლოს სიყვარულით აღსავსე გოგონა მედგრად იბრძოდა ჯარისკაცების გადასარჩენად, არ უშინდებოდა მგრის ცყვიას. თავდადებული ბრძოლისათვის მან მრავალი ჯილდო დაიმსახურა ქერჩში, უნგრეთსა და პოლონეთში. იგი ბრძოლით შევიდა გერმანიაში, სადაც იბეიმა გამარჯვების დღესასწაული.

ქ-ნი თინა დიდ სამამულო ომში შეხვდა თემურამ ჯანგულაშვილს, რომელმაც არაერთი ლექსი უძღვნა ახალგაზრდა თანამებრძოლ

ქალს. ამ ომში გაიცნო ქ-ნმა თინამ თავისი მომავალი მეუღლე, რომელსაც შემდეგ თავისი ცხოვრება დაუკავშირა.

ბ-ნმა მურთაბ ურიდიამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ახალგაზრდა პოეტი ლია ქადაგიშვილი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ნაბიჯებს დგამს ქართულ მწერლობაში, თავისი ლექსებით უკვე გაახარა მკითხველი. ლექსების ორი კრებული „სულის გაძარი“ და „ლოდინი ქალის,“ რომელშიც ჩანს ავგორის სევდაც, მწუხარებაც, ტკივილიც და სიხარულიც. ბაგონმა მურთაბმა ახალგაზრდა ქალს დაულოცა ცხოვრების მეტად რთული გზა პოეზიაში და უსურვა წარმატებები.

ქ-ნ ლიას მიესალმა პოეტი დავით გაკიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ლიას ლექსებში არის პოეტური ამროვნება, ნიჭიერება. აღსანიშნავია, რომ დ. გაკიძემ მრავალი ლექსი მიუძღვნა ქალებს.

ქ-ნ ლიას მიესალმა მხაგვარი ელენე გამგონიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მას მეტად მოსწონს პოეტის ნაზი და ღრმადმინაარსიანი ლექსები. „ქართველი ქალი არის შეუფასებლად საამაყო, ხოლო იყო ქართველი დედა – ეს მართლაც გმირობაა“. ქ-ნი ლია არის კარგი მეუღლე და ორი ვაჟკაცის დედა.

ბიბლიოთეკის ძველმა მკითხველმა შ. წურუშიამ შეუძლოდ ყოფნის გამო ვერ შესძლო ამ საღამოზე დასწრება და ბარათით მიულოცა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ქალთა დღე, მისმა ქალიშვილმა ნინომ კი წაიკითხა ქალებისადმი მიძღვნილი ლექსი.


ქ-ნი ლიას მიესალმა მე-12 ბიბლიოთეკის გამგე ნინო მიშელაძე, რომელმაც გაიხსენა მ. გონაშვილის ბრწყინვალე სიტყვები: „ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი“. დღეს მართლაც ასეთი პერიოდი ჩვენი ქალებისათვის, მაგრამ ჩვენ ოპტიმისტები ვართ, მან დიდი გრძნობით წაიკითხა ქ-ნ ლიას ლექსი „არ დავბერდები“.


ქ-ნი ლიას ლექსები წაიკითხეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა: ბარბარა გოგიშვილმა, თამთა გიგაურმა, სოფიკო ტაველიურაშვილმა, ნინო გურიშვილმა და სხვ.

ბიბლიოთეკის მკითხველმა მამუკა ზურიშვილმა დამსწრე ქალებს მიულოცა დღესასწაული და შეასრულა ქართული სიმღერები.

თბგ მეთოდისტი ნ. ჯარიაშვილი სიყვარულითა და დიდი პატივისცემით მიესალმა დიდი სამამულო ომის მონაწილე მსცოვან ქ-ნ თინა ღვინიაშვილს და აღნიშნა, რომ მიუხედავად მის მიერ განვიღმ მძიმე ცხოვრებისა, სასია მოვნოა, რომ იგი ასე მხნედ და ხალისიანად დგას ჩვენს წინაშე, პოეტ ქალს – ლია ქადაგიშვილს კი მაღლობა გადაუხადა ლამაზი პოეზიისათვის, რომელმაც დიდი სიამოვნება მიანიჭა ყველას. ვუსურვებ მას, კიდევ მრავალი ახალი ლექსებით დაეგკბოს მკითხველი.

თ. ღვინიაშვილმა და ლ. ქადაგიშვილმა ყველა ქალს მიულოცა ლამაზი დღე და უსურვა მთავარი – კარგი შვილების აღზრდა, მაღლობა გადაუხადეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ამ ლამაზი დღის ჩუქებისთვის, რომელიც დაუვიწყარი იქნება მათ ცხოვრებაში.





მარიამ ხარაგიძე

პატარა საქმის დიდი მნიშვნელობა

„დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და სორცით მოშლისა“

10015



ყველამ კარგად უწყის, რაოდენ წიგნიერია ქართველი ერი. ლათინური სიგყვა „კულტურა“ (cultura), რაც განათლებას, განვითარებას, საზოგადოებრივი და გონებრივი განვითარების ღონეს ნიშნავს, მუდამ თანმდევი იყო საქართველოსი. არც ერთ ეპოქაში არ განგვიცდია მისი ნაკლებობა და დაკნინება, ამასთან, დღემდე შევინარჩუნეთ და არ მოვწყდით ჩვენს ფესვებს, რაშიც დაგვეხმარა ფოლკლორისა და ეთნოგრაფიისადმი დიდი სიყვარული. რასაკვირველია, ამავე დროს თანამედროვეობა ცხოვრებაზე თავის კვალს გოვებს და, აქედან გამომდინარე, მე ვთვლი, რომ ქართულ სოფელში ფოლკლორისტიკას გამყარება სჭირდება. სწორედ ამისათვის მინდა ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიგანო ამ საქმეში. ჩვენს ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მცირე ეთნოგრაფიულ კუთხეს დაეთმო, სადაც მხოლოდ ჩემს სოფელში შეგროვებული ექსპო-

ნაგები განათავსეს. ვახსნაზე მოვიწვიე ჩვენი სკოლის პედაგოგები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში, პერიოდულად, ერთმანეთთან შეთანხმებით მობრძანდებიან ხოლმე თავიანთი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან ერთად, რომლებსაც შეუძლიათ გაეცნონ ისეთ ნივთებს, რომლებიც ადამიანის სულში ქართულ სულისკვეთებას აღვივებს.

აბსოლუტური გულწრფელობით ვამბობ, რომ თითოეულ მნახველში კარგად ვხედავ იმ გარდასახვას, რაც მათ სულში ხდება. ისინი ნახულობენ რა თავისი თანასოფლელების ხელით შექმნილ სხვადასხვა ნივთს, უმაღლესი იღვიძებს მათში შემოქმედების ნიჭი.


მე გამაკვირვა ერთმა გარემოებამ: როდესაც დავიწყე მოსახლეობაში სამუშეუმო ექსპონატების შეგროვება, ხნიერმა ხალხმა უდიდესი სურვილი გამოხატა ამ საქმის მიმართ. სიხარულით გამოჰქონდათ ოჯახებიდან და მაგანდნენ ძველ ნივთებს, რადგან მათ იპოვეს ადგილი, სადაც სავსებით უსაფრთხოა საყვარელი ნივთების მოთავსება.

ადამიანმა განვითარების მაღალ ღონეს რომ მიღწიოს, დაწყებული ბავშვობიდან, რამდენიმე ეტაპი უნდა გაიაროს. ჩვენს ბიბლიოთეკაში უმცროს-კლასელთა განყოფილებაში თაროებზე განთავსებული მაქვს ჩემს მიერ შექმნილი ქარ-

თული ხალხური მრავლების პერსონაჟები-თოჯინები. მათი გამოყენება თოჯინების თეატრში სპექტაკლის დასა-დგმელად საესეებით შესაძლე-ბელია. რამდენიმე მოსწა-ვლესთან ერთად დადგმული ვეაქვს 3 სპექტაკლი.

მე ნათლად ვხედავ ბა-ვშეებისათვის ამის აუცილე-ბლობას. მისი შედეგით კმა-ყოფილება ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო პატარებისათვის, არამედ ყველა ადამიანისათვის.

ჩვენს მცირე ზომის ბიბლიოთეკაში კიდეც არის ერთი კუთხე, რომელიც დათმობილი აქვს მხატვრობას. აქ განთავსებული თვითნასწავლი



მხატვრების ნამუშევრები მომცრო, მაგრამ თა-ვის მხრივ საინტერესო და საყურადღებო.

ვინ მოსთვლის ადამიანის მიღწევებს სუ-ლიერ სფეროში, მაგრამ ერთი კი უდავოა: ხელშეწყობა ყველაფერს სჭირდება მისი ყო-ველმხრივი განვითარებისათვის.



ზუმრუდ გოდერძიშვილი


„ერთი მწერლის გრიბუნა“ ბიბლიოთეკაში



ამ რუბრიკით მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში 15 დეკემბერს ჩატარდა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ განხილვა. აქ ორ ათეულ წელზე მეტია გარდება „მინილექ-ტორინები“, რომელთა გაძლოლა მე მაქვს და-კისრებული. „ერთი მწერლის გრიბუნა“ ითვა-ლისწინებს როგორც ქართული კლასიკო-სების, ისე საზღვარგარეთელი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედებითი ნაწარმოებე-ბის პროპაგანდას, საშუალო და უმაღლესი სა-სწავლებლების პროგრამების მიხედვით. აღნი-შნული ღონისძიება გარდება თვეში ერთხელ,

საიუბილეო და მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით, რაც მკითხველთა დიდ ინტე-რესს და მოწონებას იმსახურებს. „ერთი მწე-რლის გრიბუნის“ რუბრიკით გარდება მრავალი მწერლის შემოქმედების განხილვა, მათი მოღვაწეობის ქრონიკები, ნაწარმოებების თე-მების იდეის წარმოჩენა, პერსონაჟთა დახასი-ათება, მწერლის კრელოს, შემოქმედებითი მო-ტივების გაანალიზება.

ბიბლიოთეკაში ჩატარებულია ილიას, აკა-კის, ვაჟას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, აგრეთვე თანამედროვე მწერლების – ჯანსუღ



ინგერესო მწერლის შესახებ ლექტორიუმის ჩატარებას, რასაც დიდი ენთუზიაზმით და რუღუნებით უძღვება ბიბლიოთეკის საორგანიზაციო საბჭო ქეთევან ნიკურაძის, ნელი თავდიშვილის, ქუქუნა წამალაიძის, ირმა ქელდიშვილის, თინათინ ლონდარიძის და ნათელა კვირიკაშვილის შემადგენლობით.

გასულ 2005 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა აკაკი წერეთლის, მიხეილ ჯავახიშვილის, ლევან გო-

ჩარკვიანის, მუხრან მაჭავარიანის, თამაზ ჭილაძის, ოთარ ჭელიძის, გურამ ფანჯიკიძის, ნოდარ ღუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ ღოჩანაშვილის, ლაშა ბულაძის შემოქმედების და ცალკეული ნაწარმოებების მიმოხილვა.

დიდა დაინტერესება აგრეთვე საზღვარგარეთელი მწერლებისა – გი ლე მოპასანის, ემილ ზოლას, გუსტავ ფლობერის, ალ. დიუმას და სხვა ავტორთა ნაწარმოებების განხილვისადმი. ვინაიდან „ერთი მწერლის გრიბუნის“ სპეციფიკა სასწავლო პროგრამით მითითებულ ნაწარმოებებს ითვალისწინებს, მეტი მნიშვნელობა ენიჭება მის პრაქტიკულ და თეორიულ მიზანს, რადგანაც ხდება მწერლის შესწავლის დამატებითი „გაკვეთილის“ ჩატარების პროცესი.

მოსწავლე ახალგაზრდობა და სტუდენტების დიდი ნაწილი იძენს ცოდნას, მიმდინარეობს ნაწარმოების ათვისების და გაანალიზების თვალსაჩინოებითი რეკომენდაცია. ამ მხრივ დიდ ინტერესს იჩენენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მისი სოხუმის ფილიალის, უცხო ენათა და ლიტერატურის უნივერსიტეტის სტუდენტები, 122-ე, 126-ე, 128-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები. ზოგჯერ ისე ხდება, რომ თვითონ სტუდენტი ახალგაზრდობა ითხოვს მათთვის სა-

თუას, ჭაბუა ამირეჯიბის, ნოდარ ღუმბაძის, ემილ ზოლას, ბალზაკის, გი ლე მოპასანის და სხვათა შემოქმედებითი ლექტორიუმები; თვითოეულ ღონისძიებაზე მსმენელთა დასწრება საშუალოდ 90-ს შეადგენდა. თუ რამდენად საინტერესოდ და მაღალკვალიფიციურ ღონებზე გარდება აღნიშნული ღონისძიება, ადასტურებს 122-ე და 128-ე საშუალო სკოლების, უცხო ენათა ფაკულტეტის, გორგასლის სახელობის კოლეჯის პედაგოგთა და ლექტორთა შთაბეჭდილებები. პედაგოგები: მარინა გიგაური, ქეთევან ძნელაძე, იმა მგალობლიშვილი, სტუდენტები: ნათია კვარაცხელია, თინათინ ფირცხალავა, ნათელა სიჭინავა, ნინო ლეჟავა და სხვები, აგრეთვე 2000-მდე მკითხველი, რომლებიც ზემოაღნიშნული ღონისძიების მსმენელები არიან, მაღლობის სიწყევებს არ იშურებენ და ინტერესით ისმენდნენ თვითოეულ მწერლის შესახებ ჩატარებულ ლექტორიუმს.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 165-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ. ის იმითაც იყო საინტერესო, რომ განხილული იყო მწერლის „დედა ენა“ და „იავნანამ რა ჰქმნა“ როგორც სასწავლო სახელმძღვანელო ნაწარმოებები.

დიდი ინგერესით მოისმინეს გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის, მედეა კახიძის პოეტური შედეგები. მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა მომხსენებელი.

აულიგორიის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას

თუ გავითვალისწინებთ, მსგავსი ღონისძიებები უდავოდ დიდად დაეხმარება მოსწავლე-ახალგაზრდობას მხაგვრული ლიგერაგურის შესწავლა-ათვისებაში, რაც მკითხველთა მოზიდვის კიდევე ერთ საინგერესო ფუნქციად აღიქმება.

მეთოდური სამსახური

გურამ თაყნიაშვილი

მეთოდური სამსახური ბიბლიოთეკაში: გარდაქმნა, სვლილებათა მართვა, რეკომენდაციები

მეთოდი ბერძნული სიტყვაა და კვლევას, შემეცნების გზას ნიშნავს. ეს ცნება აერთიანებს წესების, კანონებისა და ცალკეულ ოპერაციათა სისტემას, რომლის მიზანს შეადგენს სინამდვილის შემეცნება. მეთოდის წესები დაფუძნებულია ჭეშმარიტების კვლევაზე. მეთოდის ძირითადი მოთხოვნაა თეორიისა და პრაქტიკის წესების შესაბამისად მოქმედება, რათა ინტელექტუალური ძალების რაციონალური გამოყენებით მიღწეულ იქნეს საბოლოო მიზანი. მეცნიერული მეთოდების სისტემა მრავალფეროვანია. თითოეულ მეცნიერებას გააჩნია საკუთარი მეთოდები და მეთოდოლოგია. აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკათმცოდნეობას, როგორც პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის დისციპლინას, გააჩნია საკუთარი მეთოდები და მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია საბიბლიოთეკო პრაქტიკის კვლევისა და ანალიზზე. ბიბლიოთეკათმცოდნეობაში მეთოდოლოგია იკვლევს ზოგადი და კერძო ბიბლიოთეკათმცოდნეობის პრობლემებს საბიბლიოთეკო პრაქტიკასთან და სხვა მონათესავე

მეცნიერულ დისციპლინებთან მჭიდრო კავშირში. იმ მიზნით, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ძირითადი კანონზომიერებანი რეალიზებულ იქნეს პრაქტიკაში, წლების მანძილზე ჩამოყალიბებულია მისი მეთოდები. ეს მეთოდები კლასიფიცირებულია საბიბლიოთეკო საქმის ცალკეული მიმართულებების, ოპერაციებისა და ციკლების საფუძველზე. მთავარი არსი და საგანი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა არის ბიბლიოთეკა, როგორც სისტემა და ობიექტური რეალობა.

ბიბლიოთეკის, როგორც სოციალური ინსტიტუტის შესწავლა-გამოკვლევისა და საზოგადოებაში მისი ფუნქციების ჩამოყალიბების მიზნით, შემუშავებულ იქნა გარკვეული მეთოდები, ხერხები, ფორმები და საშუალებები. რაკი ბიბლიოთეკის მთავარი ფუნქციათაგანი მკითხველთა მომსახურებაა, მეთოდური სამსახურის ერთი მთავარი პრობლემათაგანიც სწორედ მკითხველთა სოციალური შემადგენლობისა და მათი საკითხავი ინტერესის დაკმაყოფილების ფორმებისა და მეთოდების შემუშავება გამოიკვეთა. მკითხველთა მომსახურება



სწორედ ის უბანია, რომელიც აღსავსეა შემოქმედებითი მიდგომით, პრაქტიკიდან აღებული სიახლეებით.

ბიბლიოთეკის ორგანიზაციული კულტურა გულისხმობს მის ცალკეულ მიმართულებათა დახვეწილ მართვას, ოპტიმალური მოდელის შემუშავებას. საბიბლიოთეკო მეთოდოლოგია პერიოდებს საბიბლიოთეკო მუშაობის ცალკეული ციკლებისა და ოპერაციების მეთოდთა სისტემას. თანამედროვე ეტაპზე ყველა საბიბლიოთეკო ციკლი ხელმძღვანელობს საერთაშორისო და დარგობრივი სტანდარტებით. სტანდარტები შემუშავებულია ცალკეულ საბიბლიოთეკო ოპერაციათა ოპტიმიზაციისათვის.

საბიბლიოთეკო დარგში მეთოდური სამსახური ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში. თუმცა ბიბლიოთეკების მუშაობის ცალკეული საკითხების მეთოდური დამუშავების ნიმუშები გვხვდება მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულშიც.

საქართველოში სამეცნიერო-მეთოდურმა სამსახურმა ორგანიზაციული სახე მიიღო მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამ სამსახურის ძირითადი ფუნქცია იმთავიდანვე იყო საბიბლიოთეკო პრაქტიკის კვლევა, სიახლეთა განზოგადება, რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდური სამსახური ყოველთვის საზრდოობდა საბიბლიოთეკო პრაქტიკითა და ბიბლიოთეკათმცოდნეობაში შემუშავებული თეორიული დებულებებით. მკითხველებთან მუშაობის სფეროში მეთოდოლოგია ყოველთვის ეყრდნობოდა ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის მიღწევებს, ამასთან, ამავე მეცნიერებებს ყოველთვის აწვდიდა საინტერესო საკვლევ მასალას.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც საბიბლიოთეკო საქმემ შესამჩნევი ცვლილებები განიცადა საბიბლიოთეკო გეგმობრივების შემოგანით, მკვეთრად შეიცვალა მეთოდური სამსახურების როლი და ფუნქცია. ამავე პერიოდში უფრო ნათლად გამოიკვეთა

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის, როგორც ბიბლიოთეკების მართვის ხელოვნების, კონცეფცია. მეთოდური სამსახური სრულიად სამართლიანად მიჩნეულ იქნა საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ორგანულ ნაწილად; იგი თანდათან გადაიქცა ბიბლიოთეკების მართვის საკონსულტაციო ცენტრად. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის რეალური და მიზანმიმართულია, როდესაც იგი ეყრდნობა ბიბლიოთეკების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგიას. მეთოდური სამსახურის ძირითადი ფუნქციები თანამედროვე ეტაპზე შეიძლება ასეთი ფორმით ჩამოვაყალიბოთ:

– საბიბლიოთეკო პრაქტიკის კვლევა, ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება;

– სიახლეთა (ინოვაციათა) გამოვლენა და მათი განზოგადება. ინოვაციური პროცესები ამ დარგში შეუქცევადი ხასიათისაა, ისინი ყოველთვის არსებობს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში და მათი კვლევა და განზოგადება სწორედ მეთოდური სამსახურების პირდაპირ ამოცანას წარმოადგენს;

– საბიბლიოთეკო ქსელის კვლევა, ამ სფეროში არსებული ნორმატიული დოკუმენტაციის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება;

– თანამედროვე ეტაპზე საბიბლიოთეკო ქსელი განიცდის არსებითი ხასიათის სახეცვლილებას; ქსელის მართვა ეყრდნობა საკუთარ საკანონმდებლო ბაზას, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების გარეშე.

– მკითხველებთან მუშაობის სფეროში კონცენტრირებულია ცალკეული პროცესების რეალური შესაძლებლობები, მიღწევები. ამ კუთხით სიახლეთა გამოვლენა, განზოგადება მეთოდური სამსახურის პირდაპირი ფუნქციაა;

– საბიბლიოთეკო დარგის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში მეთოდურმა სამსახურმა თავის დროზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა; ამ მიმართულებით დღესაც ბევრი რამ არის შესაძლებელი, თავიდან შესაშუშავებელი;

– რაც მთავარია, თანამედროვე ეტაპზე მეთოდურმა სამსახურმა უნდა შეძლოს საბიბლიოთეკო დარგში მიმდინარე ცვლილებების მართვა, რეკომენდაციების შემუშავება მენეჯერთათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის;

მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილებები, რომლებიც ამ ეტაპზე ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ფუნქციონირებენ, ფრთხილად უნდა აღევნებდნენ თვალს საბიბლიოთეკო დარგში მიმდინარე ყოველგვარ სიახლესა და ცვლილებებს. სხვა ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში ყოველთვის ყურადსაღებია; რუსეთში, სადაც წლების განმავლობაში დაგროვდა მეთოდური მუშაობის მდიდარი გამოცდილება, დღეს ეს სამსახური გარდაქმნილია თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლებზე, სახელწოდება ძველი დარჩა, შინაარსი გარდაიქმნა. თუ ვინმეს აინტერესებს ამ განყოფილების ძირითადი მიმართულებები და მუშაობის შინაარსი, შეუძლია ნახოს ინტერნეტით მისამართზე: E-mail: i.kachkpuskair@ntr.ru. ზოგი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პირი, მსჯელობს რა მეთოდური განყოფილების შესახებ, იმოწმებს უცხოეთში არსებულ ფაქტებს, რომ ამ სახელწოდებით იქ განყოფილებები არ არსებობს; სანაცვლოდ, არსებობს და წარმატებით მუშაობენ საბიბლიოთეკო ექსპერტთა განყოფილებები, საბიბლიოთეკო ინოვაციათა განყოფილებები; ზოგან შექმნილია ბიბლიოთეკების მართვის საკონსულ-

ტაციო ცენტრები, ექსპერტთა ჯგუფები და ა.შ. სახეცვლილი მეთოდური სამსახურები ყველგან არის, იქ კარგად ესმით ამ სამსახურების როლი და ადგილი ბიბლიოთეკების ორგანიზაციული კულტურის პროცესში; თუმცა საქმე სახელში არ არის, მთავარია, ამ სტრუქტურაში რა შინაარსს ჩავდებთ, შევძლებთ თუ არა მათს გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად.

საქართველოს ზოგიერთ საბიბლიოთეკო სისტემაში ჩამოყალიბდა არასწორი მიდგომა მეთოდური სამსახურისადმი; საბიბლიოთეკო ქსელის შექვეცამ უარყოფითი გეგავლენა იქონია ამ სამსახურზე; ბიბლიოთეკების მინიმალური რაოდენობის პირობებშიც აუცილებელია ამ სახეცვლილი სამსახურების არა მარტო შენარჩუნება, არამედ მათი გაძლიერებაც. მეთოდური სამსახურების შესუსტება გამოიწვია, ერთი მხრივ, ხელმძღვანელ პირთა არასწორმა მიდგომამ და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებამ, მეორე მხრივ, ეს სამსახური დაასუსტა გამოცდილი მეთოდისგების წასვლამ ამ დარგიდან. ბიბლიოთეკების მენეჯერთა ამოცანაა, არა ამ განყოფილებათა მექანიკური უარყოფა, არამედ მათი მუშაობის გარდაქმნა, გაძლიერება, მეთოდისიგთა კვალიფიკაციის ამაღლება, რათა ამ სამსახურმა თავისი როლი შეასრულოს თანამედროვე საბიბლიოთეკო პროექტკაში.



ცისანა წერეთელი

ბავშვები და ინტერნეტი

(როგორ დავიცვათ მოზარდი არასასურველი ინფორმაციისგან)

მ ინფორმაციის მრავალფეროვნება და მუდმივად მზარდი მოცულობა ძიების სერიოზული ჩვევების ფლობას მოითხოვს. მოზარდისათვის ხშირად სირთულეს წარმოადგენს ინფორმაციის შერჩევა, მისი შეფასება, გადამუშავება და შენახვა. ამ სფეროში მოსწავლეთა სრულფასოვანი მომზადება შესაძლებელია ყველა ასაკში სწავლების პროცესის ინტეგრაციით. ძიების წარმართვის განსახორციელებლად ინტერნეტში სწავლება, სასურველია, როგორც მოზარდებისთვის, ასევე იმ სპეციალისტებისთვისაც, რომლებიც დასაქმებული არიან ბიბლიოთეკაში და აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ სამუშაოს. მიღებული ცოდნის გამყარების აუცილებლობაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც მიიღწევა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებთან დამოუკიდებელი მუშაობით. თეორიული თუ პრაქტიკული საქმიანობის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლების და ბიბლიოთეკების ერთობლივ ძალისხმევას, ერთობლივ პროგრამებს. ახალ ათასწლეულში საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია გრაფიკული, სულიერების შენარჩუნებისა და ეთიკურ-მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი, მოზარდის მკითხველობითი კულტურის ფორმირებისადმი.

ინტერნეტის ქსელში ჩართული მოზარდის მშობელი, პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, სასურველი იქნება, და, ვფიქრობთ, აუცილებელიც, თუ გაითვალისწინებენ მოზარდის ინტერესებს. სასურველი იქნება შეამოწმონ, კონკრული გაუწიონ იმას, თუ რა ინფორმაციას კითხულობს, ათვალისწინებენ მოზარდი, ვინაიდან ინტერნეტის ქსელში, ამ გიგანტური ინფორმაციის წყაროში,

არის ისეთი „ბნელი“ ადგილები, სადაც დაცული ყველა ინფორმაციის ხილვა ბავშვებისათვის არ არის მიზანშეწონილი. უმრავლესი ვებ-კვანძები – „ოთახი საუბრისთვის“, „ტელეკონფერენციები“ სხვადასხვა ასაკის ადამიანების დიდ დაინტერესებას იწვევს, მაგრამ მოიპოვება ისეთი ვებ-გვერდებიც, რომელთა ხილვა დასაშვებია მხოლოდ მოზრდილი ადამიანებისათვის. არასასურველი ინფორმაციისაგან ბავშვის, მოზარდის დაცვა ინტერნეტის ქსელში შესვლის სრული აკრძალვით, პრობლემას ვერ გადაჭრის, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ბავშვებს მოაკლდებათ საგანმანათლებლო, გასართობი, შემეცნებითი და სხვა საინტერესო ვებ-კვანძების ხილვის შესაძლებლობა. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, რომ ბავშვები არ მოხვდნენ არასასურველ ვებ-გვერდებზე, ვფიქრობთ, სამუშაო განხორციელდეს ორი მიმართულებით: ა) საუბარი ბავშვებთან, რაც სასურველია წარმართოს პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებისთვის, რომ მათ იმუშაონ მხოლოდ კონკრეტული პროგრამული დავალების შესასრულებლად. ბიბლიოთეკაში, სკოლაში მოღვაწე ფსიქოლოგი მოზარდებს დაარწმუნებს, არ ეცადონ იმ ვებ-გვერდების ხილვა, რომლებიც პედაგოგების, ბიბლიოთეკარების, მშობლების თვალსაზრისით, ბავშვებისათვის არასასურველად ითვლება. ბ) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინტერნეტის სპეციალური დაცვითი პროგრამები, რომლებიც ბავშვებს, მოზარდებს და უბლოკავს ინტერნეტის ზოგიერთ სფეროში შესვლის შესაძლებლობას.

ინტერნეტის ქსელის ზოგიერთ არასასურველ სფეროში შესვლის ბლოკირებისთვის და-

მუშავებულია პროგრამები. ზოგი პროგრამის ინსტალირება შესაძლებელია ბიბლიოთეკარების, პედაგოგების და მშობლების მიერაც. ასეთია SurfWatsch და Cyber Patrol.

ინტერნეტში ბავშვების მუშაობისას მათდამი ყურადღება უნდა გამოიხატოს ბიბლიოთეკარის მიერ მათთვის საინტერესო, შემეცნებითი ვებ-გვერდების ჩვენებით. ბავშვებთან ერთად მსოფლიო ქსელში ნავიგაციისას, ინტერნეტის ქსელში ორიენტირებისთვის ბავშვებს კარგი იქნება ვუჩვენოთ, თუ როგორ უნდა მოვიძიოთ საგანმანათლებლო და გასართობი ვებ-საიტები. სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ბავშვებმა ინტერნეტის ქსელში მოგზაურობა დაიწყონ Yahoo!-ის კვანძით, რომელიც განლაგებულია მისამართზე: <http://www.yahooligans.com>, აქ მოცემულია მითითებები ქსელის საინტერესო გვერდების შესახებ.


ინტერნეტის ქსელში ბავშვების მოგზაურობისას კონკრეტული ერთ-ერთი მეთოდია ზოგიერთი წესის დაცვა:

- მოზარდებმა არ დაათვალიერონ ის ვებ-გვერდები, FTP სერვერები, „ტელეკონფერენციები“, „საუბრის ოთახი“ და სხვა, რომლებიც სათაურსა თუ სახელწოდებაში შეიცავს არავითარ ტერმინებს;

- არ „ისაუბრონ“ უცნობ მომხმარებლებთან და არ გასცენ პირადი ხასიათის ინფორმაციები;

- არაეთიკური, უხერხულობის შემცველი ვებ-გვერდები, მათი აღმოჩენის შემთხვევაში, ფსიქოლოგის, ბიბლიოთეკარის, მშობლის და მოზარდის მიერ ერთობლივად იყოს განხილული და გაანალიზებული.

აღნიშნული წესების დაცვა ბავშვებს და მშობრდლებს დაეხმარება პასუხისმგებლობის გადანიჭილებაში, მაგრამ თუ აღნიშნული წესების დაცვა არ ძალუძს არცერთ მხარეს, მაშინ სასურველი იქნება სხვა მეთოდის გამოყენება. კომპიუტერში დაინსტალირება პროგრამა, რომელიც დაბლოკავს ინტერნეტის განსაზღვრულ



სფეროში შესვლას. ამ ბლოკატორების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მსოფლიო აბლაბუდის შესაბამის ვებ-კვანძებში. ასეთი პროგრამებია Cyber Patrol და Net Nanny:

- 1) <http://www.cyberpatrol.com>
- 2) <http://www.spyglass.com/products/surfwatch>.
- 3) <http://www.netnanny.com/etnanny>.

თითოეული ეს პროგრამა ბლოკირებას აწარმოებს ერთი და იმავე მეთოდით. ასევე შესაძლებელია პაროლების ნუსხის შექმნა, რომელთა საშუალებითაც აკრძალულ გვერდებზე შესვლის მცდელობისას მოხდება ბლოკირება.

www.piter-press.ru/up – ვებ-გვერდზე მოცემულია CyberPatrol პროგრამის ინსტალირება და მასთან მუშაობის ტექნოლოგიური მხარე. პროგრამაში მოცემულია ინტერნეტის აკრძალული სამსახურების სია, რჩევები ინტერნეტის ზოგიერთ ვებ-გვერდზე შესვლის შემზღვევის მიზნით, web კვანძებთან და FTP სერვერებთან დაშვების შემზღვევა. ახალი კვანძების რაოდენობა მუდმივად იზრდება, ამიტომ პროგრამა CyberPatrol-ის ავტორები მუდმივად აწარმოებენ ქსელში აკრძალული ვებ-გვერდების სიის განახლებას.

მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში კომპიუტერიზაციის პოლიტიკის გატარების შემდგომ ჩატარებულია სხვადასხვა თემატური კვლევა. მეცნიერები, პედაგოგები, ფსიქოლო-

გები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კომპიუტერი მოზარდს ხელს უშლის მეცადინეობაში. ის მოზარდები, რომლებიც სკოლაში, სახლში ხშირად სარგებლობენ კომპიუტერით, მათი აკადემიური მოსწრების დონე დაბალია იმ საგნებში, რომლებიც მოითხოვს ღრმა და ლოგიკური ანალიზური სამუშაოების ჩატარებას. ევროპულ ქვეყნებში გერმანელი სწავლულუბის მიერ გამოკითხულია 15 წლის ასაკის 100 ათასი მოზარდი. შედეგების ანალიზის შემდეგ აღნიშნული პრობლემის მიზეზად დასახელებულია კომპიუტერით გართობა. სკოლაში კი კომპიუტერებს ენაცვლება ეფექტური სწავლების პროგრამები. ინგლისის სამეფო ეკონომიური საზოგადოების შეკრებაზე ინგლისის მთავრობა ჩააფიქრა იმან, რამდენად მიზანშეწონილია სკოლებში კომპიუტერებისთვის სახსრების გამოყოფა. ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემა მდგომარეობს ბავშვების მიერ მათთვის

შეუსაბამო კომპიუტერული პროგრამებით დაინტერესებაში. ამიგომაა აუცილებელი, ბავშვები, მოზარდები ინტერნეტში მუშაობისას დაცული იყვნენ არასასურველი ინფორმაციისგან და ამ გზით მაინც მოხდეს მათ მიერ ინტერნეტის სამყაროში გატარებული დროის რაციონალურად, სასარგებლო, შემეცნებითი მიზნით გამოყენება.

ვფიქრობთ, ჩვენი საკონსულტაციო დახმარების პრაქტიკული მხარის რეალიზაციისთვის სასურველი იქნება სპეციალისტების – ფსიქოლოგების, ბიბლიოთეკარების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჩართვა, რაც საბავშვო ბიბლიოთეკებში დასაქმებულ მეთოდისტებს, მშობლებს გაუადვილებს ერთობლივად გადაჭრან აღნიშნული პრობლემა.

საკონსულტაციო მითითება მომზადებულია ჯ. კრეინაკის და ჯ. სებრეიკინის ინფორმაცი-აზე დაყრდნობით.


გამოყენებული ლიტერატურა:

- Валкова Н.С. Время свободного и радостного чтения //Региональный информационный центр учебного книгоиздания Псковской области: (Электронный ресурс) – Псков, 2005. <http://ric.mart.ru/artic>.
- Голубева Е. Информационная культура школьников. //Библиотека. – 2005. – N10 – с.44.
- Дети и библиотеки в меняющийся медиасреде. – М.: Школьная библиотека, 2004. – с. 191-194.
- Жарикова Л. А. Возможности тематического поиска в электронном каталоге...//научн. и техн. биб-ки. – 2000. – N8 – с. 30-38
- Журин А. А, Компьютер для всей семьи, – 2006. – 544 с.
- Информационная среда детской библиотеки. Вып.4/сост. А. Шевченко. – Киров: ОДБ, 2003. – с.20-21.
- Немчина Н. М. О доступности информации о новой детской литературы//Библиотечное дело: международ. научн-информ. конф. /электронный ресурс/ /МГУКИ. каф. Библиотекovedения. – М., 2004. <http://libconfs.narod.ru>
- Мургина О. И. Информация о книгах для детей//Рос. гос. детская библиотека /электронный ресурс/ М., 2005. <http://www.rgdb.ru>
- Томашева Н. Библиография как экспертная система и организатор чтения детей//Школьная библиотека электронный ресурс/Всерос. шк. библ. ассоц. – М., 2001. <http://www.schoollibrary.ioso.ru>
- Цулая Е. Деятельность региональных детских библиотек по формированию информационной культуры: Информационно-аналитический сборник/Сост. Е. В. Цулая; Ред. Н. В. Бубекина. – М.: РГДБ, 2004. _ 24с. www.piter-tress.ru/yp

მანანა გვარამია
 ზუგდიდის საბიბლ. გაერთ. დირექტ. მოადგილე

შტრიხები ბიბლიოთეკარის სწოვრებიდან

დამეთანხმებით, უკანასკნელი 10-15 წელი მეგად მძიმე იყო საქართველოსათვის, განსაკუთრებით მძიმე იყო შინა აშლილობის ბეგავლენა რეგიონების ბიბლიოთეკებისათვის. მინდა მოგიყვებოთ ზუგდიდის საბიბლიოთეკო გაერთიანების სოფელ განმუხურის ბიბლიოთეკა – ფილიალისა და მისი გამგის



ქალბატონ გული ქობალიას განვლილ გზაზე. სოფელი განმუხური აფხაზეთის კონფლიქტური ზონის საზღვრისპირა სოფელი გახლავთ. 1993 წლის 7 ოქტომბერს სოფელში აფხაზთა შეიარაღებული დაჯგუფებები შეიჭრნენ, 5050 კომლიანი სოფლიდან მოსახლეობა გაიხიზნა, დარჩა მხოლოდ 42 კაცი და მათ შორის ბიბლიოთეკის გამგე ქალბატონი გული და მისი მეუღლე. 1994 წლის 31 დეკემბრამდე სოფელი ეკავა აფხაზთა დაჯგუფებებს, მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. აფხაზების გასვლის შემდეგ სოფელში 1200 დევნილი დასახლდა, სახელმწიფო დაწესებულებებში დევნილები განთავსდნენ. ბიბლიოთეკას ორჯერ მოუწია ბიბლიოთეკის შენობიდან ქალბატონ გულის ოჯახში გადაბარება, „ევწვალაობ, მაგრამ გული არ მითმენს, მკითხველს არ მოვემსახურო“, – ამბობს ქალბატონი გული. „არაერთჯერ ავაწიოკე ოჯახი, ერთხელ დილის 6 სთ-მდე ვალაგებდით წიგნებსო“, – იხსე-

ნებს მძიმე წლებს.


ამჟამად ბიბლიოთეკას გამოეყო ახალი ბაზა, რითაც ხარობს ქალბატონი გული. მუშაობის 55 წლის სტაჟიდან გული ქობალია 41 წელი ემსახურა საბიბლიოთეკო საქმეს. აქტიური მოღვაწეობისათვის მას არაერთი ჯილდო აქვს მიღებული: 1970 წელს წიგნის პროპაგანდისა და აქტიური მუშაობისათვის

კულტურის განყოფილებამ მედლითა და დიპლომით დააჯილდოვა. 1974 წელს – მედლით „შრომისა და მამაცობისათვის“ და ფასიანი საჩუქრით, 1975-78 წწ. შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გამოეყო მსუბუქი ავტომანქანა.

1989-90 წლებში ზუგდიდის კულტურის განყოფილებამ საბიბლიოთეკო სისტემაში აქტიური მუშაობისათვის საპატიო სიგელით აღნიშნა მისი ღვაწლი, 1961-89 წლებში იყო რამდენიმე მოწვევის სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ქალბატონი გული არის ხალისიანი, ენერგიული, აქტიური მუშაკი, მხურვალედ უყვარს ბიბლიოთეკა, წიგნი და მკითხველი, წუხს ბიბლიოთეკის მღგობარეობაზე და მრუნავს მისი კეთილდღეობისათვის, ფიქრობს შესაფერის ცვლას გადააბაროს ბიბლიოთეკა.

იმედია, აუსრულდება მას ეს ჩანაფიქრი, უეჭველად ნახავს ის თავის ღირსეულ შემცველს.



ირინა გოგლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკის არქივ-მუზეუმის გამგე

ბორის ტიხონის ქე რუდენკო

ბორის ტიხონის ქე რუდენკო დაიბადა 1896 წ. 27 სექტემბერს (ძვ. სტ.) და ალიზარდა თბილისში. მამა უკრაინიდან იყო, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ექიმი; გარდაიცვალა 1915 წელს. დედა – ალექსანდრა ივანეს ასული დუნაევა მოსკოვიდან იყო, ექიმი. გარდაიცვალა 1943 წ.



რუსეთის ისტორია.

ბ. ტ. რუდენკომ სადიპლომოდ წარადგინა ნაშრომი „История и деятельность Кахетинского союза кредитных и ссудо-сберегательных товариществ“, რომლის საფუძველზეც 1924 წ. 19 ოქტომბერს უკვე ქ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიური განყოფილების სრული კურსის დამთავრების დიპლომი და ეკონომიკურ

ბ. ტ. რუდენკომ 1914 წ. დაამთავრა II ვაჟთა გიმნაზია და მაშინდელი პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიურ განყოფილებაზე ჩაირიცხა, მაგრამ იმ წელს დაწყებული მსოფლიო ომის გამო სწავლის გაგრძელება ვეღარ მოახერხა. მან ეს მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შეძლო.

ბ. ტ. რუდენკო 1918 წელს მოეწყო ქ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტის II კურსზე. ინსტიტუტში მან სპეციალურ საგნებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც ჩააბარა, როგორცაა: მსოფლიო და ამიერკავკასიის გეოგრაფია, სამოქალაქო, სახელმწიფო, საერთაშორისო და აღმინისგრაფიული სამართალი, აღმოსავლეთის, ანტიკური ქვეყნების, შუა საუკუნეების და

მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბ. რუდენკო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში იწყებს მუშაობას და ამასთან თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ინგლისურსა და ფრანგულ ენებს ასწავლის. ამავე დროს იგი ეწევა მთარგმნელობით მუშაობას. რუდენკომ ინგლისურიდან რუსულად თარგმნა „Дж. Мак-Ферлен, Мировая экономическая география в трех частях“, რომლის პირველი ნაწილი – „შესავალი, ევროპა და სსრკ“ პროფესორ გ. ნ. გეხტმანის რედაქციით გამოიცა 1925 წ. II ნაწილი „აზია და აფრიკა“ – 1926 წ.; III – „ამერიკა და ავსტრალია“ – 1927 წ.

რუდენკოს მუდამ იგაცებდა ენათმეცნიერება და ამის გამო 1929 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ენის კაბინეტის მუშაობაში ჩაება.

ბ. გ. რუდენკო 1933 წელს ლენინგრადში გაემგზავრა, სადაც მან 1935 წელს დაასრულა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა ენათმეცნიერების განხრით და მუშაობა ამავე აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიის კაბინეტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად დაიწყო. იმავე დროს ის ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიდა ინგლისურსა და ფრანგულ ენებს. ფლობდა რუსულს, ქართულს, ნაწილობრივ სომხურსა და უკრაინულს, ეცნობოდა ლათინურსა და სპარსულ ენებს.

რუდენკოს ზოგადასა და სპეციალურ განათლებასთან ერთად, მიღებული ჰქონდა მუსიკალური განათლებაც, იგი უკრავდა როიალზე და ზოგიერთ სიმებიან ინსტრუმენტზეც. მუსიკალურ სმენასთან ერთად, მას არაჩვეულებრივი სასიმღერო ხმაც ჰქონდა. მას ძალიან უყვარდა საქართველო, ქართველები და ქართული ენა. ქართულს იგი დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდა ჯერ კერძო მასწავლებლებთან (მათ შორის ცნობილ ვასილ კარბელაშვილთან) და შემდეგ დამოუკიდებლად. როდესაც ლენინგრადში ჩავიდა, სხვადასხვა ენების სპეციალისტები მას ასპირანტურაში ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ან ირანულ ენაზე მუშაობას ურჩევდნენ, მაგრამ მან ქართული ენა აირჩია და ასპირანტურაც ამ გან

ხრით დაამთავრა. მან სადისერტაციოდ წარადგინა რუსულად დაწერილი ნაშრომი – „Опыт систематизации грамматических явлений современного литературного грузинского языка“, და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

აღნიშნული გრამატიკის გარდა, ქართული ენის შესახებ რუდენკომ გამოაქვეყნა წერილიც „Дифференцирующая роль древнелитературных форм в семасиологии современного литературного языка“ და მ. დიაკონოვთან ერთად, 1938 წ. ქართული „ვისრამიანის“ შემოკლებული თარგმანი გამოსცა. რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ სერიაში.

ბ. გ. რუდენკოს გამოუქვეყნებელი დარჩა რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის თარგმანებიც ქართულიდან რუსულ ენაზე.

ბ. გ. რუდენკო გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის დროს ლენინგრადის ბლოკადის მძიმე პირობებში 1942 წ. თებერვალში. ი. მეგრელიძე ასე იხსენებდა ბ. გ. რუდენკოს:

„ბ. გ. რუდენკოსთან მე წლები მაკავშირებდა ჯერ კიდევ თბილისში, და შემდეგ, როდესაც იგი ლენინგრადში გადმოვიდა, სადაც მე უფრო ადრე ვმუშაობდი, პირველი სამი წლის განმავლობაში ერთ ბინაში ვცხოვრობდით და აქ ბორისს კიდევ უფრო ახლო გავეცანი. ამიგომ ნებას ვაძლევ თავს აღვნიშნო, რომ იგი იყო შესანიშნავი სამეგობრო და მხიარული ადამიანი, რომ აღარაფერი ვთქვა მის წარმოსადევ, გარეგნულ იერზეც“.



ვაჟა სილაგაძე

ილია და გარიბალდი ჩვენს პროვნულ ჭრილში

სცნობილია, რომ სტუდენტობის დროს ილიას უნდოდა მოხალისედ წასულიყო გარიბალდის რაზმში, ებრძოლა იტალიის თავისუფლებისათვის, ეს იმას ნიშნავდა, მას საქართველოს თავისუფლებისათვის ებრძოლა.

ილიას ლექსი „მესმის, მესმის“ ქრესტომატიული ლექსია, ყველამ ბეპირად ვიცით. ეს ლექსი დიდმა იაკობმა „ბუნების კარში“ მოათავსა და ფრჩხილებში ნეკრასოვიდანო – მიაწერა, თითქოს თარგმანი იყო. ილიასაც ასე ჰქონდა, მაგრამ ახალ გამოცემებში ასე აღარ არის. წარმოიშვა ამრი, თითქოს ეს ორივემ გააკეთა ცენზურის თვალის ასახვევად. მე პირადად მიკვირს, ასეთი რევოლუციური ლექსი, თუნდაც ნეკრასოვისა, როგორ დაბეჭდეს იმ დროს. თუ მეხსიერება არ მღალაგობს, ილიას მუზეუმებში დავით აღმაშენებლის და თამარის გვერდით ყოველთვის იყო გარიბალდის სურათი, იმდენად დიდ პატივს სცემდა ილია მას. საქართველოში კი დიდხანს იყო მოღაში „გარიბალდის“ ქუდი. ასე ვიცი, იგი ეხურა სულმნათ ექვთიმე თაყაიშვილს. იყო თუ არა ასეთი პატივისცემა რუსეთის იმპერიაში? მის პროგრესულ ნაწილში?.. ესეც საინტერესო და გასარკვევია, თუ იბრძოდნენ რუსი მოხალისეები გარიბალდის რაზმებში?.. ან სხვა ეროვნების წარმომადგენლები?.. თუ აისახა ეს მომენტი ლიტერატურაში?..

ახლა თავად გარიბალდს შევხედოთ საქართველოს გადასახედიდან. გარიბალდი მძიმედ დაიჭრა ფეხში, განგრენა დაემართა, ფეხი მოსაკვეთი გაუხდა, ასე გადაწყვიტეს ევროპელმა

დოსტაქრებმა. ამ დროს მოაგონდათ, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ თურმანიძეები, ხალხური მკურნალები, ექიმბაშები, რომლებიც წარმატებით არჩენდნენ ასეთ მძიმე ავადმყოფებს. აფრინეს კაცი საქართველოში. მოძებნეს დასტაქარი თურმანიძე, ჩაიყვანეს, გაასინჯეს გარიბალდი, მან მცირე ხნის განმავლობაში განკურნა ის და უთხრა: ახლა რამდენიც გსურდეს, იმდენი ირბინეო.

გარიბალდმა ველზე შეჰყარა ხალხი, გაჭენებულ ცხენს გამოეკიდა, შეახტა, გააჭენა და ხალხს აჩვენა, განკურნებული ვარო. სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაუბრუნა ჩვენმა თურმანიძემ, პაგარა ამბავი იყო ეს? არა მარტო თურმანიძე, ჩვენი ხევსური მკურნალებიც, ექიმბაში დასტაქრები წარმატებით მკურნალობდნენ ასეთ ავადმყოფებს. პეგრე ბაგრაგიონი კიდეც დიდხანს იცოცხლებდა და, ვინ იცის კიდეც რამდენ საქმეებს გაუკეთებდა რუსეთს.

ილიას თანამებრძოლი დავით მიქელაძე ერთხელ პარიზში გირში იმყოფებოდა, შემოვიდა გარიბალდი თანმხლები პირებით, დავითს გაეცნო, ნიშანში სროლა შეუქო. მოიგონა მკურნალი თურმანიძე და მოკითხვაც დააბარა.

სცნობილია, თავისი ცხოვრების პირველ ნახევარში გარიბალდი მონარქისტი იყო და თავად არ აიღო ხელში ხელისუფლება, რითაც მარქსის და ენგელსის გულისწყრომა გამოიწვია. ილიას და მის თანამებრძოლებს კი გარიბალდი ამითაც მოსწონდათ და არ უნდოდათ საქართველოში კლასთა ბრძოლა შემობრძანებულიყო, რასაც ევროპაში ჰქონდა ადგილი. 1864 წელს კი გარიბალდი მარქსის პირველ ინტერნაციონალში შე-

დის. ამით აიხსნება ის, რომ ილია და მისი მიმდევრები – თერგდალეულები არ გამოეხმაურნენ გარიბალდის გარდაცვალებას, ისე კი შედარებით უმნიშვნელო პიროვნებები: ანტონ ფურცელაძე, იონა მეუნარგია და სხვები გამოეხმაურნენ. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზი: როდესაც გარიბალდი გარდაიცვალა, სამხმარი იგალიის მთავრობას რუსეთის იმპერიიდან გაუგზავნა გორის საზოგადოებამ, კონკრეტულად ვინ, არ ვიცით. იგალიის მთავრობამ დიდი მადლიერებით მიიღო სამხმარი, მაგრამ რუკაზე გორი ვერ იპოვეს, არ იყო აღნიშნული ის პატარა ქალაქი და ამიტომ მადლობის პასუხი გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს, რომ მას გადაეცა გორელებისათვის. გადასცეს და თითიც დაუქნიეს, ეგ რა ჩაგიდენიათო.

მე ისტორიის მასწავლებელი ვიყავი სკოლაში, გიდი და გურიშმის ინსტრუქტორი და მეთოდისტი საექსკურსიო ბიუროში. ვასწავლიდი საქართველოს ისტორიას. გილობაშიც ამ გზით მივდიოდი, ახალი მარშრუტებიც შევქმენი, ძველებიც გადავახალისე, შევავსე და გარიბალდის შესახებ ბევრთ თქმულიც დავემატე. მეგობრულად მირჩიეს, გარიბალდი ამომელო და არ მესაუბრა მასზე, მე კი გარიბალდს დავემატე კომუგი, მაძინი და პეგეფიც. მაგრამ ეს ის დრო იყო, როდესაც სსრკ სიკვდილის აგონიას იყო მიახლოებული. შინაურულადაც ვატარებდით ექსკურსიებს, ბიუროს გვერდის ავლით. დრომ, სიტუაციამ გამბედაობა შეგვმაგა. ერთსაც ვიცყვი საბოლოოდ; პრესის თავისუფლება, ცენზურა ძველ დროს უკეთესი იყო, ვინემ კომუნისტების დროს, ციხეები და კატორღებიც უკეთესი ჰქონდათ, უფრო დემოკრატიული. აბა, მაშინ ვინ დაგაწერინებდა, გამოგაქვეყნებინებდა და სახელმძღვანელოში შეგატანინებდა ისეთ

ლექსს, როგორც „მესმის, მესმის“ იყო? ცნობილია, თუ როგორ უპრინციპო და მტრულ ბრძოლას აწარმოებდნენ ილიას წინააღმდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

1905 წლის 24 აპრილს გაზეთ „მოგზაურის“ №15-ში იბეჭდება ილიასადმი „მიძღვნილი“ ლექსი პაროდია „ჩვენს მგოსანს“. აი ეს ლექსიც: „მესმის, მესმის „საბარელი“ ხალხთ ბორკილის ხმა მგვრევისა,

სიმართლის ხმა მართლა გრგვინავს, დასათრგუნად მონობისა,

დღეს გაღონებს თურმე ეს ხმა, გიორკეცებს დარღებს გულში

და ღმერთსა სთხოვ ეგ ხმა „მწარე“, არ გაისმას „თქვენს მამულში“,

საშუალებაც მოგინახავს, რომ აღმოფხვრა ეგ ხმა „მწარე“,

საგურამოელი გლეხი გასტანჯე და გამწარე“.

ასე უსინდისოდ ებრძოდნენ ქართველი ოპოზიციონერები ჩვენს ღიღებულ ილიას,

დღეს ჩვენთვის საინტერესოა, ეს ლექსი მართლაც ილიასია თუ თარგმანს წარმოადგენს ნეკრასოვიდან? მე ძალიან კარგად მახსოვს, თუ როგორ ებრძოდნენ დიდ ილიას საბჭოთა წყობილების დროს ზოგ-ზოგები, რასაც ფილიპე მახარაძის საფლავის აფეთქებაც მოჰყვა.

პირადად მე ერთ დროს გორში გარიბალდის სახელის ხსენებაც ამიკრძალეს, როცა მინდოდა მეთქვა ის, რაც სათქმელი იყო. „რა დროს ილიაა, გარიბალდი, მაძინი და კომუგი, როცა სტალინი არის, როდესაც ერთიანი საბჭოთა ხალხი უკვე ფაქტიაო. სულ მალე ერთი ხალხი ვიქნებით, ერთიანი ენითაო. ამას ჩვენი სასტიკი რეაქცია მოჰყვა, რომელიც ჩვენი ეროვნული გამარჯვებით დასრულდა.



გარიელ ნაცვლიშვილი, ნინო თაგაური-ნაცვლიშვილი

ტრადიციის აღდგენისათვის

აღვადგინოთ „გრიშაშვილობა“

ჩვენმა ჟურნალმა მიიღო ინფორმაციის ცენტრის „ეკო – XXI საუკუნის“ დირექტორის, საქართველოს ენერგოინფორმაციულ მეცნიერებათა კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის გარიელ ნაცვლიშვილისა და „ეკო – XXI საუკუნის“ რეფერენგის ნინო თაგაური-ნაცვლიშვილის ოფიციალური წერილი, რომელიც კვლავ ეხება პოეგ იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ღღის აღდგენას. ჩვენი რეაქცია ამის შესახებ ჩვენ უკვე გამოვხატეთ ჟურნალში. ამჟამად მკითხველებს უკომენტაროდ ვთავაზობთ მათ წერილს თავიანთი შეხედულების დამოუკიდებლად გამოსახატავად.

რედაქცია

შეიძლება ვინმემ აკვიატებულ იდეად ჩაგვითვალოს ასეთი დაქინებული, მიზანმიმართული მოქმედება „გრიშაშვილობის“ აღდგენის მიმართ, მაგრამ ვისაც მართლა უყვარდა ი. გრიშაშვილი, აღფრთოვანებული იყო მისი საქმიანობით, ის კარგად გაიგებს ჩვენს გულისკვივლს. გრიშაშვილი რომ არა, ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა ძველი თბილისის ქალაქური ფოლკლორის ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებზე, როგორცაა საიათნოვა, იეთიმ-გურჯი, ჰაზირა, ბეჩარა და სხვები. ნაბიჯიც კი ვერ გადავდგით ჩვენს კვლევა-ძიებაში „ქართული ღღის ნაკვალევზე“ სერიალის შესაქმნელად, რომ წინ არ დაგვხვედროდა გრიშაშვილის უბოროტო სიყვარული ქალაქური ფოლკლორის მიმართ. დარწმუნებული ვართ, რომ ის კიდეც დიდ სამსახურს გაგვიწევს ჩვენი ძიების ეკლიან გზაზე. ჩვენ უკვე 15 სტატია მიუძღვინით ქართულ ღღის, ამ უნიკალურ საკრავს და თუ ჯანმრთელობამ არ შეგვიშალა ხელი, ერთ იმდენს კიდეც შევქმნით. სამწუხაროდ, გირაჟირების სიმცირის გამო, საზოგად-

ლობა არ იცნობს ჩვენს სტატიებს, მაგრამ იმედი გვაქვს, ამ საქმესაც მოეველება.

რაც შეეხება „გრიშაშვილობას“ – ვინც ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მკითხველად ითვლება, ამ ჟურნალში გამოქვეყნებული წერილიდან (იხ. 2005 წ. 2) უკვე საქმის კურსში იქნება, თუ საით არის მიმართული ჩვენი ქმედება. „ხელჩართული ბრძოლის“ მიუხედავად (პირადად მივიგანეთ წერილები კულტურის სამინისტროში, ლიგერატურის ინსტიტუტში და სხვ.), მაინც ვერ მივალწიეთ მიზანს, ვერ აღვადგინეთ „გრიშაშვილობა“. მხოლოდ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარმა რედაქტორმა ბატონმა ალექსანდრე ლორიაშვილმა გამოიჩინა ყურადღება, რითაც ჩვენი დიდი სიმპათია და უღრმესი მადლიერების გრძნობა დაიმსახურა, როდესაც საზოგადოებას ამცნო გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის მესვეურთა მიერ ჩადენილი ბოროტება. მაგრამ, მთლიანობაში, ამანაც ვერ უშველა, ვერც 2005 წელში ჩაგარდა ეს ბრწყინვალე ღღისასწაული.


2003 წლის 23 აპრილს ჩვენმა საინფორმაციო ცენტრმა „ეკო – XXI საუკუნემ“ თავისი პაგარა მარცვალი ჩალო, რათა ეს დღე ყველასათვის ტკბილმოსაგონარი გამხდარიყო. იქ ძირითადად ისეთი ადამიანები მოვიდნენ, რომელთაც ძალიან ბევრი რამ აკავშირებდათ დიდ პოეტთან და სამოგალო მოღვაწესთან. მათი

მოგონებები, მათ შორის ბ-ნ ალექსანდრე ლორიასიც, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო გრიშაშვილის უკვდავსაყოფად.

ჩვენ იმედს ვიგოვებთ, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილების წყალობით, რომლებიც ახლოს მიიგანენ ჩვენს გულისტკივილს, კვლავ აღდგება „გრიშაშვილობა“.



ქურნალის რედაქციას



გურჯაანის რაიონის საბიბლიოთეკო ოჯახის სახელით გილოცავთ ქურნალის „დაბადების“ 5 წლისთავს, გისურვებთ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში, წინსვლას პირად ცხოვრებაში!

ხუთი წელი სულ მცირე პერიოდი იმისათვის, რომ რომელიმე პერიოდული გამოცემა შეისისხლხორცო, შენი ცხოვრების სულიერ მეგობრად აქციო, მაგრამ ქურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკამ“ ეს შეძლო. იგი ჩვენი ბიბლიოთეკარების სამაგიდო მეთოდური ხასიათის ქურნალია, რომელშიც ვეცნობით მრავალ საინტერესო პუბლიკაციას, მეთოდური ხა-

სიათის წერილს, ვიზიარებთ კოლეგების გამოცდილებას. ჩვენი რაიონის საბიბლიოთეკო ცხოვრების შესახებაც ხანდახან ვაცნობთ მკითხველს. მის ფურცლებზე მოხვედრა ბევრ მკითხველს უფრო აახლოვებს ბიბლიოთეკასთან, რაც ერთობ დადებით გავლენას ახდენს ბიბლიოთეკისა და სამოგალოების დაახლოებაზე.

კეთილი სურვილებით
გურჯაანის ც. ბიბლიოთეკის მეთოდური
განყოფილების გამგე ლია გოდელაშვილი,
20 თებერვალი, 2006 წელი



გზასაპალის სხვადასხვა მონაკვეთზე



ემოქმედებითი ცეცხლი, მართალია, უკვამლოდ გიზგიზებს, მაგრამ უკვამლოდ არ ქრება. უეჭველად რაღაც კვალს გოვებს – პაგარას თუ ღიღს. იწყება, და არავინ იცის, როგორი იქნება მისი სასრული. ყოველგვარი მოკრძალებული საწყისი საყურადრებო, სათუთად მოსავლელი და სალოლიავებელია, მით უმეტეს, როდესაც ის ბავშვური უბრალოებით, უშუალოებითა და გულწრფელობით არის გამოხატული.

„მე მსურს, რომ ჩემი სკოლა სჯობდეს ყველას, – გვწერს რუსთავეის №9 საშუალო სკოლის VII კლასელი ნინო დეგეგაშვილი, – მინდა ჩემს სკოლაში იყოს დამკვიდრებული კულტურა, იცოდნენ მასწავლებლის პატივისცემა და სიკეთის დაფასება... მე მინდა, პოეზია ყველა ბავშვისათვის იყო საჭირო და აუცილებელი. ბავშვი რომ პოეზიას შეიყვარებს, ისწავლის და დაფიქრდება, ის ალბათ პოეტიც შეიძლება გამოვიდეს, მწერალიც და რომანტიკოსიც...“

თავის ამ გულწრფელ გამონათქვამს ციციქნა ჩანახაგიც – „აღამიანი, როგორც სანთელი“ მო-

აყოლა. ღამიანი ხელით გამოჰყავს სგრიქონები: „აღამიანი, როგორც სანთელი, ღიღხანს არ ცოცხლობს. იგი ღმერთმა აანთო და თვითონვე ჩააქრობს. ჩაჰბერა სული უფალმა ქვეყანას და გაცოცხლდა ყველაფერი... აღამიანი – ღვთისსახოვანი ღმერთს აღარ ჰგავს...“

ერთი ასე იწყებს გზასაპალს, მეორე ამ დროს მტკიცედ დგას თავის ადგილას თავისი ხმითა და შემართებით, უკვენაცადი, გამობრძმედილი, სიგყვასრული და ბევრის მთქმელი. ასეთია, მაგალითად, ჩვენი ჩუმი, უპრეგენზიო და ღირსეული კოლეგა დარეჯან მაყიშვილი-საათაშვილი. გორის რაიონის სოფ. სვენეთის ბიბლიოთეკის გამგე 1954 წლიდან – შრომის ვეგერანი, საპატიო ბიბლიოთეკარი. გამოცემული აქვს ლოკუმენტური კრებული „მძიმე ბარი“, ავტორია მრავალი გულწრფელი, ძარღვიანი ლექსისა. მის შესახებ ჩვენ აღრეც ვწერდით და მკითხველებს კიდევ შევთავაზებთ მისი ლექსი. (2003, №1)

ღღღს კვლავ გთავაზობთ მისი შემოქმედების ერთ ფრაგმენტს ლექსების სახით.

დარეჯან მაყიშვილი-საათაშვილი

ღმერთო!

რატომ არ შეისმინე,
ღმერთო, ჩემი ვედრება?
სათაყვანო სამშობლო
რატომ ფეხზე ვერ დგება?
რად ჩაიცივს შავები
საქართველოს ქალებმა.
წყლები რად მიატოვეს
გრძელსერა გედებმა?
ღამე დიდი რად არის,
გვიან რატომ თენდება?

საამაყო შვილები
რად იტირეს დედებმა?
მიწა მართლა იწვის თუ
სისხლი ცეცხლად ეღება,
შავად რად შეიღებეს
ფრთები თეთრმა მტრედებმა?
დროზე აღრე ყმაწვილი
ასე რადა ბერდება,
ღმერთო, ნანატრ მშვიდობის
დილა თუ გათენდება?!

ცხოვრების ჩარხი

გაივლის წლები და ისტორიას
ჩაბარდებიან დიდი ომები,
გაივლის წლები – დაბერდებიან
შენთან შეზრდილი შენი ტოლები,
გაივლის წლები – ჩვენს დარგულ ვერხვებს
შემომეტყვევებთ ქორთა რტოები,
გაივლის წლები და საფლავის ქვაც
აღარ იქნება განმარტოებით.
ჩარხის ტრიალთან ვერას გავხდებით,
ვერას ვუშველით ვიშით, გოდებით,
უძრავნი მხოლოდ მთები რჩებიან
და ხავსდებული დიდი ლოდები.

დილის ნამი

დილის ნამით ველი იბანს ღამენათევ პირს,
სადაცაა მზე ამოვა – სიო ოდნავ ქრის.
ყანის პირას შავ წამწამებს ყაყაჩო ხრის ძირს,
დედამიწა სიხარულით მკერდზე იხსნის ღილს,
ნამს სიცოცხლე არ ეთმობა, ეძებს ღრუბლის ჩრდილს.

საერთოდ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი ბიბლიოთეკარების ერთი ნაწილი არა მარტო ღამეში პოეტური ღონისძიებებით ანებივრებს ჩვენს მკითხველებს, არამედ თავადაც არის მუშასთან წილნაყარი. არაერთი შესანიშნავი სტრიქონი შექნილა მათ მიერ. ბევრი მათგანი ჩვენმა ჟურნალმა გამოაქვეყნა, გზა დაულოცა, მხარი დაუჭირა, ბევრის შემოქმედების ნიმუშები გააცნო ჩვენს მკითხველებს. ჩვენ გვინდა გავაგრძელოთ ეს და გრადიციად ვაქციოთ. ამჟამად ჩვენს მკითხველებს რამდენიმე ჩვენი კოლეგის შემოქმედების ფრაგმენტებს ვთავაზობთ.

ირმა მუშველიანი

მოღის...

საუკუნის მიღმა
თავთუხების ღანდი...
ვიღაც სიზმარეთში
მონატრებად დადის,
ახლოს მისვლა მინდა,
გაქარვება დარდის,
მაგრამ მეშინია
საოცარი სივრცის,
მკლავმოკვეთილ ოსტატს
ვაცქერდები შიშით...
ხევში ჩაჩუქრული
ხვიარების გროვა,
მყვირალობის თევზი
სიყვარულის გლოვა...
ვიღაც სანთელს გინთებს,

გვირგვინს გადვამს თავზე,
შავშეთს საღდაც ტოვებ
არ გამექცე, გწამდეს,
მათზე მეტად მიყვარს
თავთუხების ღანდი...
უკარება – რატომ?
მისაწვდომი ვახდი!
მესიზმრება ხშირად
იისფერი დელგმა...
ოი, როგორ მიცქერს
დიდოსტატის დედა...
მალე მოვა ყამი
სურვილების მორთვის...
კონსტანტინე აღსდგა!..
კონსტანტინე მოღის!..

ღამარა რჩეულიშვილი

ბიბლიოთეკა

აქ ნამდვილი საუნჯეა,
თითქოს რეკავს ცისკრის ზარი...
შემობრძანდი, ეზიარე,
გახდი წიგნის მეგობარი!
წიგნი ისეთ სიბრძნეს იტევს,
არ არსებობს მასზე დიდი,
ხალხთა შორის მეგობრობის
იგი არის მტკიცე ხიდი.
აქ თავს იყრის ყველაფერი,
ნათელია წიგნის არსი...

აქ სუნთქვას რუსთაველის,
აკაკის და ილიასი.
ვინც მკითხველად ეზიარა,
მას კარი აქვს ყველგან ღია,
წიგნი ქართველთ ლამპარია,
თბილისია... არმაზია!..
აქ ნამდვილი საუნჯეა,
თითქოს რეკავს ცისკრის ზარი,
შემობრძანდი, ეზიარე,
გახდი წიგნის მეგობარი!

მკითხველებთან მომუშავე ჩვენი ბიბლიოთეკარები თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ გამოავლინონ ნორჩი შემოქმედები, მულამ მხედველობის არეში ჰყავთ ისინი და ეხმარებიან თავიანთი თავის გამოვლენაში. სწორედ ამის ნიშნად წარმოადგენს ქ. რუსთავის მე-17 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ნათელა გრიგალაშვილი. დიდი ხანია მან თავისი ხელით მოგვაწოდა ნიჭიერი მოსწავლის სოფიო ჯგერენაიას ლექსები. გაგვიმხილა, რომ სოფიომ 9 წლიდან დაიწყო ლექსების წერა. თავდაპირველად ეს მისთვის სასიამოვნო გატაცება იყო, შემდეგ კი მოთხოვნილებად ექცა. ასე ჩაისახა პოემიის მარცვალი მის ცხოვრებაში. გვინდა, ჩვენი მკითხველები გაეცნონ პოეტი ქალიშვილის შემოქმედებას.

სოფიო ჯგერენაია

მოვს ჩემი ჯერი?

სიყვარული დადიოდა აღმა-დაღმა,
დაეძებდა მომლოდინე გულებს,
უხილავი ძაფით ერთურთს უერთებდა,
უნათებდა სულებს...
ვიღაც სარკმელს მიჯდომია მოწყენილი,
ელოდება სიყვარულის ზარს,

კოტა კიდევ მოითმინე, შორეული
შემოალებს კარს.
ნაზი გრძნობა იღვრებოდა აღმა-დაღმა
და ყველაფერს შეუტვალა ფერი.
მე კი კართან ველოდები ყოველ ღამე —
მოვს ჩემი ჯერი?

დამსხვრეული სასახლე

ოცნების კოშკებს ვაგებდი,
იმედს ვუწყობდი აგურად,
მაგრამ მე ბედი დულაბად
განგებამ აღარ მარგუნა.
რადგან ოცნებას ბედი სურს,
ბედს-ჯადოსნური ჯოხი,
მიტომ მისტიურ სასახლისაგან
მე აღარ დამრჩა ქოხიც.



არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს ხაშურის რ-ნის სოფელ ბრილის ბიბლიოთეკის მოღვაწეობა თვითმოქმედებით ჯგუფებთან, რასაც ამ ბიბლიოთეკის მრავალწლოვანი ხელმძღვანელობის დროს ჩაუყარა საფუძველი ქალბატონმა როზა გოგიჩაიშვილმა. ის უკვე სამ წელზე მეტია ჩვენთან აღარ არის, მაგრამ გრადიცია ღღესაც ცოცხლობს, რასაც მისი მემკვიდრე – ბიბლიოთეკის ახლანდელი გამგე ციური დევაძე აგრძელებს. ბიბლიოთეკაში ძველთაგანვე თავს უყრიან მკითხველთა შემოქმედებით ნამუშევრებს. ოთხი საკმაოდ განმსხვავილი ალბომი შეადგინეს და მოწიწებით ინახავენ. ქ-ნ ციურიმ თავაზიანად შემოგვთავაზა რამდენიმე მკითხველის შემოქმედების ნაყოფი.

თეიმურაზ ნოზაძე

* * *

დღეები გვანან ერთიმეორეს
და თვალს ვაყოლებ გასაფრენ სივრცეს,
ვდგები კარებში და ვიმეორებ:
– რა გამაჩნია, და ვის რა მივცე?
ლამის სიჩუმე წაიღეს ქართა
და შუქი მზისა გაჰკვეთავს სივრცეს...
ჩემი სხეულის და სულის გარდა,
რა გამაჩნია, და ვის რა მივცე?

* * *

ცა არის ჩემთვის მცირე დარბაზი,
მიწაც პატარა ლექსია ჩემი –
ნისლს რომ გაარღვევს შხრებით არმაზი
და ბურუსიდან გამოვა გრემი.
ავლესავ რაც კი მომხვდება ხელზე,
ვყვირი:
– ვინ მტაცებს აქ ოქროს ვერძებს?!
ვფიქრობ ცოტნეზე,
თევდორე მღვდელზე...
და თავგანწირვის მიზეზებს ვეძებ.

მანია ჩუბინიძე

გიორგობის ღამე

გიორგობის ღამეს
ცივი წვიმა ცრიდა,
ჩამოგუბდა ბნელი
უვარსკვლავო ციდან,
შემოდგომის ქარი
მშიერ სულშიც ჰქროდა,
მაგრამ ღამეს მაინც
სულ სხვა ემზი ჰქონდა.
გიორგობის სული,
გიორგობის რწმენა,
შემოდგომის სუნთქვა,
სევდა, ფოთოლცვენა.

შემოდარცულ ხეთა
ხელაწვდილი ჯარი,
გახუნება ფერთა,
უსასობის ჯავრი...
გიორგობის ღამე
უმთვარო და წმინდა,
როგორც გარეთ, ისე
სულშიც უხვად წვიმდა.
ანგელოზთა ცრემლით
განიბანა მიწა,
გიორგობის ღამე
გულში ლოცვად მიწვა.

ენო მურმანიშვილი

მე მიყვარს შენი სიძველის სუნი

(2002 წ. 27 აპრილს „მსოფლიო ახალგაზრდობის კეთილი ნების დღეს“ ჩვენს სოფელში, სხვა სასიკეთო საქმეებთან ერთად, ძველ კლუბს დაუბრუნდა თავისი ფუნქცია. მიუხედავად ჩამორღვეული ბათქაშის ნოტიო სუნისა, მაინც სასიამოვნო საღამო გავატარე).

მე მიყვარს შენი სიძველის სუნი,
 შენი დამლილი კედლების სითბო.
 ახლაც ძალუმად აძგერდა გული –
 და გამახსენდა ბავშვობის ის დრო...
 როს ქართველადის პატარა ქალი
 ძიძასთან ერთად ვკრეფდი ენძელებს,
 და ბაჯაჯუნა ლეკების მკლავი
 მარწუხებივით მოხვდა ჩემს ხელებს.
 ეს იყო წინათ, ოცი წლის წინათ,
 მაშინაც ასე ჰყვოდა ნუში,
 ასე ჰქარგავდა მისი მინდორს
 და სითბო იღვა სუყველას გულში.

მე თქვენი გალიმება მომაგონდა

(ბრილის ყოფილი ბიბლიოთეკარის როზა გოგიჩაიშვილის გახსენება)

ფიქრებს დასასრული ვეღარ დავუდევნი,
 გულს დიდი ტკივილი დამიგროვდა,
 მე თქვენი გალიმება გამახსენდა...
 მე თქვენი გალიმება მომაგონდა...
 ჭაღარამერეული სათნო ქალბატონი,
 წიგნებით გადრეკილი მაგიდა,
 მუდამ მოცინარი, მხნე, მშვენიერი,
 მე სხვა სიტყვები არც მინდა...
 წიგნსაც სჭირდებო, კარგო, მოფერება, –
 იტყოდით და ღიმილს საგზლად გამატანდით:


ღმერთო, ის ღიმილი როგორ გამშვენებდათ,
 როგორ გიხდებოდით, და არცა მალავდით.
 ყველა წიგნს ნაცნობი სითბო შერჩინია,
 დღესაც თქვენს ხატებას ვხედავ.
 იქნებ მომიტევოთ ეს კადნიერება –
 თქვენს მოფერებას რომ ვხედავ.
 ფიქრებს საგონავი ვეღარ გაამთელებს,
 გულს დიდი ტკივილი დამიგროვდა,
 მე თქვენი გალიმება გამახსენდა,
 მე თქვენი გალიმება მომაგონდა!

მურმან აკვლიაშვილი

* * *

ბინდი სინათლეს ლეწავს,
 მზე უსუსურად ჩადის,
 ღამე თავის ფერს ხვეწავს,
 ქუჩაში ჩუმად დადის.
 ქუჩაში, სადაც მოჩანს
 ჯერ მეფობის ღანდი,
 მერე მოხუცის ცოცხი
 და მისი მძიმე დარდი.
 ღამესთან ერთად ჩუმად
 ეს საუკუნე დადის,

და არ აღელვებს ის, რომ
 დრო სიარულში გადის.
 ჩვენ აღარ გვახსოვს მისი
 ალბათ ყოფილი ფასი,
 ფიროსმანისთვის გმირი –
 ფუნჯით შექმნილი ხატი.
 მეფობე და ღამე
 ქუჩაში ჩუმად დადის,
 მათ არ აღელვებთ ის, რომ
 დრო სიარულში გადის.



დავით გიგინეიშვილი

კინო და მუსიკა

ვივალდის ბრწყინვალე ოპერების „ორლანდო ფურიოზო (Orlando Furioso)“ ჩაწერილი ჯერ კიდევ კლასიკური შიმონეს ხელმძღვანელობით (Erato ECD 88190) და „ტიტო მანლიო (Tito Manlio“ უკვე ვიგორიო ნეგრის ღირსიერობით (Philips 446 332-2), შემდგომ მისი შემოქმედების სხვა ნიმუშების გაცნობამ, კერძოდ, ხორდი სავალის „ფარნახიმ (Farnace“ (Alia Vox 9822) და რინალდო ალესანდრინის „ოლიმპიადამ (L'Olimpiade)“ (Opus 111 30316) ვერ მომანიჭა ის სიამოვნება, რასაც ველოდი და ნაწილობრივ გამიცრუა იმელები, ამავე დროს დამარწმუნა, რომ მისი მუსიკალური დრამის შედეგრი მაინც „იუდიტა ტრიუმფანსია Juditha Triumphans“. ამიგომ გარკვეული ეჭვის თვალთ შევხვდი ახალი ოპერის ჩანაწერის გამოჩენას, მხოლოდ მომღერლების ბრწყინვალე შემადგენლობამ გამაბედინა ამ კომპლექტის შექმნა. ეს გრაგიკული ოპერა ეფუძნება თათართა იმპერატორის გამერლანოს ცყვეობაში მყოფი ოგომანთა სულთნის ბაიაბეგის ცხოვრების ბოლო წლებს. ინგრიგა იხლართება მას შემდეგ, რაც იმპერატორი ინგერესს ავლენს ბაიაბეგის ქალიშვილისადმი (ასტერია), ეს კი სასოწარკვეთილებაში აგლებს იმპერა-

ანტონიო ვივალდი – ბაიაბეტი/bajazet.
მუსიკალური ტრაგედია 3 აქტად. დევიდ დანიელს (ტამერლანო), ი. დ. არქანჯელო (ბაიაბეტი), მ. მიანოვიჩი (ასტერია), ე. გარანკა (ანდრონიკო), ვ. ჟენო (ირენე), პ. ჩიოვი (იდასპე). ეუროპა გალანტე, ფაბიო ბიონდი. Virgin Classics 5 4567629 (2 cds+1DVD) 146 წუთი, ჩანერილია 2004 წელს.

ტორის ოფიციალურ დანიშნულს – პრინცესა ირენას და ასევე გამერლანოს მოკავშირე, ბერძენ პრინცს ანდრონიკოსს, რომელიც ასტერიამა შეყვარებული და მისგანაც საპასუხო გრძნობებს ღებულობს.

ლაპირისპირებები და ინგრიგები კულმინაციას აღწევს მას შემდეგ, რაც ამბავი შეურაცყოფილი ბაიაბეგის თვითმკვლელობით მთავრდება. ეს აქტი აიძულებს იმპერატორს გულმოდრინება გამოიჩინოს ანდრონიკოსს და ასტერიას სიყვარულის მიმართ.

რადგან ტურინში აღმოჩენილ პარტიტურაში გამოტოვებული იყო მთავარი პერსონაჟების (ანდრონიკოს Quel ciglio vezzosetto, გამერლანოს Cruda sorge, avverso და ირენას Son tortorella) არიები, ფაბიო ბიონდი, ოპერის დრამატურგიული ხაზის გადაწყვეტის საშიშროებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა ვივალდის მიერ შემდგომ დაწერილი ოპერებიდან მოეძებნა და შეევისო ეს დანაკლისი. ოპერის პრემიერაზე, რომელიც შედგა ვერონაში 1735 წელს, მონაწილეობდა ორი კასტრატი – ანდრონიკოსა და იდასპეს როლებში. ჩანაწერში კი მხოლოდ ერთი კონტრატენორი – დევიდ დანიელსია და ისიც გამერლანოს როლში, რომელიც სპეცი-

ალურად იყო დაწერილი კონგრალგოსათვის. ვოკალური ნაწილის სირთულეებიდან გამომდინარე, ასეთი გადაადგილება გამართლებულიც იყო. ბიონდიმ ამ ოპერაში ბრწყინვალე შემადგენლობა შეკრიბა – უკვე ნახსენებ დევიდ დენიელსთან ერთად არიან ვივიკა ჟენო (ირენე), მარიანა მიანოვიჩი (ასტერია) და ჰაგრიცია ჩიოფი (იდასკე). ვარსკვლავებმა კარგად გაართვეს თავი პარტიებს. აღნიშვნის ღირსია ჟენოს ფენომენალური გექნიკა არიაში „Qual guerriero in campo armato“, ჩიოფის ვირტუოზობა და სუნთქვის უნაკლო გამოყენება უმბიმესი პასაჟებისას არიაში – „Anche il mar par che sommerga“ (აბა, სხვა რა შეეძლო დაეპირისპირებინა ჩიოფის აბობოქრებულ ვულკანის – ჩეჩილია ბარგოლის მიმართ, რომელმაც ეს არია მანამდე ჩაწერა ვივალდის ალბომში DECCA 466 589-2) და მიანოვიჩის გემბრალური შთამბეჭდაობა მისი ხმის მოქნილობასთან ერთად (არია „La cervetta timidetta“). ჩემთვის ნამდვილად აღმოჩენა იყო ახალგაზრდა ელინა გარანკა ანდრონიკოს როლში, მან გოლი არ დაუდო სახელმოხვეჭილ ბაროკო ოპერის გამოცდილ სპეციალისტებს, განსაკუთრებით არიაში „Spesso tra vaghe rose“ (რალაცით ჰასეს სტილს რომ მოგვაგონებს) და,

რასაკვირველია, იგალიელმა ბას-ბარიტონმა ცილდებრანდო დ'არქანჯელომ თავისი ბრწყინვალე მაღალი „მი“-თ „Dov'è la figlia“. ბიონდის გემპერამენგული და ინკრუსტირებული შესრულება, ცხადია, აქცენგებით სიმებიან ინსტრუმენტებზე, რადგან თავად არის პირველი ვიოლინო – ეს ნამდვილი საოცრებაა და წარმოადგენს ვივალდის XXI საუკუნის ინტერპრეტაციას. როგორც საოპერო ღირიქორს, პირველად მოუხსმინე მას და ვფიქრობ, რომ ძალზე ორიგინალურად გაართვა თავი ამ მეტად ფაქიმ და ამავე დროს რთულ საქმიანობას. ჩანაწერი ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმცა აკლია სგულია Harmonia Mundi-სათვის დამახასიათებელი მოცულობის შეგრძნება და დასწრების ეფექტი. კომპლექტი ასევე დაგვირთულია დედ-დისკით, სადაც სგულიური ჩანაწერის პროცესის მომენტებია აღბეჭდილი სრული ცალკეული არიების სახით. ოპერატორული მონტაჟით კარგად არის გადმოცემული ბიონდის, როგორც ღირიქორისა და პირველი ვიოლინოს, დაუღვეველი ენერჯია და ცალკეული ორკესტრანტების ოსტატობა. ამ 30 წუთიან ვიზუალურ მასალაში წარმოდგენილი ყველა მომღერალი და ჟენოც თავის სუპერვირტუოზული არიით – მეტად სასიამოვნო სანახაობაა!

„მილიონ დოლარიანი გოგონა/Million Dolar baby“.

რეჟისორი – კლინტ ისტვუდი, ფ. ტულისა და პოლ ჰაგისის სცენარი (როუპ ბარნსის მოთხრობების მიხედვით), ოპერატორი ტომ სტერნი, მონტაჟი ჯოელ კოქსისა, მხატვარი ჰენრი ბამსტედი, პროდიუსერები – კ. ისტვუდი, პ. ჰაგისი, ტომ როზენბერგი, ალბერტ რუდი. უორნერ ბროზერსი, 2004, 132 წუთი.

კლინტ ისტვუდმა კარგა ხანია მოიპოვა სერიოზული კინემატოგრაფის სახელი. პირველად ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია ჯერ კიდევ 1989 წელს მოსკოვის XVI კინოფესტივა-

ლის არასაკონკურსო ფილმების ჩვენებისას ნახმა მისმა რეჟისორულმა ნამუშევარმა „ჩიტუნა/Bird“ საქსოფონისგ ჩარლი პარკერის ბიოგრაფიაზე. მას შემდეგ ისტვუდი, როგორც

წესი, სტაბილურად წარმოადგენს სერიოზულ ნამუშევრებს. მკაცრი და უხეში რეალიზმი – შეიძლება ასე ვუწოდოთ ისტეკუდის ახალ ფილმს. აქ ნაჩვენებია სევდითა და გვიგით შეფერილი ამბავი ჩვეულებრივი ადამიანებისა, რომლებიც იბრძოდნენ და ეს ბრძოლა იყო მათი არსებობის განუყრელი თვისება. ეს ფილმი თხრობის თვალსაზრისით, ძალიან მიახლოებულია კლასიკური პროზის ნიმუშებს და გვახსენებს სტეინბეკის და კოლდუელის ენას. მთხრობელი – წარსულში მოკრივე, ამჟამად კი კრივის მწვრთნელის პარტნიორი, შავკანიანი ელი სკრაპი (**მორგან ფრიმენი**) გვიყვება ფრენკ დანზე (**კლინტ ისტეკუდი**) გადამხდარ ბოლო უბედურებას, რისი წინასწარ მაუწყებელიც ფილმის მსვლელობის დროს თითქოს არაფერია. მეტიც, პარტნიორები კიდეც ავსებენ ერთმანეთს: ფრენკის მოუქნელობას და გარეგან სიუხეშეს გარკვეულად არბილებს მეტად დინჯი და აუქჩარებელი ელი. ამიგომაც არის. რომ ახლადგამოჩენილი მოუსვენარი ახალგაზრდა ქალი – მეგი ფიცჯერალდი (**ჰილარი სვონკი**), რომელსაც არც სურს გაიხსენოს თავისი წარსული წლები, აღმოჩნდება ელის მოსწავლეთა რიგში და მისი განსაკუთრებული მზრუნველობის ცენტრში მოექცევა, მაგრამ შემდგომში ირკვევა, რომ ეს მხოლოდ მეგის მიზანდასახულობითა და შრომისუნარიანობით არ არის გამოწვეული. ფრენკის განუყრელად დასდევს წარსულის ლანდი: როდესაც გარკვეული უყურადღებობისა და რისკის ფასად საწადელს ვერ მიაღწია და დასახიჩრდა მისი მო-

სწვლე ელი. ამარგი გარკვეულად იმარჯვებს და ჩვენი გმირები ნებსით თუ უნებლიეთ ჩაერთვებიან ჩემპიონობისათვის რბოლაში. მაგრამ ცხოვრების გზა როდია მხოლოდ ჯილდოებით მოფენილი. შემდგომი მოვლენების განვითარება ისეთი მკაცრი და უპატივებელი სინამდვილითაა დატვირთული, რომ მოუმზადებელი მაყურებელი ცხოვრებისაგან განაწყენებული (და გარკვეულად განდეგილი) ორი პიროვნების გაუბედავი და ნაბიჯ-ნაბიჯ ნაცადი დაახლოების ნაცვლად, მოულოდნელად წააწყდება საშინელ დრამას.

ისტეკუდის მთელი ოსტატობა იმაშია, რომ მაყურებელს აიძულებს გადახარშოს ეს სასტიკი და მძიმე ამბავი – თან არც გოვებს ზუსტ მინიშნებას, რა არის ეს – რომანტიზმის მიწიერი მიუღწევლობა, აუცილებელი მსვერპლშეწირვა ოლიმპის ღმერთებისათვის, მათ მიერ გაწეული წყალობისათვის, თუ მოღუნებული ყურადღების დროს გადამეგებული რისკის ფასი? ფილმი დადგმულია ღილი ოსტატობით, გამოირჩევა სხარგად დაწერილი დიალოგებითა და მსახიობთა უნაკლო თამაშით, მაგრამ მაინც, ჩემი აზრით, იგი მხოლოდ საკლებო ჩვენებისთვის არის გათვლილი და არა ფართო მაყურებლისთვის. ბოლოდროინდელი ამერიკული კინოს ეს ნამდვილი მიღწევა დამსახურებულად დაჯილდოვდა 2005 წლის ამერიკის კინოაკადემიის პრიზით საუკეთესო ფილმისათვის, საუკეთესო რეჟისურისათვის, საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის და საუკეთესო მეორეხარისხოვანი მამაკაცის როლის შესრულებისთვის.



საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები



□ 15 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის გაფართოებული სხდომა. ესწრებოდნენ დიდი ბიბლიოთეკების დირექტორები, პროფკავშირების წარმომადგენლები; განიხილეს თბილისის დიდი საუწყებო ბიბლიოთეკების დაფინანსების მდგომარეობა. ამ საკითხზე ინფორმაციები გააკეთეს ნ. მეიფარიანმა, ი. ღარიბაშვილმა, ო. შოთიკაშვილმა, მ. ბაალიშვილმა, ნ. გოგსაძემ.

□ 27 თებერვალს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა საბიბლიოთეკო დარგის რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავებელი კომისიის სხდომა. განიხილეს ბიბლიოთეკის გამსხვილების, საბიბლიოთეკო ქსელის ოპტიმიზაციის, ბიბლიოთეკართა სოციალური მდგომარე-

ობისა და სხვა აქტუალური პრობლემები.

□ მარტის შუა რიცხვებში თბილისის ომის ვეგერანთა ფონდიდან (უფროსი გურამ გვეგაძე) ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა წიგნების დიდი პარტია.

□ 24-25 აპრილს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი ვარშავაში დაესწრო ექსპერტთა სემინარს, სადაც განი-

ხილეს ევროპული ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის საკითხი. სემინარზე ლაგვის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა გამოთქვა მზადყოფნა, ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან. გაფორმდა ხელშეკრულება ლაგვის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას შორის, რომელიც ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფების გაცვლას;

□ 18-19 მაისს ფინეთში ჩაგარდა სემინარი თემაზე „ვისია ინტერნეტი“, სემინარის ინიციატორი იყო ფინეთის საბიბლიოთეკო ასოციაცია. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება „არალათინური დამწერლობები, ინტერნეტი და ბიბლიოთეკები“,

მზადდება ხელშეკრულება ფინეთსა და საქართველსო საბიბლიოთეკო ასოციაციების თანამშრომლობისათვის.

□ მაისის შუა რიცხვებში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამუშაო ვიზიტით ჩამოსული იყო რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის დირექტორი გექნოლოგიებისა და ბიბლიოთეკის განვითარების დარგში ეკატერინა ილინა. ჩამოსვლის მიზანს შეადგენდა ეროვნული ბიბლიოთეკის სამივე კორპუსში თანამედროვე გექნოლოგიების განლაგების საკითხების დახვეწა. მიზანი ამ ვიზიტისა იყო არასაბიბლიოთეკო შენობების მაქსიმალურად გამოყენების პრობლემების გადაჭრა.

□ მაისის ბოლოს საქართველოს პარლამენტის

ნგის ეროვნულ ბიბლიოთეკას სამუშაო ვიზიტით ეწვია ლაგვის სოციალური ინგეგრაციის მინისტრი კარინა პეგერსონი. გაიმართა მოლაპარაკება ლაგვის ეროვნულ და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

□ 7 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ბიბლიოთეკასთან მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განიხილეს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების კონცეფციის შემუშავების, ეროვნულ ბიბლიოთეკაში სტრუქტურული ცვლილებების, თბილისის დიდი ბიბლიოთეკების შეერთების და საბიბლიოთეკო ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხები.



თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი - 2006




მიმდინარე წლის 25-28 მაისს თბილისში მოქმედებდა წიგნის საერთაშორისო ფესტივალი. ოთხი დღის განმავლობაში დიდი საგამოფენო დარბაზი დიდუბეში გადავსებული იყო ქალაქის გამომცემლობების გამოცემებითა და ხალხით.



გამოფენაში პირველად მონაწილეობდა საბიბლიოთეკო ასოციაცია, რომელსაც თავისი სტენდი გააჩნდა. ასევე ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოში გახსნილი უცხოეთის ბიბლიოთეკები. ხალხმრავლობამ, პა-



განა ბაგეშვილისა და მომარდების აქტიურმა დასწრებამ, აღძრულმა ინტერესმა დაგვარწმუნა, რომ წიგნს არ დაუკარგავს თავისი სიცოცხლისუნარიანობა, რომ ის სჭირდება ყველას, განურჩევლად ასაკისა და სპეციალობისა.



მ. ბრილიელი

ჩვენი სოფლის საეღურაპი

ჩემო კინწარელებო!

დიდი ხანია, თქვენი კონწარა არ გამოგხმაურებიათ. განა იმიგომ, რომ საკონწარო აღარაფერი გვაქვს. ჩვენში მაგას რა გამოლევს! უბრალოდ, ცოგათი შევისვენეთ, სხეებს დაფუთმეთ ჟურნალის ფურცლები. მოგესხენებათ, ჩვენი ჟურნალი ნამეგანი ხელმოკლეა – არც ნომრების მომაგების საშუალება გვაქვს, არც გვერდების და არც გირაჟის. ამიგომაც ყველა მასალას ერთბაშად ვერ ვაქვეყნებთ და დიდი თავაზით ვუთმობთ სხეებს ადგილს. ახლა გამოვნახეთ საშუალება და უარი ვერ ვთქვით, „გაგვეხარებინა“ ჩვენი მკითხველები ერთი სოფლის „მიღწევებით“, რომლის მსგავსითაც ბევრ სოფელსაც შეუძლია „დაიგრაბახოს“; ჩვენში ხომ ახლა ძალიან გავრცელებულია იმის „მგკიცება“, რომ ცუდი სჯობია კარგს, თუმცა ამის დასასაბუთებლად თავს არაფინ იგკიებს.

შეიცვალა სოფელმა ძველებური იერი,
ზოგი შრომით იწყვეტს წელს, ზოგი დადის მშიერი.
გაიძარცვა სოფელი, ჩამოიქცა კედლები,
ღმერთსაც აღარ აწუხებს გლეხი ფუჭი ვედრებით.
რაც სოფლისთვის ბრწყინავდა თვალისმომჭრელ სადაფად –
კლუბი გადააქციეს სანაგვედ და სარდაფად.
აღარც სტენდი შემოგვრჩა, აღარც მემორიალი,
ხალხს ნერვები დააწყდა უთავბოლო რიალით.
გვენატრება სინათლე, გაზეთი და ჟურნალი,
ვინ გაიგებს ჩვენს ტკივილს, ვინ იქნება მკურნალი.
მხოლოდ სკოლა მოქმედებს ძველისძველად ნაშენი,
სიხარული, ტკივილი – მისი, ჩემი და შენი.
ერთადერთი იმედი და კულტურის ნარჩენი,
სამკითხველო შემოგვრჩა, მოისპო დანარჩენი.
ლესავენ და ლესავენ ცელს, ცულს, ნამგალს, თოხს და ბარს,
ხნავენ, თესენ, ღობავენ კორდ-ტყე-მინდორს, მთას და ბარს,
არც კინო, არც თეატრი, არც ჟურნალი, გაზეთი.






ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაკები (1958)



დ. მარკვეიზი საბიბლიოთეკო კურსების მსმენელებს შორის (1938)

შეცდომის გასწორება: გასულ ნომერში გამოქვეყნებულ სურათზე, რომელზეც გამოსახულია ბიბლიოთეკების მუშაკთა შეხვედრა ქ. ხაკეინასთან, მითითებული წელი შეცდომითაა – 1972 წ. ნაცვლად უნდა იყოს 1927 წ.



1 ივნისი –
 ბაჭვთა ღაცვის დღე!
 წიგნი და ბაჭვები
 მოძავალი მუეიდობის
 სწინდარია!